ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲡᲞᲔᲠᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲣᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები

ნაშრომში მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში სადაზვერვო საქმიანობის ისტორია, სადაზვერვო ქმედებების სახეობები, ძალები და საშუალებები.

ნაშრომის გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ სადაზვერვო საქმიანობის ობიექტები, სათანადო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის ყველა საფეხურზე მომუშავე პირები და რიგითი მოქალაქეებიც კი შეიძლება გახდნენ. ფაქტობრივი მასალის ანალიზით, სადაზვერვო ქმედებების როლი მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესში.

ნაშრომი თავის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება როგორც ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთათვის, ასევე სახელმწიფო მოხელეთათვის და სპეცსამსახურების თემებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი: **თენგიზ ენდელაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რეზერვის გენერალ-მაიორი
გურამ რეხვიაშვილი
რეზერვის პოლკოვნიკი
სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

რეცენზენტი: **რამაზ კვარაცხელია**
სამართლის დოქტორი, პროფესორი
ლაშა პატარაია
ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი
დავით ჭოჭუა
ვენის უნივერსიტეტის დოქტორანტი. ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის, კონტრტერორიზმის ინსტრუქორი.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

სამყარო, უძველესი დროიდან ვითარდება. პირველყოფილი ტომების დამკვიდრებასთან ერთად, აუცილებლობიდან გამომდინარე, ადამიანებმა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა დაიწყეს, რომელიც სამეფოების შექმნიდან დღემდე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

სადაზვერვო საქმიანობა სამეფოების, იმპერიების, სახელმწიფოების სიძლიერის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად ითვლებოდა და ითვლება დღესაც. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდიდან დღემდე აღნიშნული საიდუმლო საქმიანობა მმართველი წრეების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მიზნების აღსრულებას ემსახურებოდა, ემსახურება და მომავალშიც მოემსახურება, რადგან, როგორც ისტორიული პროცესების მიმდინარეობის ანალიზი გვიჩვენებს, სამყაროს განვითარება პირდაპირ კავშირშია საფრთხეების განვრცობასთან და მათი დროული გამოვლენა-აღკვეთის პროცესი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია.

უძველესი პერიოდიდან დღემდე სახელმწიფოები სხვადასხვა მასშტაბებით, ყველა საშუალებითა და მეთოდებით, მუდმივად იბრძვიან დომინანტის როლის მოსაპოვებლად (მსოფლიოში, კონტინენტებზე, რეგიონებში და ა.შ.) და მიზნების მიღწევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სწორედ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას იყენებენ, რომელიც აქტიურ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ემყარება. საქმიანობის პროცესში წარმატებას, ქმედებების დაგეგმვა და აქტიური ოპერატიული ციკლის სწორად განხორციელება განსაზღვრავს. ორივე პროცესი, საკუთარი

ინტერესების გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს წეს-წყობილების დასუსტების და რღვევის ორგანიზებას ემსახურება, რომლის დროსაც საიდუმლო-ოპერაციული (მათ შორის აგენტურული აპარატის სწორად შერჩევის და კომპლექტაციის) პროცესის წარმატებული ქმედებები პირდაპირ კავშირშია კონსპირაციის პირობების მკაცრ დაცვასთან, რაც მოპოვებული ინფორმაციის დროული და უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდიდან დღემდე ქვეყნებს შორის ურთიერთობების უსაფრთხოება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარმატებულ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფაზე.

ნაშრომში საბერძნეთის, ხეთების, ძველი სპარსეთის, ასურეთის, რომის, ეგვიპტის სამეფოთა სადაზვერვო ქმედებების მიხედვით განხილულია, გაანალიზებულია და გამოკვეთილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში სადაზვერვო შესწავლის ობიექტები და შეღწევადობის უზრუნველმყოფი ჯგუფები, აგენტურული აპარატის ჩანერგვის მიმართულებები და სადაზვერვო ოპერაციების დროს გამოყენებული მეთოდები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც საგარეო და საშინაო პოლიტიკის, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებების განსაზღვრის დაგეგმარება-განხორციელების პროცესის უზრუნველყოფის თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

დავით კუხალაშვილი
ისტორიის დოქტორი

ნაშრომში „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“ მდიდარ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით, ნაჩვენებია შორეულ წარსულში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I ათასწლეულებში, საბერძნეთის, ხეთას, სპარსეთის, ასურეთის, რომის, ეგვიპტის სამეფოებისა და იმპერიების მიერ წარმოებული სადაზვერვო საქმიანობა, რომლის ძირითადი დანიშნულება ხელსაყრელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და აქედან გამომდინარე წარმატებული საგარეო პოლიტიკის განხორციელება იყო.

წიგნი მიზნად ისახავს მკითხველმა გარკვეული ინფორმაცია მიიღოს იმდროინდელი სადაზვერვო საქმიანობის არსის, როლის, მართვის, პოზიციების შექმნის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ. კონკრეტული ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ ემსახურებოდა რა მმართველი წრეების ინტერესებს, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოების განმტკიცების, წინსვლის, საზღვრების გაფართოების, უსაფრთხოება-უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, ხოლო მის მთელ რიგ ასპექტებს ათასწლეულების შემდეგაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს, როგორც ცალკეულ წარმატებულ ღონისძიებებზე, ისე ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით განპირობებულ მთელ რიგ, ზოგ შემთხვევაში გამოუსწორებელ შეცდომებზე, რომლის მსგავსი არაერთი მოიძებნება ჩვენი ქვეყნის უძველეს, ახალ თუ უახლეს ისტორიაშიც.

პროფესიონალი კონტრმზვერავის, ბატონ დავით კუხალაშვილის ამ და სხვა ნაშრომების წაკითხვის შემდეგ, რიგითი მკითხველიც კი არ შეიტანს ეჭვს ქვეყნისათვის სადაზვერვო სამსახურის

ქონის აუცილებლობაში, რომელსაც მნიშვნელოვანი, ზოგჯერ გადამწყვეტი, როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს უშიშროების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ წინამდებარე წიგნი საყურადღებო იქნება დაინტერესებული მკითხველისათვის.

თენგიზ ენდელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
(2004 წლიდან) რეზერვის გენერალ-მაიორი

თანამედროვე კრიზისულ სიტუაციაში გადარჩენის აუცილებელი პირობაა ზუსტად და

დროულად გავიგოთ რა ხდება საერთოდ ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მიღმა.

სახელმწიფოები ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ მიიღონ ასეთი ცოდნა – ზოგჯერ პატიოსანი გზით, ზოგჯერ კი დანაშაულის გზით.

გაზეთები ყოველდღიურად უამბობენ თავიანთ მკითხველებს მითური სპექტაკლებით: ქალები და მამაკაცები ცდილობენ მოიპარონ და მოიპოვონ სახელმწიფო საიდუმლოებანი, სტრატეგიული გეგმები და მიზნები, ცნობები მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

ყველაზე მძლავრი სახელმწიფოების რესპექტაბელური ფასადის მიღმა მათი საიდუმლო დაწესებულებები მუშაობენ ისე, რომ ანგარიშს არ უწევენ არც სამართლებლივ და არც ზნეობრივ ნორმებს. მათი აგენტები საიდუმლო მასალებს ეძებენ სამხედრო სამინისტროების არქივებში, საგარეო საქმეთა სამინისტროების სეიფებში, საქადალდე კალათებსა და სანაგვე ურნებში; ხსნიან სეიფებსა და ახდენენ კოდების გაშიფვრას, იტაცებენ და კლავენ, აწყობენ შეთქმულებებს. ჩვეულებრივ ამას ხატავენ როგორც საიდუმლო ომს, რომელიც მძინვარებს საიდუმლო ფრონტებზე.

პატივცემულ დაინტერესებულ თუ მოყვარულ მკითხველს ზემოთქმულს იმიტომ მოვახსენებ, რომ ეს ყველაფერი დღეს არ დაწყებულა და ხვალ არ დამთავრდება. ეს გახლავთ კაცობრიობის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და წინამდებარე კვლევითი ნაშრომი საშუალებას მოგცემთ ამ ჭეშმარიტებაში დარწმუნდეთ.

ადამიანის პირველი იარაღი იყო ქვა, ხელკეტი და... დაზვერვა. პირველყოფილ თემებში სადაზვერვო მოქმედებას ეკავა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი

საკუთარი თავის დაცვისა და სხვაზე თავდასხმისათვის.

საწყის ეტაპზე დაზვერვა ნიშნავდა კვალის მიგნებას, შემდეგ იგი განვითარდა ადგილის თვალთვალში. შემდეგ მოხდა დიფერენციაცია ერთის მხრივ კვალის მიგნებასა და ადგილის თვალათვალს შორის, მეორე მხრივ – დაზვერვასა და ჯაშუშობას შორის. როდესაც, ნოემ მტრედი გაგზავნა გასაგებად „გამოჩნდა თუ არა წყალში დედამიწა“, მან მიმართა დაზვერვის თანამედროვე ფორმას – საჰაერო დაზვერვას.

ძველ ეგვიპტელებს ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლით ადრე ჩვენს ერამდე ჰქონდათ სადაზვერვო სამსახურები, თუმცა კონტრდაზვერვის ნაკლებობამ, ამ საკითხის ერთ-ერთ ცნობილ მკვლევარს, სერ ბეზილ ტომპსონს ათქმევინა: „ფარაონ მემპიტას კარგი სადაზვერვო სამსახური, რომ ჰქონოდა, მაშინ არ მოხდებოდა ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლა“. მოსემ დაავალა რა აღთქმული ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე ოსიი ბენ-ნუნუს შეემოწმებინა ღვთის დაპირებები, მოახდინა დაზვერვის ორგანიზება.

იქამდე, სანამ არსებობს სახელმწიფო, შეპყრობილი განდიდების მანიით ან სხვისი დაპყრობის სურვილით, სხვა ქვეყნებს ელის საშიშროება გახდეს დიპლომატიური გაცურების მსხვერპლი, მოექცეს ეკონომიკური ან პოლიტიკური კაბალის ქვეშ, ანდა შეიძლება მას ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ.

სანამ არსებობს სამხედრო საშიშროება აუცილებელია სხვადასხვაგვარი ინფორმაციების მოპოვება, რომელიც ნათლად წარმოადგენს გარკვეული ქვეყნის მდგომარეობას.

თუ როგორ კეთდებოდა ეს ყველაფერი უძველესი დროიდან თქვენ ნათლად წარმოიდგენთ ნაშრომის წაკითხვის შემდეგ.

გურამ რეხვიაშვილი
რეზერვის პოლკოვნიკი
(საქართველოს სადაზვერვო სამსახურის უფროსი
1991-1992 წლებში)

ძველი საბერძნეთის სამეფოს დაზვერვა

ისტორიულ ასპარეზზე ბერძნები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI საუკუნეში გამოჩნდნენ, ხოლო

პოლიტიკურ ერთიანობას ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში მიაღწიეს, როცა საბერძნეთი, ეგვიპტის, ხეთის და ასურეთი ძლიერ იმპერიათა მსგავსად დომინანტის როლის მოპოვებისათვის ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი.

ბერძნული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი იყო პაექრობა ყველა სფეროში, რაც ხშირად სისტემატიური და მასშტაბური კონფლიქტების საფუძველი და ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი გარემოება იყო.

კონფლიქტები „ზოგან სიტყვიერი პაექრობის, ზოგან ადრე გამოთქმული მოსაზრების გაბათილებისა და ახლის წამოყენების, ზოგან კი უშუალოდ ფიზიკური შერკინების სახით“ [1] ვლინდებოდა.

საბერძნეთის განვითარების პროცესებზე ერთ-ერთი ძირითადი როლი აქტიურმა სადაზვერვო საქმიანობამ ითამაშა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-III საუკუნეებში სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ სადაზვერვო მონაცემების შეკრებას, სათანადო ანალიზს და არასასურველი პროცესების (შიდა კონფლიქტები, ომები და სხვა) დროული აღკვეთის ღონისძიებების დაგეგმარებას.

სადაზვერვო ქმედებებით გათვლილი იყო ქვეყნის ნორმალური განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები: პლატონი იდეალური სახელმწიფოსათვის უმაღლეს ზღვრად 5040 სულს

[1] **რისმაგ გორდეზიანი. „ბერძნული ცივილიზაცია“. თბილისი. 1988. გვ.73;**

მიიჩნევდა, ხოლო „მონები პოლისის წევრებს ყავდათ იმდენი რამდენიც ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისათვის იყო საჭირო“.[2]

დემოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მატების - ჭარბი მოსახლეობის გამო ბერძნები კოლონიზაციას–ახალი მიწების დაპყრობის პროცესს სისტემატიურად ანხორციელებდნენ, რომელსაც წინ სადაზვერვო საქმიანობა უსწრებდა, რაც საკუთარი მოსახლეობის და უცხო, მათ შორის დასაპყრობი სახელმწიფოების (ტერიტორიების) სადაზვერვო შედწევადობის და კონტროლის უზრუნველმყოფ ქმედებასაც ნიშნავდა.

შესაკრებ სადაზვერვო ინფორმაციებს მიეკუთვნებოდა:

► დასაპყრობი ტერიტორიის ადვილად მისადგომობა და კონტროლის შემთხვევაში დაცვის უზრუნველყოფის პირობები;

► ცხოვრების ხელსაყრელი პირობები (წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, ნოყიერი ნიადაგი და სხვა);

► იმ პირების საფუძვლიანად შეისწავლა, რომლებსაც კოლონიებისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ, რაც სისტემური სადაზვერვო უზრუნველყოფით ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო **კოლონიის ხელმძღვანელის გამოყენება შესაძლებელი იყო მზვერავად ან რეზიდენტად,** რომელიც **შემდგომში აგენტურულ შედწევადობასა და კონტროლს ახორციელებდა.**

სადაზვერვო საქმიანობა ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების

---

[2] **რისმაგ გორდეზიანი. „ბერძნული ცივილიზაცია“. თბილისი. 1988. გვ.71;**

ირგვლივ აქტიურად მიმდინარეობდა: ძველი წელთაღრიცხვის 594 წლისათვის, საბერძნეთში ფლობდნენ სათანადო ანალიტიკურ მონაცემებს ***პოლიტიკური დესტაბილიზაციის ძირითადი მიზეზის- მდიდრებსა და ღარიბებს შორის გამწვავებული ურთიერთობის შესახებ***.

აქტიური სადაზვერვო საქმიანობით ხასიათდებოდა საომარი მოქმედებების მიმდინარეობა. ჩვენს წეთაღრიცხვამდე 510-499 წლებში სპარსეთსა და საბერძნეთს შორის საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, ძალთა თანაფარდობით, სპარსეთის სამეფო აშკარა უპირატესობას ფლობდა.

საბერძნეთის სამეფო დაზვერვის საიდუმლო ოპერაციებს შორის გამორჩეულია, **საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, სამეფო კარზე ჩანერგვის ოპერაცია**.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 510 წელს ***<u>სპარსეთის სამეფო კარზე თავშეფარებულმა სპარტის დევნილმა მეფე დემარტმა</u>*** (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 510-491 წლები)[3] მოიპოვა და ბერძნებს მიაწოდა სადაზვერვო ინფორმაცია საბერძნეთის წინააღმდეგ სპარსეთის **საომარი განზრახვების** (საბერძნეთის წინააღმდეგ სპარსეთის მხრიდან **საომარი მოქმედებების ზღვიდან დაწყების) შესახებ.**

სადაზვერვო **ინფორმაციის მიწოდება სპეციალურად დამუშავებული ე.წ. მცირე ზომის ხის დაფის (რომელსაც ქერქი ეხსნებოდა და უკეთდებოდა) გამოყენებით იქნა შესაძლებელი.**

ჩანერგვის მეთოდით სახეზე გვაქვს მოწინააღმდეგის სამეფო კარზე სადაზვერვო

[3] **Liste der Könige von Sparta (Demaratos).http://Wikipedia.org;**

შელწევადობა, შესაბამისად დასაშვებია ვერსია იმის თაობაზე, რომ მეფის განდევნის პროცესიც ინსცენირებული იყო.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში სამხედრო შენაერთებში მტრის ***ჯაშუშების გასაშიფრად*** წარმატებით გამოიყენებოდა გამოკითხვის მეთოდი, რაც გამოიხატებოდა ***მწკრივში მდგომი ჯარისკაცების მიერ ერთმანეთის ვინაობის დაწვრილებით გამოკითხვა***ში.[4]

სადაზვერვო ქმედებების კონსპირაციაზე მოპოვებული მონაცემების შენიღბვის მეთოდები მეტყველებენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში [5] მოდვაწე ბერძენი სტრატეგი და სამხედრო მწერლის აენეასის გადმოცემით, სადაზვერვო ინფორმაციის გადატანა ხდებოდა:

- ***ფეხსაცმელებში შენიღბულად დამალვის გზით.*** *ოფლის ზემოქმედებისაგან დასაცავად შეტყობინება თავსდებოდა თუნუქის თხელ ფირფიტაში;*
- ***ქალის სამკაულში შენიღბულად დამალვის გზით,*** *თუთიის თხელ ვიწრო ფირფიტაზე საიდუმლო ინფორმაციის დატანის შემდგომ ხდებოდა, ფირფიტის სამკაულად გადაქცევა;*
- ***ქერქით შენიღბული მცირე ზომის ხის დაფის მეშვეობით;***

ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელების სადაზვერვო სამსახური.

---

[4] **ე.ჩერნიაკი, „ხუთასწლიანი ფარული ომი“, თბილისი, 1969. გვ.9;**

[5] **Aeneas Tacticus. http://Wikipedia.org;**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელს ფილიპე II-ს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 360-336 წლები)[6] საბერძნეთი მთლიანად დამორჩილებული ჰყავდა, რისთვისაც მან სხვა მნიშვნელოვან ქმედებებთან ერთად პოლიტიკური მოსყიდვის მეთოდი გამოიყენა. მის დროს ფუნქციონირებდა სამსახური, რომლის მეშვეობითაც სამეფო კარს დროულად და სისტემატიურად მიეწოდებოდა მონაცემები:

► ***კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებლობის მიდრეკილების მქონე ტომთა ბელადების ქმედებების შესახებ;***

► ***სპარსეთის სამეფო კარზე ცხოვრების წესის, პოლიტიკური ცვლილებების, ახალი პოლიტიკური მისწრაფებების და ტენდენციების, სამხედრო ძალების განლაგებისა და იქ არსებული გუნება-განწყობილებების შესახებ და სხვა.***

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356-346 წლებში ***ომმა*** საბერძნეთი ორად გაყო. ამ პერიოდში ათენში პრომაკედონური და ანტიმაკედონური განწყობები არსებობდა, რაც ამავე მიმართულების მქონე პარტიების აქტიური პოლიტიკური ბრძოლის საფუძველი გახდა, **და დაინტერესებული ქვეყნის სადაზვერვო შეღწევადობაზე მიანიშნებდა. პრომაკედონიური პარტიის მხარდაჭერა (მათ შორის ფინანსური) მსხვილი მონათმფლობელური არისტოკრატიის მიერ იყო უზრუნველყოფილი.** ყოველივე გარეშე ძალის მონაწილეობის შენიღბვასა და არისტოკრატიაში სადაზვერვო შეღწევადობაზე მიანიშნებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფილიპე II ამ პერიოდისათვის ფლობდა ინფორმაციას საომარ მოქმედებებში

[6] **Philip II of Macedonia. www.Livius.org;**

ძალთა უთანაბრობის შესახებ, აგრეთვე მის გადაწყვეტილებას საბრძოლო მოქმედებებს შეწყვეტაზე და მტრის წინააღმდეგ დივერსიების წარმოების აუცილებლობაზე, მაშინ ჩვენს მიერ ზემოგამოთქმული მოსაზრება სადაზვერვო უზრუნველყოფაზე და ვერსია ***სამეფო კარზე გადაწყვეტილების მიღებისას, სადაზვერვო მონაცემების გათვალისწინებ***ა**ზე** კიდევ უფრო მყარდება.

დივერსიების განსახორციელებლად გამოიყენებოდა:

- ***მოწინააღმდეგეთა კონტროლს დაქვემდება- რებული კუნძულების, სავაჭრო გემების ძარცვა – დაპყრობა;***
- ***სტრატეგიული გზების გადაკეტვა და ა.შ;***

დივერსიული ქმედებების პარალელურად, პრომაკედონიური ***პარტიის პოლიტიკური მოღვაწეობა მაკედონიის ქმედებების ირგვლივ დადებითი საზოგადოებრივი აზრის – „მაკედონიასთან შერიგებისა და შეერთების აუცილებლობის“ მობილიზაციაზე*** იყო ორიენტირებული. ამავე მიზანს ემსახურებოდა ***საომარი მოქმედებებით დაინტერესებული მოწინააღმდეგის*** ძლევამოსილი სპარსეთის[7] ***მხრიდან საბერძნეთის დაპყრობის საფრთხის არსებობის და ანტიმაკედონური ფრონტის მიერ, ფილიპე II ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ ყალბი მონაცემების სისიტემატიური და მასობრივი გავრცელება.*** გამოდის, რომ სასურველი ***საზოგადოებრივი აზრის მობილიზება***

[7] **A historu of Ancient Greece. www.age-of-the-sage.org.**

ხორციელდებოდა როგორც ***საკუთარი***, ისე ***დაინტერესებული სამეფოს მისამართით***.

მკაცრ სადაზვერვო მეთვალყურეობას, **სიტემატიურ წვრთნასა და უმკაცრეს დისციპლინას** სამხედრო დანაყოფები ექვემდებარებოდნენ: **მაღალი რანგის ორი სამხედრო პირის გადაყენების საფუძველი, არფის დამკვრელი ქალის საომარ ბანაკში მიყვანა გახდა.**[8]

ამრიგად, ფილიპე II-მ უზრუნველყო უზარმაზარი იმპერიისა და მასზე მცხოვრები მოსახლეობის წარმატებული სადაზვერვო კონტროლი.

ფილიპე II ჰყავდა სადაზვერვო საქმიანობის გამხორციელებელი დანაყოფი ე.წ. პირადი დაცვის უზრუნველმყოფი სამსახური: „მეფე სიძე-ქალიშვილს შუაში ედგა, უკან ბრწყინვალე ამალა, ჰეტერები, „პაჟები“ და **მცველები მოჰყვებოდნენ“.**[9]

მეფის ***პირადი დაცვის არაეფექტური საქმიანობა*** გამოიხატა:

- ***<u>მეფის პოზიციური დაუცველობით</u>***: ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მტრის მიერ ნასროლმა ისარმა ფილიპე II-ს მარცხენა თვალი შეიწირა;
- ***<u>პირადი დაცვის პირადი შემადგენლობის სუსტი კონტრსადაზვერვო კონტროლით</u>***: ერთ-ერთი საზეიმო ცერემონიის დროს ფილიპე II-ზე თავდასხმა (**ტერორისტული აქტი**), პირადმა მცველმა ჰავსანიამ მახვილით განახორციელა, რაც მეფის გარდაცვალების[10] მიზეზი გახდა.

---

[8] **ლევან სანიკიძე „ალექსანდრე მაკედონელი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984. გვ.2;**

[9] **იქვე, გვ.38;**

[10] **The death of Philip II: a cold case. htt://stoa.wordpress.com;**

- ***<u>უახლოესი გარემოცვის სუსტი კონტრსადაზვერვო კონტროლით:</u>*** ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელს,[11] ახლო გარემოცვის მიერ ორგანიზებული ფილიპე II-ის მკვლელობა, ალექსანდრე მაკედონელის გამეფების საფუძველი გახდა.

ალექსანდრე მაკედონელმა მემკვიდრეობად ძლიერი რეგულარული ჯარი და ფლოტი მიიღო. გამეფებიდან უმოკლეს პერიოდში მას „160 ხომალდი, 3000 ქვეითი, 5000 ცხენოსანი და სხვა შეიარაღებული შენაერთები გააჩნდა“.[12]მან ქმედებების ორგანიზება ძლიერი და ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება-გაფართოების (მათ შორის სპარსეთის დაპყრობა) კუთხით დაგეგმა, რომლის დროსაც პირველ რიგში სამეფოს შიგნით არსებული პრობლემების (მათ შორის მაკედონიისა და საბერძნეთის ერთიანობა) მოგვარება დაიწყო.

წარმატებული ქმედებები აქტიური სადაზვერვო ქმედებებით იქნა უზრუნველყოფილი: ალექსანდრე მაკედონელისათვის ცნობილი იყო ინფორმაცია პროგნოზირებადი აჯანყებების შესახებ.[13] ამასთან ერთად, **მამის მკვლელობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სამეფო კარის ერთგული თანამებრძოლებით დაკომპლექტება**.

შედეგმაც არ დააყოვნა, საბერძნეთის **სხვადასხვა ქალაქებში მეფის საწინააღმდეგო**

---

[11] **ალექსანდრე მაკედონელი** ცცცკ/ცშლშზუეშფყწკჰცშლშ;

[12] **.Александр Македонский. http://izuchaem.info/aleksandr makedonskij/;**

[13] **ალექსანდრე მაკედონელი.**
რეეზშ?ჰ№ფდ?ყცწკ3ზკუოოყსწქ–?№?
ჰ?;ჰ?„**/;**

გამოსვლები დაიწყო, რაც ***დროული ინფორმაციული უზრუნველყოფის*** შედეგად წარმატებით იქნა ჩახშობილი.

საბოლოო ჯამში, სამეფო კარზე განორციელებული რეორგანიზაციის პროცესი, მეფის სასარგებლოდ დამთავრდა, რაც სადაზვერვო უზრუნველყოფის გარდა იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ 18 წლის ასაკში ა.მაკედონელი სარდალი იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბერძნეთის გაერთიანებისათვის მიმდინარე პოლიტიკურ და საომარ ქმედებებში. მისთვის ***სამეფო კარზე, მოსახლეობაში, ჯარში, უცხო სამეფოების კარზე არსებული გუნება-განწყობილებები, ინტრიგები*** ცნობილი იყო.

რეორგანიზაციის და აჯანყებების ფონზე, საბერძნეთისა და მაკედონიის ერთობის საწინააღმდეგოდ კვლავ **გააქტიურდა სადაზვერვო (მათ შორის მიმოწერითი) საქმიანობა**.

საბერძნეთში (ათენი, თებე, თესალია და სხვა) **იდეოლოგიური ბრძოლის პარალელურად** მცირე აზიიდან, სპარსელების მიერ ადგილი ჰქონდა ალ. მაკედონელის **მოწინააღმდეგე ძალებისადმი სამხედრო** (*ატალოსსა* და სპარსელი სატრაპეების კოორდინირებული საქმიანობა) **და ფინანსურ მხარდაჭერას**.

მაკედონელის მიერ, ატალოსის სამეფოს მოღალატედ გამოცხადებისა და სასჯელად სიკვდილის დადგენისთანავე, განაჩენი სპეციალური დანაყოფის მიერ სისრულეში იქნა მოყვანილი, რაც **საკანონმდებლო და იდეოლოგიური მობილიზების შემდგომ, სპეცდანაყოფის მიერ მოწინააღმდეგის ლიკვიდაციის ფაქტზე მიანიშნებს.**

აჯანყებების ინსპირირებამ ამავე პერიოდში, სისტემატიური ხასიათი მიიღო. იგი **არსებულ**

მმართველობას და წეს-წყობილებას საფრთხეს უქმნიდა, რაც **მტრის სადაზვერვო ქმედებების მნიშვნელოვან როლზეც მიანიშნებდა**: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წელს,[14]-[15]სპარსელთა მეფის დარიოსის წინააღმდეგ ბრძოლებში ალექსანდრე მაკედონელს სამხედრო შენაერთებში სხვადასხვა მიზეზების გამო, სხვადასხვა ფორმებით უკმაყოფილების გამოხატვამ სისტემატიური ხასიათი მიიღო, რამაც დაუმორჩილებლობისა და აჯანყების საფრთხე წარმოშვა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ აჯანყებების და დაუმორჩილებლობის პროცესი გამოირჩეოდა სისტემატიურობით: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 328-326-324 წლებში ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობასა და ჯანყს საჯარისო შენაერთებში.

ა.მაკედონელის მიერ, **მოჩვენებითი უზრუნველყოფილი კონტროლის გადამოწმებისა და გამორიცხვის მიზნით,** წარმატებით **გამოიყენებოდა დეზინფორმაციის მეთოდი.** საბერძნეთში მიზანმიმართულად იქნა გავრცელებული ინფორმაცია ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შესახებ, რამაც თებეში მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყება გამოიწვია. ეს უკანასკნელი კი სისხლში იქნა ჩახშობილი. ამგვარი წინაღმდეგობის კონტროლის მიზნით, საბერძნეთის სამეფო დაზვერვაში, ა.მაკედონელის უშუალო ინიციატივით **დაინერგა**

---

[14] **ეჩერნიაკი, „ხუთასწლიანი ფარული ომი“, თბილისი, 1969. გვ.9;**

[15] **Michael Lahanas. „Alexander the Great (Alexander III of Macedon)“. www.mlahanas.de;**

საფოსტო ცენზურა, რის შედეგადაც საიდუმლო კონტროლს დაექვემდებარა:

► **სამხედრო დანაყოფებში მეომართა კორესპოდენცია;**

► **დიპლომატიური ფოსტა;**

ა.მაკედონელის მეფობის დროს ფუნქციონირებდა **საპატრულო სამსახური**, რომლის ფუნქცია, უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების ეფექტური საქმიანობის განმსაზღვრელი საკურიერო დანაყოფების თანამშრომლების **„მალემსბროლელი კურიერების“ (შიკრიკების) გამოვლენა-დაკავება** იყო.

წარმატებული საქმიანობის პირობებში შესაძლებელი ხდებოდა:

- ***გადასატანი საიდუმლო ინფორმაციის ხელში ჩაგდება;***
- ***დაინტერესებული ქვეყნის კონკრეტული ინტერესების დადგენა;***
- ***კურიერების (შიკრიკების) გადაბირების უზრუნველყოფა;***
- ***უცხო ქვეყნებში დაინტერესებული სახელმწიფოების აგენტურული აპარატის გაშიფვრა და სხვა.***

განხილულ საკითხებთან ერთად, სადაზვერვო საქმიანობის კუთხით საინტერესოა ***<u>საომარ მოქმედებებამდე და მოქმედებების დროს, საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისა და ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზების საკითხები</u>***, რაც ფილიპე II დროსაც აქტუალური იყო.

სამხედრო მსვლელობისას, ალექსანდრე მაკედონელის ***<u>უძლეველობის შესახებ საზოგადოებრივი აზრი მობილიზებამ ბრძოლების გარეშე ეგვიპტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობა</u>***

<u>განაპირობა</u>. ამაზე მეტყველებენ ისტორიული წყაროები, რომლებიც გვამცნობენ, რომ:

- *„ზარ-ზეიმით შემოეგება სრულიად ეგვიპტე „გამათავისუფლებელს“, „მხსნელს“, „მესიას“.*[16]
- *მშვიდობიანად „გამოეგება ალექსანდრეს ამონის ქურუმთა დასი, უმაღლესი ქურუმის წინამძღოლობით, . . . იგი გამოცხადდა ღვთის ძედ“.*[17]

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წელს, სპარსელთა **მრავალრიცხოვანი ჯარის დამარცხებისას მხედარმთავრის შტაბი წარმოდგენილი იყო, როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისაგან. პროფესიის თვალსაზრისით შტაბში ირიცხებოდნენ:**

- **სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები;**
- **ისტორიკოსები, გეოგრაფები და ფილოსოფოსები;**
- **მკითხავები;**

რაც, **საბრძოლო მოქმედებებისას სადაზვერვო-ანალიტიკური** მუშაობის მნიშვნელოვან როლზე მიანიშნებს. სწორედ **სადაზვერვო-ანალიტიკური** მუშაობის შედეგად, სადაზვერვო სამსახურმა შეძლო მოეპოვებინა სადაზვერვო ინფორმაციები სპარსელების მხრიდან, სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ ბერძნების გადაბირებისა და მათ მხარეზე ბრძოლის უზრუნველმყოფი პირობების შექმნაზე, აგრეთვე ამ ვითარების განეიტრალების მიზნით, კორინთის კონგრესზე ბერძნების,

---

[16] ლევან სანიკიძე. „ალექსანდრე მაკედონელი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984. გვ. 121;
[17] ლევან სანიკიძე. „ალექსანდრე მაკედონელი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.გვ. 127;

სპარსელებთან ყოველი სახის კავშირ-ურთიერთობების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ეფექტური სადაზვერვო-ანალიტიკური მუშაობის შედეგად, **სპარსეთის ზეგავლენასა და კონტროლს დაქვემდებარებულ ბერძნულ ქალაქებში, წარმატებული ჯანყი იქნა ინსპირირებული ადგილობრივი ოლიგარქებისა და სპარსელი მეცხიოვნეების წინააღმდეგ**.

ეფექტურ სადაზვერვო-ანალიტიკურ მუშაობას უკავშირდება, ალ. მაკედონელისადმი, კარიის დიდი ქალაქების ტრალესისა და მაგნეზიის მართველების მიერ, სპარსეთისადმი **ხარკის გადახდის პროცესის შეწყვეტა და კონტროლირებადი სამეფო-ტერიტორიების უბრძოლველად გადაცემა**. მსგავსი სადაზვერვო ქმედებებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 331 წელს უზრუნველყოფილი იყო ეგვიპტის პრაქტიკულად უბრძოლველად, ხოლო შემდგომში სირიის, პალესტინის, მესოპოტამიის, ირანის, ინდოეთის და სხვა სახელმწიფოების აღება, რითაც, ა.მაკედონელმა აზიის შუაგულსა და ინდოეთის დასავლეთ საზღვრებამდე მიღწევა შეძლო.[18]

დაპყრობილი ტერიტორიები საკმარისი არ აღმოჩნდა. ალ. მაკედონელმა არ გაითვალისწინა არისტოტელეს სიბრძნე: „სახელმწიფოთა ზომებსაც კი აქვს საზღვარი“ და ახალი დაპყრობითი ომები განიზრახა. **არ იქნა გათვალისწინებული არსებული ინფორმაციები ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების შესახებ, რომელიც პირად უსაფრთხოებაზე ზრუნვის გაძლიერების აუცილებლობაზე მიანიშნებდა, რასაც საფუძვლად უცხო ქვეყნების სადაზვერვო ქმედებების შედეგად**

[18] **Macedonia-Province of the Roman Empire. www.unrv.com**

გახშირებული ამბოხებები ედო. მიუხედავად იმისა, რომ მხედართმთავრები ფილოტა და პარმენიონი ამბოხის მოწყობისათვის სიკვდილით დაისაჯნენ, საშიშროება კვლავ დიდი იყო.

არსებული წეს-წყობილების და პირადი უსაფრთხოების დაცვის კუთხით ვითარების გამძაფრება ა.მაკედონელის მიერ გაგეგმილ ჯარის რეორგანიზაციის პროცესს მოჰყვა.

ამ პერიოდისათვის ჩვენ წელთაღრიცხვამდე 323 წელს, ღვინოში საწამლავის გარევით (გაურვვეველი ავადმყოფობით 32 წლის) [19] ალექსანდრე მაკედონელი მოკლული იქნა.[20]

საბერძნეთში ეფექტური სადაზვერვო საქმიანობის დადასტურება სოლონის, კლისთენეას და დრაკონის კანონმდებლობის განხილვითაც არის შესაძლებელი.

სოლონის (მოღვაწეობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 638-558 წლებში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მას მნიშვნელოვანი გამოცდილება ჰქონდა საზღვაო ვაჭრობაში და ამ პერიოდისათვის, სწორედ ეს მიმართულება ითვლებოდა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სადაზვერვო საქმიანობაში, დასაშვებია ვარაუდი მისი, როგორც პროფესიონალი **მზვერავის პრაქტიკის** მქონე რეფორმატორ-მხედარმთავრის და კანონმდებლის შესახებ. მის მიერ შექმნილი კანონები, გარდაცვალებიდან 200 წლის შემდეგაც კი გამოიყენებოდა) [21] **კანონმდებლობა**:

---

[19] **What killed Alexander the Great. www.grahamphilips.net;**

[20] **Каширина Т.В. „История государства и права зарубежных стран“.Часть1.http://ecollege.ru;**

[21] **Rechte Ordlung: Die Reformen Drakons und Solons. www.meinebibliothek.de;**

► **სოციალური აფეთქების თავიდან აცილების** (გაკოტრებული ათენელი მოქალაქის უფლებების აყრისა და მონად გაყიდვის აკრძალვა და ამასთან დიდი გადასახადების მხოლოდ მდიდრებისთვის დაწესება და სამართლიანობის დასადგენად ყველა ფენისათვის სასამართლოს გამოყენების უფლების მინიჭება), **სადაზვერვო აპარატის უფლებრივი უზრუნველყოფის (**უუფლებო დაქირავებული მუშების მეზღვაურებად სამსახურში მოწყობის უზრუნველყოფა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდისათვის ათენის მოქალაქეების (მსხვილი მიწათმფლობელები, შეძლებული გლეხები და ვაჭრები, ღარიბი გლეხები, ხელოსნები და მეთევზეები, დაქირავებული მუშები) დახარისხება ქონებრივი წესის მიხედვით ხდებოდა, მაშინ დაქირავებულ მუშებში უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა ვიგულისხმოთ. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ იმ პერიოდისათვის ***ხიზანი მეზღვაურები სადაზვერვო ქმედებების უზრუნველმყოფი ობიექტები იყვნენ და ენობრივი ბარიერის თვალსაზრისით ინფორმაცის მოპოვებას ადვილად შეძლებდნენ (ყოფილ) მკვიდრ სახელმწიფოებში)*** **და შინაური მღელვარებების დროს ათენის მოქალაქეთა ქცევის წესების რეგულირების** (კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც რომელიმე მხარეზე მიუმხრობლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მოქალაქის უფლების ჩამორთმევა) **მიზნით**, ხოლო **კლისთენეს** (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 638-558 წლები) **კანონმდებლობა: სოციალური აფეთქების თავიდან აცილების** (წარმომავლობისა და სიმდიდრის მიხედვით დაყოფვის აკრძალვის დაწესება) **მიზნით** მნიშვნელოვანი იყო **დრაკონის** (ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში) **კანონმდებლობა,**

რომლის მიხედვითაც თითქმის **ყველა სამართალდარღვევა სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფად მიიჩნეოდა**. სიზარმაცე, უქმად ყოფნა, კერძო საკუთრების ხელყოფა, ქურდობა, ცეცხლის წაკიდება სიკვდილით ისჯებოდა.

მკვლელობა განუზრახვრელ და განზრახ სახეობად დაიყო და განუზრახველი მკვლელობა სიკვდილით აღარ ისჯებოდა. კანონიერად იქნა მიჩნეული აუცილებელი მოგერიება. ამასთან ერთად, სასჯელის სახეობები პატივის აყრითა და ქვეყნიდან გაძევებით შეივსო.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-III საუკუნეებში საბერძნეთში სადაზვერვო საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობდა.

<u>იკრიბებოდა ინფორმაციები:</u>

► ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების (განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლების) ირგვლივ;

► პოლიტიკური დესტაბილიზაციის ძირითადი მიზეზის-მდიდრებსა და ღარიბებს შორის ურთიერთობის შესახებ.

► დასაპყრობი ტერიტორიის ადვილად მისადგომობის, ცხოვრების ხელსაყრელი (წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, ნოყიერი ნიადაგები და სხვა) და კონტროლის შემთხვევაში დაცვის უზრუნველყოფის პირობების შესახებ;

► კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებლობის მიდრეკილების მქონე პირთა (ტომთა ბელადების) ქმედებების შესახებ;

► მოწინააღმდეგის სამეფო კარზე ცხოვრების წესის, პოლიტიკური ცვლილებების, ახალი პოლიტიკური მისწრაფებების და ტენდენციების, სამხედრო ძალების განლაგებისა და იქ არსებული

გუნება-განწყობილებების შესახებ; ► **საომარ მოქმედებებში ძალთა განფენის და ბრძოლის მიზანშეწონილობის შესახებ;**

► **იმ პირების შესახებ, რომლებსაც ახლად დაპყრობილი კოლონიებისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ;**

► **დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის პოლიტიკური პარტიების და არისტოკრატიის შესახებ;**

► **საერთოდ და განსაკუთრებით რეორგანიზაციის და აჯანყებების ფონზე, მიმოწერითი საქმიანობის შესახებ;**

► **მეფის პირადი უსაფრთხოების საკითხების შესახებ;**

სადაზვერვო ოპერაციების დროს გამოიყენებოდა შემდეგი მეთოდები:

► **ჩანერგვა** – მოწინააღმდეგის სამეფო კარზე სადაზვერვო შეღწევადობის და კონტროლის უზრუნველსაყოფად, მეფის განდევნის პროცესის ინსცენირება;

► **ფინანსური მხარდაჭერა** – მსხვილი მონათმფლობელური არისტოკრატიის მიერ, პოლიტიკური პარტიის (მათ შორის ფინანსური) მხარდაჭერა;

► **დივერსია** – მოწინააღმდეგეთა დასუსტების მიზნით კონტროლს დაქვემდებარებული კუნძულების, სავაჭრო გემების ძარცვა-დაპყრობა, სტრატეგიული გზების გადაკეტვა;

► **სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება** (მათ შორის მოწინააღმდეგესთან შერიგებისა და შეერთების აუცილებლობაზე);

► **დეზინფორმაცია** – მოჩვენებითი უზრუნველყოფილი კონტროლის გადამოწმების და გამორიცხვის მიზნით;

► **ტერორისტული აქტი** – მეფის ლიკვიდაციის მიზნით;

► **საფოსტო ცენზურა** – სამხედრო დანაყოფებში მეომართა კორესპოდენციისა და დიპლომატიური ფოსტის საიდუმლო კონტროლს დაექვემდებარების მიზნით;

► **აჯანყება** – მოწინაღმდეგის ზეგავლენასა და კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე დესტაბილიზაციის, დაზვერვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ხელისუფლების დამხობის მიზნით;

► **ინფორმაციის შენიღბული სახით, სამალავების მეშვეობით მიწოდება** – ფეხსაცმელში (ოფლის ზემოქმედებისაგან დასაცავად შეტყობინების თუნუქის თხელ ფირფიტაში მოთავსება), სამკაულში (თუთიის თხელ ვიწრო ფირფიტაზე საიდუმლო ინფორმაციის დატანის შემდგომ, ფირფიტის სამკაულად გადაქცევა) და მცირე ზომის ხის დაფა (ქერქით დაფარული, რომლის მოშორებისას დაფაზე დაიტანებოდა საიდუმლო შეტყობინება, რის შემდგომაც შესაძლებელი იყო ქერქის საწყის პოზიციაზე დაბრუნება და გადაადგილება);

ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთში ეფექტური სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად საკანონმდებლო უზრუნველყოფამ განაპირობა. **ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ამ კუთხით გამორჩეულია სოლონის, კლისთენეს და დრაკონის კანონმდებლობა. სოციალური აფეთქების თავიდან აცილების, სადაზვერვო აპარატის უფლებრივი უზრუნველყოფის და შინაური მღელვარებების დროს ათენის მოქალაქეთა ქცევის წესების რეგულირების მიზნით. ამასთან ერთად კანონმდებლობით თითქმის ყველა**

სამართალდარღვევა სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფად იყო მიჩნეული.

This image cannot currently be displayed.

ხეთების სამეფოს დაზვერვა

XX საუკუნის დასაწყისში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევებისას დადგინდა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულში დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ხეთების ძლიერი იმპერია არსებობდა, რომლის კონტროლი მცირე აზიაზე სირიამდე ვრცელდებოდა. ამ პერიოდისათვის ხეთები, ეგვიპტელების წინააღმდეგ წარმატებულად იბრძოდნენ და ამავდროულად ბაბილონის დაპყრობაც შეძლეს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1680-1650 წლებში,[22] ხეთების იმპერიის დამაარსებლად ლაბარნა I მიიჩნევა. მისი ორგანიზებით ხეთების ჩრდილოეთ სირიასთან, შორეულ ბაბილონთან და ეგვიპტესთან წარმატებული საომარი მოქმედებები და შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე კონტროლი იქნა უზრუნველყოფილი: „ქვეყანა კი პატარა იყო, მაგრამ რომელ ლაშქრობაშიც იგი წავიდოდა, მტრის ქვეყანას ძალით იმორჩილებდა. . .“[23]

წარმატება სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, ჯარის ორგანიზაციითა და იმ პერიოდისათვის საუკეთესო აღჭურვილობის

[22] **Labarna I (1680-1650).www.hitites.info;**

[23] **კ.კერამი. „ხეთების საიდუმლოება“,თბილისი.1966. გვ.108;**

(ცხენიანი საბრძოლო ეტლის[24] და რკინის იარაღის) გამოყენებით იქნა განპირობებული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV საუკუნეში ხეთების იმპერია შესუსტდა და იძულებული გახდა ეგვიპტის ფარაონისათვის ხარკი გადაეხადა. ხეთების სამეფომ განვითარებისა და გაძლიერების პიკს ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში მიაღწია. ამ პერიოდისათვის დაპყრობილ ტერიტორიათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ: ანატოლიის დიდი ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ სირია და ზემო მესოპოტამია.

სუფილულიუმა I (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1375-1335 წლებში) მეფობის დროს ხეთების სახელმწიფომ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია, რომელიც სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, პოლიტიკური გამჭრიახობის, სიმამაცის, სახელმწიფო აპარატის სწორი ორგანიზაციის ხარჯზე იქნა მიღწეული.

იმპერიის საზღვრების საგარეო და საშინაო კონტროლის სისუსტემ, რაც პერმანენტული სისტემატიური აჯანყებებით და ხეთების ჯარის სისტემატიური დამარცხებებით იყო მიღწეული, ხეთების სამეფო დაასუსტა, ხოლო სირიაზე კონტროლი ეგვიპტემ გადაიბარა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში ხეთების იმპერია დამოუკიდებელ სამთავროებად დაიშალა, ხოლო მისი არსებობა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 1200 წელს შეწყდა.

ხეთების სამეფოს ძლიერების პერიოდები სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად აქტიურმა და ეფექტურმა სადაზვერვო საქმიანობამ განსაზღვრა:

---

[24] **Conflicts and battles of the humanity ASIA,SYRIA,PALESTINE.http://miltiade.pagesperso- orange.fr/GB /hittitesGB.htm;**

* ხათუსილი I (ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1650-1620 წლები) [25] - [26] მეფობის პერიოდში აქტიური სადაზვერვო და საომარი მოქმედებებით სირიის სასაზღვრო რაიონში შეჭრა და ალეპოზე სამხედრო მიმართულებით გალაშქრება ***ბუფერული ზონის*** შექმნის წარუმატებელი მცდელობა იყო. ყოველივე ტერიტორიული თვალსაზრისით, აქტიური სადაზვერვო ქმედებების (მათ შორის სამომავლოდ) უზრუნველმყოფ ერთ-ერთ ძირითად მეთოდად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნულ პერიოდში სადაზვერვო საქმიანობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ ბრძოლების პირობებში ხათუსილი I მიეწოდებოდა ინფორმაცია:

***** თავისი არმიის ზურგში არსებული ვითარების (მათ შორის, მტრული ქმედებების) შესახებ;

***** შვილების (ქალ-ვაჟის) ქმედებების (ღალატის) შესახებ და სხვა.

ხეთური იმპერია, მურსილი I (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1556-1526 წლები) მეფობის დროს, აღმოსავლეთში ეგვიპტესთან და ბაბილონთან ერთად, ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1375-1335 წლებში, ხეთების სამეფო უცხო ქვეყნების მიმართ აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ანხორციელებდა.

სუფილულიუმ I-ს ხელთ ქონდა მონაცემები: ***ხასიის სამეფოში ცხოვრების წესებისა და ტრადიციების შესახებ:*** „ცოლ-ქმრობა და-ძმას

---

[25] **კ.კერამი. „ხეთების საიდუმლოება“,თბილისი.1966. გვ.109;**

[26] **ХАТТУСИЛИ, МАСТЕР ПОЛИТИЧЕСКИХ ЗАВЕЩАНИЙ www.top-history.ru;**

შორის, ნათესავთა ახლობელთა სისხლის შერევა ნებადართული ყოფილა.“[27]

გადამოწმების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდა ***უცხო სახელმწიფოთა შემოთავაზებები*** (შემდგომში ტახტის მემკვიდრის რანგში ასაყვანად, ეგვიპტის ქვრივი დედოფლის თხოვნა, ხეთების მეფის ერთ-ერთი ვაჟის ქმრად მიცემის თაობაზე დაექვემდებარა სადაზვერვო კონტროლს. ***სადაზვერვო კონტროლის-გადამოწმების უზრუნველმყოფ პერსონად ელჩი შეირჩა.*** მას დაევალა: „წადი და მომიტანე სწორი ცნობები, იქნებ მათ ჩვენი მოტყუება უნდათ? იქნებ მათ უკვე ჰყავთ ტახტის მემკვიდრე? მაშ, მომიტანე სწორი ცნობები!“[28])

ჩამოთვლილი ფაქტები ეგვიპტეში ელჩის სადაზვერვო-აგენტურული აპარატის არსებობაზე და ინფორმაციულ-ანალიტიკური მუშაობის პირობებზე უნდა მიანიშნებდეს.

*ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1312 წელს ეგვიპტის ფარაონს რამზეს II-სა და ხეთებს შორის მიმდინარე ბრძოლებისას [29] გამოიყენებოდა სადაზვერვო ქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი ***დეზინფორმაცია***.

საბრძოლო მოქმედებების დროს, ეგვიპტელთა კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხეთების ბანაკიდან მოღალატის როლის შესასრულებლად ორი მებრძოლის გაქცევა იქნა უზრუნველყოფილი. მათი

[27] კ.კერამი. „ხეთების საიდუმლოება“,თბილისი.1966. გვ.14;

[28] იქვე. გვ.143;

[29] ე.ჩერნიაკი„ხუთასწლიანი ფარული ომი“, თბილისი, 1969. გვ.8;

გამოკითხვით მოწინააღმდეგეს მიეწოდა ***ყალბი მონაცემები***, რამაც ეგვიპტელთა ***არასწორი ტაქტიკითა და სტრატეგიის ბრძოლის ინსპირირება*** გამოიწვია.

საომარი ქმედებების დროს მოწინააღმდეგის სადაზვერვო სამსახურის ***დეზინფორმაციით***, შესაძლებელი გახდა ეგვიპტის სამეფო ჯარების საზიანოდ ***სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის ფარულად გავლა და პოზიციების დაკავება.*** ეგვიპტის მეფეს ხელთ ქონდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ხეთების სამეფო ჯარები სირიის ჩრდილოეთით იყვნენ განლაგებული, მაშინ როდესაც ჯარი ქალაქ კადეშთან სიახლოვეს, მდინარე ორნოტთან იყო განფენილი.

*აქტიურ სადაზვერვო ქმედებებზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ***საბრძოლო ხელოვნების დახვეწის მიზნით ინფორმაციის შეკრებას სიტემატიური ხასიათი ქონდა***: „ხეთებმა მხოლოდ მეცხენეობის ცოდნა შეითვისეს მეზობლებისაგან...სრულყოფდნენ ცხენის გაწრთვნის მეთოდებს, აუმჯობესებდნენ ცხენოსნობას, იგონებდნენ ორთვლიან ახალი ტიპის საომარ ეტლს.“[30]

აქტიური სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდებოდა ხათუსილი III (ხეთა (ხათი) და მეზობელი ქვეყნები[31]) მეფობის დროს. ***მოქმედების დიაპაზონიდან გამომდინარე, სადაზვერვო საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ხეთი ვაჭრები***, რომლებიც აღმოსავლეთის არაერთ ქვეყანასთან წარმოებული საგარეო ვაჭრობის

[30] **В.Б.Ковалевская. „Конь и всадник“. Глава III. Конь в Передней Азии http://annals.xlegio.ru/other/kovalevsk/03.htm;**

[31] **http://www.istoria.ge/King&Queens/mcire-azia/xeta.htm;**

ოპერაციებში სისტემატიურად მონაწილეობდნენ. ამ პერიოდისათვის სადაზვერვო საქმიანობის აქტიურობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ***სამეფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის და სამხედრო-საომარი მიზნებისათვის დამზადებული პროდუქციის შესახებ ინფორმაცია საიდუმლოდ იყო დაცული.***:

- „რკინის საგნები მზადდებოდა ხათის ქვეყნის სულ სხვადასხვა ადგილას და დიდი რაოდენობით,“[32] რაც ***სადაზვერვო მოწყვლადობის თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემოება*** იყო;

- ასურეთის მმართველის სალმანსარ I თხოვნას, მაღალი ხარისხის რკინის გადაგზავნის თაობაზე, ხათუსილი III (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1300-1250 წლები) მიერ უარი ეთქვა იმ მოტივით, თითქოსდა ხეთებს იგი არ გააჩნდათ.

ამავე პერიოდისათვის ეგვიპტესა და ხეთებს შორის აქტიური საომარი მოქმედებების ფონზე, სისტემატიურად იკრიბებოდა მონაცემები, ასურეთის ქმედებების შესახებ. „გაძლიერებული ასურეთი შუა ევფრატის მხარეში მდებარე ტერიტორიებს უტევდა, რის გამოც შეტაკება გარდაუვალი ხებოდა.“[33]

სწორად განხორციელებულ სადაზვერვო ქმედებზე მიუნიშნებს ის გარემოება, რომ ხათუსილი III საკუთარი სამეფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეგვიპტესთან, საზავო მოლაპარაკების ინიციატორი ხდება.

სადაზვერვო საქმიანობის ეფექტურობა ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა განსაზღვრა:

---

[32] **გ.გიორგაძე. „ათასი ღვთაების ქვეყანა“ თბილისი. 1988. გვ.91-92;**

[33] **იქვე. გვ.77;**

► ***<u>საერთაშორისო ურთიერთობებისას სადაზვერვო კუთხით საკანონმდებლო უზრუნველყოფამ.</u>*** (ეგვიპტესთან საომარი მოქმედებების დროს, ხათუსილი III მიერ ინიცირებული ზავის ხელშეკრულება, საკუთარი სამეფოს საწინააღმდეგოდ მოქმედი მტრული ძალების მხრიდან შემდგომი ***სადაზვერვო ქმედებების აღმკვეთ პუნქტს***აც ***შეიცავდ***ა: „ეგვიპტიდან ხათის ქვეყანაში გაქცეული ხეთების მეფეს ფარაონისათვის უნდა დაებრუნებინა, ხოლო ხათიდან ეგვიპტეში გამოქცეული ფარაონს ხეთების მეფისათვის უნდა გადაეცა“.[34])

► ***<u>სადაზვერვო უზრუნველყოფისათვის და არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზის</u>*** ***<u>არსებობამ, დანაშაულის კვალიფიცირებამ და დასჯის სახეობებმა.</u>*** (სამეფოს ძლიერების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები კვალიფიცირდებოდა, როგორც:

- „სამეფო ქონების გაფლანგვა ან ქურდობა“;
- „ქრთამის აღება“;
- „სხვისი საკუთრების უკანონოდ მითვისება“;
- „ქურდობა“;
- „შეთანხმებების დარღვევა“
- „ქალის ღალატი“;
- „მიწათმფლობელობისა და ნათესებით უკანონოდ სარგებლობა“;
- „აკრძალული მაგიური აქტის განხორციელება“;
- „ყალბი დოკუმენტის გაცემა“;

[34] **გ.გიორგაძე. „ათასი ღვთაების ქვეყანა“ თბილისი. 1988. გვ.78;**

„სასახლის საწყობიდან ნივთისა და საქონლის უსაბუთო გაცემა“;

●„თანამდებობის ბოროტად გამოყენება“ და სხვა.

განსაკუთრებულად ისჯებოდნენ ყალბი ჩვენების მიცემისათვის. დასჯის სახეობები ხეთების სამეფოში სხვა სამეფოებში არსებულ სასჯელების მსგავსებით გამოირჩეოდა. თუმც იყო გარკვეული განსხვავებებიც. დამნაშავეობა-უდანაშაულობის დასადგენად გამოიყენებოდა ორდალიას მეთოდი (თუ ბრალდებული წამებას გაუძლებდა ის გამართლებულად ჩაითვლებოდა.[35])

სუფილულიუმ I (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1375-1335 წლებში) განსაკუთრებულ სისასტიკეს მორალისა და იურიდიულ პრინციპთა დაცვაში იჩენდა.

სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობისათვის დასჯის სახედ შემოსავლების შემცირება (შვილებზე გამოყენებული ზომა), საცხოვრებლად გარკვეული ადგილის შერჩევა – გადასახლება და სხვა სახეობები გამოიყენებოდა).

► ***<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის ობიექტების, სადაზვერვო-აგენტურული აპარატის (ხეთი ვაჭრები) განსაკუთრებული დაცვისათვის საკანონმდებლო უზრუნველყოფამ.</u>***

(ხეთური კანონების I ფირფიტის §5 მიხედვით: „უკუთუ ვინმე ხეთ ვაჭარს მოკლავს, 100 მინა ვერცხლს გაიღებს და მის სახლს ჩააბარებს.“[36]

<u>ხეთების სადაზვერვო ქმედებებში სისუსტეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ:</u>

---

[35] „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. **http://www.nplg.gov ge;**

[36] **გ.გიორგაძე. „ათასი ღვთაების სამეფო“. თბილისი. 1988. გვ.87;**

◘ რამზეს II (მეფობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1279-1213 წლებში) მეთაურობით, ***ხეთებთან საომარი მოქმედებების დროს ეგვიპტემ, ხეთების მეკავშირე სახელმწიფო მართველის გადაბირება*** და ჯაშუშების დაკავება უზრუნველყო;

◘ ეგვიპტელებთან საომარი მოქმედებების დროს, ***ბრძოლის ველზე*** რამზეს II ***პირადი დაცვის გარეშე დარჩა*** (მეფის მიმართვა: „ჩემო დიდებულნო, ჩემო ჯარისკაცნო და ჩემო მეეტლენო, რომ არ იბრძოლეთ!...რომ დამტოვეთ მარტო მტრის შუაგულში...“) [37] , ხოლო ხეთებმა შექმნილი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს, რასაც ომში მათ სასარგებლოდ ვითარების შეცვლა შეიძლება მოყოლოდა. აღნიშნული ***წარუმატებელ სადაზვერვო ქმედებაზე მიანიშნებს***.

–ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200 წელს ხათი დედაქალაქითურთ საერთოდ განადგურდა, რადგან არ არსებობდა ***წინმსწრები და სრულყოფილი სადაზვერვო მონაცემები ხეთების სამეფოზე მტრულად განწყობილი ძალების განზრახვების შესახებ***. „კატასტროფა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ ხათუსის მწერლებმა ვერც მოასწრეს რაიმე ცნობის დადასტურება.“[38]

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ, რომ <u>სადაზვერვო საქმიანობის კვალი ხეთების სამეფოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნიდან შეინიშნება.</u>

<u>სადაზვერვო შესწავლას ექვემდებარებოდა:</u>

---

[37] კ.კერამი„ხეთების საიდუმლოება“,თბილისი. 1966. გვ.161;

[38] გ.გიორგაძე, „ათასი ღვთაების ქვეყანა“, თბილისი. 1988. გვ83;

► მოწინააღმდეგე სამეფოს მოსახლეობა, ცხოვრების წესები, ტრადიციები;

► მოწინააღმდე სახელმწიფოების მეფეები და მათი უახლოესი გარემოცვა;

► მეზობელი და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების საბრძოლო ძალები და საშუალებები, საბრძოლო ქმედებები;

► სამხედრო-საომარი მიზნებისათვის გამოსაყენებელი უცხო სახელმწიფოების სტრატეგიული ნედლეული, მისი დამუშავების ადგილი და პროცესი;

► უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები;

► უცხო ქვეყნების შემოთავაზებები;

► საომარი მოქმედებები სხვა ქვეყნებს შორის და მათი შემდგომი მიზნები;

► კონფლიქტების (მათ შორის საომარი) ინსპირირებამდე მოწინააღმდეგესთან ბალანსის არსებობა;

<u>სადაზვერვო შეღწევადობის უზრუნველმყოფი ჯგუფის აპარატში (მზვერავი და აგენტი) შედიოდნენ:</u>

(მეფე და უახლოესი გარემოცვა;

(ვაჭრები;

(ელჩები;

<u>სადაზვერვო აქციებისას გამოიყენებოდა:</u>

□ საომარი მოქმედებებით, ტერიტორიის დაპყრობით ბუფერული ზონის შექმნა, შემდგომში

აქტიური სადაზვერვო პროცესის უზრუნველსაყოფად;

- დეზინფორმაცია - საომარი მოქმედებების დროს მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, საბრძოლო ტერიტორიაზე უსაფრთხო გადაადგილების და მნიშვნელოვანი ტერიტორიის კონტროლის უზრუნველსაყოფად;


დაბეჭდვა
ძველ
სპარსეთში

დაზვერვა ძველ სპარსეთში

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო სპარსეთი (დღევანდელი ირანი) ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში წარმოიშვა და ახლო აღმოსავლეთში დომინანტის როლისათვის ბრძოლა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 614-612 წლებში დაიწყო, რომლის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობა ასურეთის იმპერიის განადგურება გახდა.

სპარსეთის იმპერიის ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 559-486 წლებს მოიცავს, რომელიც აქემენთა დინასტიის მმართველთა მიზანმიმართულმა რეფორმისტულმა საქმიანობამ განსაზღვრა, რაც წინა იმპერატორის მიერ დაწყებული სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეების გაგრძელება-განვითარების პროცესებმა განაპირობეს.

სამეფო დინასტიის წარმატებული მოღვაწეობიდან გამორჩეულია:

- სპარსთა იმპერატორის კიროს II მიერ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 558-530 წლები) [39] მიდიელთა დამარცხება და მიდიის სამეფოს ტერიტორიების მიერთება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 550 წელს და ბაბილონის დაპყრობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 539 წელს;
- კამბისე II მიერ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 530-522 წლები) [40] ეგვიპტის დაპყრობა და ტერიტორიული თვალსაზრისით იმპერიის მნიშვნელოვანი გაფართოება ცენტრალური აზიიდან

[39] **History of Iran. Cyrus II. www.iranchamber.com;**
[40] **Cambyses II. www.livius.org;**

მაკედონიამდე (ელამა, ბაბილონი, სირია, ფინიკია, ეგვიპტე და სხვა);

▪დარიოს I-ის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 522-486 წლები)[41] სპარსელთა მმართველობა, რომელმაც თავისი გავლენა ბერძნული პოლისების გარდა, მთელ ცივილიზებულ სამყაროზე განავრცო;

სპარსეთის კონტროლს დაქვემდებარებულ და დასაქვემდებარებელ ტერიტორიებზე სისტემატიური ხასიათი ჰქონდა ***იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ***ი ისეთი სახის ***აქციებს***, როგორიცაა:

► კიროსისა და კამბისეს მმართველობის პერიოდში ***სეპარატისტული ტენდენციები***, რომლის გამომწვევი მიზეზი დაპყრობილ ტერიტორიებზე ადგილობრივი მმართველობითი სისტემის შენარჩუნებით იყო გამოწვეული.

► ***საიმპერიო მოხელეთა მექრთამეობა*** (განსაკუთრებით ***სასამართლო ხელისუფლებაში***);

► საიმპერიო ***ხელისუფლების (გუბერნატორი) წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები***, რომელთა ინსპირირება ძირითადად ***დეზინფორმაციის საფუძველზე*** ხდებოდა. დარიოს I მიიჩნევდა, რომ ***<u>დაპყრობილი ქვეყნების ჯანყი ტყუილთან იყო დაკავშირებული</u>***.

ძლევამოსილ იმპერიას დაქვემდებარებულ და დასაქვემდებარებელ ტერიტორიაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, გადასახადების აკრეფის მოწესრიგებისა და სამხედრო კონტიგენტის გაზრდის პარალელურად, აუცილებელი გახდა სადაზვერვო კონტროლი, რომლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად დროული, სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მოპოვება ითვლებოდა,

---

[41] **Persien Grosskönig Darius I. www.genealogie-93-generationen.eu;**

რაც იმას ნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო იმპერატორის კარზე, მოპოვებული ***ინფორმაციის (წერილობითი და სიტყვიერი) დროული მიწოდება***. ამ მიმართულებით, სადაზვერვო ფუნქციის მატარებელი საკურიერო სამსახური უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საიდუმლო დოკუმენტების დროულ მიმოქცევას უზრუნველყოფდა. საკურიერო სამსახურის ეფექტური საქმიანობა, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, კარგი გზების არსებობით იყო განპირობებული.

სპარსეთში ჯერ **კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1100 წელს არსებობდა საკურიერო სამსახური და გადაადგილების საშუალებად აქლემს იყენებდნენ. სპარსეთში დახვეწილი საკურიერო მომსახურება კიროს II დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 550-529 წელს) ხორციელდებოდა.**[42]

საკურიერო სამსახურის თანამშრომლები ანხორციელებდნენ:

•დოკუმენტაციის (მათ შორის საიდუმლო შეტყობინებების) გადაზიდვას. (თითოეული კურიერის გადაადგილების მარშრუტი 250 კმ-ს შეადგენდა. კონკრეტული მარშრუტის ბოლოს სამეთვალყურეო პოსტები და სასტუმროები იყო განთავსებული, დღეში გადაადგილების მანძილი 145 კილომეტრს შეადგენდა.

პოსტები კურიერთა კონტროლის ერთ-ერთ ელემენტადაც გამოიყენებოდა, ხოლო მარშრუტზე შეკრებილი საიდუმლო ინფორმაციების დატოვება კურიერების მიერ პოსტებზე ხდებოდა, რომლის ცენტრში გადაგზავნა საპირისპირო მიმართულებით,

---

[42] **В.Б. Ковалевская. „Конь и всадник“. Глава III. Конь в Передней Азии http://annals.xlegio.ru;**

უკუ სვლა-გეზზე მოძრავი კურიერის მეშვეობით ხორციელდებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა ინფორმაციის დროული მიწოდება. დასაშვებია ვარაუდი აღნიშნული პოსტების, როგორც გზების სადაზვერვო კონტროლის უზრუნველსაყოფად გამოყენებაზე. სვლა-გეზის (მარშრუტის) დასრულების შემდგომ კურიერები ვალდებულები იყვნენ შეედგინათ ***წერილობითი ინფორმაციები ყოველივე ნანახისა და გაგონილის შესახებ.***[43]

დასაშვებია ვარაუდი საკურიერო სამსახურის თანამშრომლის, რეზიდენტად (აგენტურული აპარატის შექმნა: გადაბირება და შეხვედრების ორგანიზება და სხვა) გამოყენების შესახებ. ამასთან ერთად, აღნიშნული პროცესი უკვე მოპოვებული და გადმოგზავნილი საიდუმლო სადაზვერვო მონაცემების შევსების პროცესად, ხოლო წერილობითი ინფორმაცია ანალიტიკურ სრულყოფად უნდა იყოს მიჩნეული, რადგან საიმპერატორო კარზე შეკრებილი სადაზვერვო მონაცემები შესაძლო მოწინააღმდეგის გამოვლენას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში გარკვეული კორექტირების საშუალებას იძლეოდა.

იკრიბებოდა ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის ჭორები გაგონილი ბაზრობებზე და ვაჭრების არაფხიზელ მდგომარეობის დროს ლაყბობისას. მსგავსი სადაზვერვო მიმართულება, ჭორით გამოწვეული პანიკის, კომპრომეტაციის, და ა.შ. პროცესის გარდა შეგვიძლია მივიჩნიოთ:

► იმპერიის აგენტურული აპარატის საქმიანობის (მათ შორის მიღებული კონკრეტული

---

[43] **„Разведка и шпионаж в Древней Персии“. http://history.rin.ru;**

დავალებების შესრულების ხარისხის) გადამოწმების პროცესად, რადგან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სადაზვერვო საქმიანობისათვის, აგენტურული აპარატის ერთ-ერთ ძირითად ძალად სწორედ ვაჭრები ითვლებოდნენ;

► ჭორის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლო მოწინააღმდეგე სამეფოს აგენტურული აპარატის საქმიანობის მიმართულებების შესწავლის, დაგეგმილი და სხვა ქმედებების (მათ შორის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ვაჭრების გადაბირების მიზანშეწონილობის) განსაზღვრის პროცესად;

► იმპერიის შიგნით და გარეთ, მიზანმიმართული ჭორების გავრცელების შემდგომ შექმნილი განწყობების შესახებ ინფორმაციის შეკრების, საზიანო შედეგების განსაზღვრის და მათი დროული აღკვეთის პროცესად;

ჭორის გავრცელებისა და განწყობების შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება კურიერებსაც შეეძლოთ.

წარმატებულ სადაზვერვო შეღწევადობად უნდა იყოს მიჩნეული ის ფაქტი, რომ **სპარსეთის დაზვერვამ ბერძნებთან ომის დროს მოწინააღმდეგის ზურგში, ომის მოგების შემაფერხებელი განწყობების შექმნა მოახერხა.**

ბერძნებსა და სპარსელებს ომის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500-478 წლებში) „*ბერძენთა ნაწილებში სპარსოფილურიგანწყობები იყო*.“[44]

სადაზვერვო ინფორმაციის შეკრების დროს გამოყენებული იყო **ინფორმაციის შესყიდვის მეთოდი**. ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს გადმოცემით მეფე „გულუხვად აჯილდოებს მათ,

[44] **„Предпосылки греко-персидских войн“. http://historic.ru;**

ვისაც მისთვის მოაქვს საინტერესო მონაცემები,... ***ის უსმენს ყველას, ვისაც კი რაიმე შეუძლია აცნობოს*** მეფეს",[45] რაც იმას ნიშნავს, რომ **მეფე უშუალოდ აქტიურად იყო ჩართული სადაზვერვო საქმიანობის პროცესში.** მას, როგორც უმაღლეს ხელისუფალს, საშუალება ჰქონდა გადაბირებითი საქმიანობა ეწარმოებინა როგორც სამეფოს შიგნით, ასევე სამეფოს გარეთ, მაღალ ეშელონებში. ყოველივე კი სადაზვერვო საქმიანობის ეფექტს ზრდიდა.

სამეფო კარზე არსებობდა სპეციალური სამსახური, რომელიც შეკრებილი ინფორმაციების დამუშავებას ახდენდა. ამავდროულად, ინფორმაციის ხარისხის შესაბამისად, სწორედ ეს **სამსახური ინფორმატორის მეფესთან შეხვედრას უზრუნველყოფდა.** ყოველივე **მეფის უსაფრთხოების გარდა, კონსპირაციის პრინციპების მკაცრ დაცვაზე და ინფორმაციის ხარისხობრივ დანაწევრებაზე უნდა მიუთითებდეს.**

სადაზვერვო აქციებისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 539 წლისათვის წარმატებით გამოიყენებოდა სასულიერო პირები.[46] მათი **კეთილგანწყობა დაპყრობილ ტერიტორიებზე რელიგიური მრწამსის შენარჩუნებით და დამპყრობის რელიგიის თავზე მოხვევის გამორიცხვით იქნა მიღწეული. ასეთი ქმედება პროპაგანდისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქმედება და მომავალი ტერიტორიული გაფართოების შემთხვევაში დასაპყრობად განწირულ ტომებში სათანადო კეთილგანწყობის, ე.ი. დაპყრობისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნიდა.**

---

[45] **„Разведка и шпионаж в Древней Персии" http://history.rin.ru;**

[46] იქვე;

პერიფერიებში სადაზვერვო აქციებისათვის წარმატებით გამოიყენებოდა, მეფის ინტერესების გამტარებელი ხელისუფალი – გუბერნატორი, რომელსაც საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციების შეგროვებასთან ერთად, გადაბირების პროცესის უზრუნველყოფაც შეეძლო.

უცხო სამეფოებიდან მართვადი, სპარსეთის იმპერატორის კარზე **სისტემატიური შეთქმულებების არსებობის**ა და აღკვეთის გამო, ხელისუფლება **მაქსიმალურად ზღუდავდა მეფის ქვეშევრდომების საერთაშორისო მიმოწერას** რაც საიმპერიო კარის მოხელეების სისტემატიურ სადაზვერვო კონტროლზე ყოფნას მიუნიშნებს. ამასთან ერთად, **სამეფო ხელისუფლების მოხელეთა საქმიანობის შესწავლის მიზნით სადაზვერვო სამსახურთან სპეციალური დანაყოფი ფუნქციონირებდა**, რაც სამეფოს მართვის აპარატის ეფექტური საქმიანობის ორგანიზებისათვის ხელშემწყობი გარემოება იყო, რადგან როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში მსგავსი საქმიანობით სამეფო კარის მოხელეებზე, შესაძლებელი იქნებოდა, დაინტერესებული სამეფოების ზეგავლენის უზრუნველყოფის აღკვეთა, აგრეთვე სამეფო კარის მოხელეების საქმიანობის ხარისხისა და მაცხოვრებელთა განწყობების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა.

სპარსეთის საიმპერიო დაზვერვა აქტიურად იყენებდა **ინფორმაციის შენიღბულად მიწოდების ქვემოჩამოთვლილ მეთოდებს**:

***სადაზვერვო წერილობითი ინფორმაციის მოკლული კურდღლის მუცელში მოთავსება და ძღვენის სახით მიწოდება;**

***ადამიანის თავის გადაპარსვა, სადაზვერვო ფრაზის ამოკვეთა, ინფორმაციის შენიღბვისათვის მოზრდილი თმით გადაადგილება;**

***სადაზვერვო ხასიათის ჩანახატების გაკეთება (რომელსაც უცხო ქვეყნებში გემებით მოგზაურობისას ვაჭრები უზრუნველყოფდნენ, რაც სპარსეთის იმპერიაში დაზვერვის ერთ-ერთი შტოს –საზღვაო დაზვერვის წარმატებით საქმიანობაზე მიანიშნებს) და ა.შ.**

მტრული ძალების გამოსავლენად სპარსეთის საიმპერიო დაზვერვა აქტიურად **იყენებდა დეზინფორმაციის მეთოდს – ცრუ შეტყობინება აჯანყების ინსპირირების შესახებ.**

სადაზვერვო უზრუნველყოფის კუთხით ქმედებებისას მნიშვნელოვანია მტრულად განწყობილ სამეფო კარზე განხორციელებული ჩანერგვითი ოპერაცია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 520 წელს სპარსეთმა ***ვერ უზრუნველყო ბაბილონის აჯანყების დროული ჩახშობა, რის გამოც საომარი ქმედებები 2 წელს გაგრძელდა***. ამ გარემოებამ ***პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია დაძაბა და ქვეყნის განვითარების პროცესები შეაფერხა***. პრობლემის მოსაგვარებლად სპარსეთის საიმპერიო დაზვერვამ შესაძლებელი გახადა **სპარსთა ლაშქრიდან გაქცეული „მოღალატის“ მოწინააღმდეგის ბანაკში ჩანერგვის ოპერაციის ორგანიზება (იმიტაციის სინამდვილედ ასახვა).** ჩანერგვის კუთხით სადაზვერვო ოპერაციის წარმატებულად დაგეგმარებასა და განხორციელებაზე მეტყველებს **„მოღალატის“ წინასწარ შერჩეული როლის ზედმიწევნით სწორად შესრულება, რის** შედეგადაც მას მცირე სამხედრო შენაერთის მართვაც კი მიანდეს, რაც ბაბილონის კარის დაცვის გაუვნებელყოფის, ქალაქის კარის

გაღების და ბაბილონის დაცემის საფუძველი გახდა. ამ მოვლენის ანალიზი იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ **ჩანერგილმა პირმა მასზე მინდობილი მცირე ლაშქარი გადაიბირა, წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზვერვო ოპერაცია წარმატებით ვერ დასრულდებოდა**).

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 336 წელს, სპარსეთის მეფეს ხელთ ქონდა მონაცემები ფილიპე II განზრახვებზე: „აზიის დაპყრობის გეგმებზე“, [47] რომლის განხორციელება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წელს დაიწყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა **მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სამეფო კარზე (მაღალი რანგის მოხელეებზე) გადაბირებითი შეღწევადობის უზრუნველყოფა**.

საომარი ვითარების დროს სპარსეთის დაზვერვა აქტიურად **იყენებდა სადაზვერვო ქმედებას – მოწინააღმდეგის დეზინფორმაციას**. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 წელს საომარი მოქმედების დროს ბერძნებს მიეწოდებოდა **დეზინფორმაცია** სპარსეთის **არმიის განსაკუთრებული გაწრთვნილობის და მრავალრიცხოვნობის შესახებ:** „თუ ყველა სპარსელი მებრძოლი გაისვრის მშვილდისრებიდან, ისრები მზეს დააბნელებენ.“[48]

სპარსეთის სამეფოს სადაზვერვო სამსახურის საქმიანობის დადებითი მხარეებისა სადაზვერვო ქმედებებისას საბერძნეთის სამეფოს სადაზვერვო სამსახურთან ბრძოლაში, დაშვებული იყო

---

[47] ლევან სანიკიძე. „ალექსანდრე მაკედონელი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984. გვ.68;

[48] **„ИСТОРИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ТЕОРИИ И ПРАКТИКИ ИНФОРМАЦИОННО-ПСИХОЛОГИЧЕСКОГО ВОЗДЕЙСТВИЯ“ http://www.vrazvedka.ru;**

სერიოზული შეცდომები რომლებიც დროული, სრულყოფილი და დამაჯერებელი ინფორმაციის მოუპოვებლობას ან მოპოვებულის გაუთვალისწინებლობას უკავშირდებოდა:

●დაპყრობილ ტომთა განვითარების დონეთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ადგილობრივი მმართველობითი სისტემების შენარჩუნების გამო, სეპარატისტული ტენდენციები ხშირად ღვივდებოდა, რაც დაინტერესებული უცხო სახელმწიფოების შეღწევადობისა და საზიანო პროცესების მართვის ხარისხს ზრდიდა;

●იმპერიის განსამტკიცებლად ბალკანეთის ნახევარკუნძულის (იქ განთავსებული ახალშენების ათენისა და სპარტას სიძლიერის გათვალისწინების იგნორირებით) დაპყრობის დაგეგმვისას და საბრძოლო მოქმედებებს, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 334 წელს, მნიშვნელოვანი ბრძოლების წაგების შემდგომ მაკედონურ-ბერძნულ არმიასთან დამარცხება მოყვა.

<u>სპარსეთის იმპერიიის განვითარებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მქონე დანაშაულთა რიცხვს მექრთამეობა, შედეგობრივი თვალსაზრისით დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ჭორების გავრცელება, აჯანყება და ა.შ. მიეკუთვნებოდა, რომლის ჩამდენ პირებზე გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელი.</u> იმ შემთხვევაში თუ ჩადენილ დანაშაულამდე, დამნაშავის მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს აჭარბებდა დანაშაულის სახეობა სასჯელის სახეობა იყო:

▸ ***მექრთამეობისათვის:***

–<u>კანის აძრობა და დამნაშავე პირის თანამდებობრივ სკამზე გადაკვრა</u> (ფსიქოლოგიური ზემოქმედება მომდევნო თანამდებობის პირზე,

რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ამ სკამს გამოიყენებდა);

–ჯვარზე გაკვრა;

► *დაპყრობილ ტერიტორიაზე სპასეთის ჯარისკაცის მკვლელობისათვის:*

–სიკვდილით დასჯა (დაპყრობილი ქვეყნის 10 განათლებული მოქალაქის ჩამოხრჩობა ხორციელდებოდა ეგვიპტეში, ამ სამეფოს დაპყრობის შემდგომ);

► *ცრუ შეტყობინებისათვის* (საიმპერიო კარის მსახურების მხრიდან):

–მეფის მეგობრების სიიდან გარიცხვა);

► *სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყებისათვის* (მეფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის):

–სიკვდილით დასჯა (ზოგჯერ ამ დანაშაულისათვის, დამნაშავის მთელი ოჯახი ისჯებოდა, რაც კოლექტიურ პასუხისმგებლობასა და სადაზვერვო უზრუნველყოფის კარგ პირობას ქმნიდა);

– ჯვარზე გაკვრა;

– თავის და მარჯვენა ხელისა მოკვეთა;

– ქვით თავის გაჩეჩქვა;

► *სამეფო ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობი-თვის:*

– თავის მოკვეთა;

► *ცილისმწამებლებისათვის:*

– თავის მოკვეთა (ზოგიერთ შემთხვევაში შედეგის გათვალისწინებით)

დასჯილი-გარდაცვლილი ადამიანები მოკვეთილი თავებით, ხელებით და ფეხებით ცენტრალური გზების სიახლოვეს იყვნენ განთავსებული,[49] რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ

[49] „Культура древного ирана“. **Http://WWW.bestreferat.ru**;

ადგილობრივი მოსახლეობის და სტუმრების (მათ შორის მოგზაურების) დათრგუნვის მიზნით ხორციელდებოდა და *ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე იყო გათვლილი.*

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

- *ჩვენს წელთაღიცხვამდე 559-334 წლებში სპარსეთის იმპერიაში და იმპერიის საზღვრებს გარეთ სადაზვერვო ქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა;*
- *სპარსეთის იმპერიიის განვითარებაზე დამანგრეველი ზემოქმედება ქონდა, შიდა და გარე ძალების მიერ მართულ ისეთ ძირითად ქმედებებს, როგორიცაა კონტროლირებად ტერიტორიაზე:*

–აჯანყებები სამეფო კარის წინააღმდეგ;

–სეპარატისტული ტენდენციები;

–საიმპერიო მოხელეთა მექრთამეობა;

- *ეფექტური სადაზვერვო (მათ შორის კონტრსადაზვერვო) საქმიანობა განაპირობა:*

–სპარსეთის მმართველთა მიზანმიმართულმა რეფორმისტულმა საქმიანობამ და სადაზვერვო პროცესში უშუალო აქტიურმა მონაწილეობამ;

–საკურიერო სამსახურის (კურიერების) სწორმა და დროულმა საინფორმაციო-ანალიტიკურმა და აგენტურულმა (მათ შორის აგენტურული აპარატის ჩამოყალიბება) საქმიანობამ;

–სადაზვერვო ფუნქციის განმხორციელებელი პირების, საიმპერიო კარის მსახურთა და სასულიერო პირთა სისტემატიურმა სადაზვერვო კონტროლმა;

–დაპყრობილ ტერიტორიებზე არსებული ტომების რელიგიური მიმდინარეობის შეზღუდვის გამორიცხვამ, რაც იმპერიის შიგნით და

საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი საზოგადოებრივი აზრის გავრცელების საფუძველი, ე.ი. საგარეო აგენტურული აპარატის ჩამოყალიბება-გაფართოების პროცესის ხელშემწყობი გარემოება იყო;

–ინფორმაციული სივრციდან გამომდინარე, სასულიერო პირების სადაზვერვო აქციებში გამოყენებამ;

–უცხო სახელმწიფოებში სადაზვერვო შეღწევადობამ, რაც სამეფოს მაღალ და დაბალ ეშელონებში თანაბარი-მაღალი დონის აგენტურულ უზრუნველყოფას უკავშირდება;

–დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი მტრული ღონისძიების შესახებ დროული ინფორმაციის მოპოვების კუთხით, ჭორების (დეზინფორმაციის) ინსტიტუტის ეფექტურმა გამოყენებამ;

–მიღებული სადაზვერვო მონაცემების გადამოწმების (გამოწვეული გუნება-განწყობილებების შესწავლა და სხვა) უწყვეტმა პროცესმა;

–სადაზვერვო საქმიანობისას ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტის-აგენტურული აპარატის ჩამოყალიბებაში, კონტროლირებად ტერიტორიაზე სამეფო მოხელის-გუბერნატორის, მზვერავის ფუნქციებით აღჭურვამ;

–სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით სისტემატიურმა ანალიტიკურმა საქმიანობამ და მნიშვნელოვანი დოზით საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ქმედებების განხორციელებაზე დასკვნების გათვალისწინებამ;

–სადაზვერვო საქმიანობისას კონსპირაციის პირობების მკაცრმა დაცვამ;

► ***ეფექტური სადაზვერვო საქმიანობის დროს გამოყენებული იყო:***

–სადაზვერვო ინფორმაციების შესყიდვის პროცესის უზრუნველყოფა;

–აგენტურული უზრუნველყოფა ქმედებათა კონტროლზე (რომლის ობიექტები იყვნენ:

ა) სამეფო კარის ცენტრალური აპარატისა და პერიფერიული ტერიტორიების მაკონტროლებელი მოხელეები;

ბ) სასულიერო პირები;

გ) იმპერიის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, უცხო ქვეყნის ვაჭრები (უცხო ქვეყნების მზვერავები);

დ) იმპერიისადმი მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების მეფეები, სამეფო კარი, იქ არსებული განწყობები და განზრახვები).

–სპარსეთის საიმპერიო დაზვერვისათვის ინფორმაციის მიწოდების ისეთი შენიღბვის მეთოდები, როგორიცაა, მოკლული კურდღლის მუცელში წერილობითი ინფორმაციის მოთავსება და ძღვენის სახით მირთმევა, ადამიანის თავის გადაპარსვა სადაზვერვო ფრაზის ამოკვეთა, ინფორმაციით დაინტერესებულ სახელმწიფოში შენიღბვისათვის მოზრდილი თმით გადაადგილება, ვაჭრების მიერ საზღვაო მოგზაურობისას სადაზვერვო ხასიათის ჩანახატების გაკეთება და სხვა;

► ***სპარსეთის საიმპერიო დაზვერვის მიერ დეზინფორმაციის მეთოდი გამოიყენებოდა, როგორც მტრული ძალების გამოსავლენად და მოწინააღმდეგის დასადგენად ქვეყნის შიგნით და გარეთ, ისე საომარი მოქმედებებისას.***

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია დავით კუხალაშვილი

ასურეთის დაცვა

ასურეთის დაზვერვა.

სხვადასხვა იმპერიათა და სამეფოთა მსგავსად, ასურეთის სამეფოს ჩამოყალიბება და განვითარება არასტაბილურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქვეყანა პერიოდულად, როგორც თავისთავად კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, ისე გაფართოებისათვის იბრძოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში და II ათასწლეულის დასაწყისში ასევე ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში ასურეთი ბაბილონეთს ემორჩილებოდა.[50]

ასურეთის სამეფო დამკვიდრებისათვის მუდმივ ბრძოლას აწარმოებდა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოუპოვებია:

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში, უცხო ტომებმა ასურეთის (დღევანდელი ერაყი) ახალშენები გაანადგურეს, რის გამოც აზიისკენ მიმავალი გზები ჩაიკეტა. მნიშვნელოვნად შემცირდა სავაჭრო ურთიერთობები, რამაც ასურეთის დასუსტება განაპირობა.

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI-XV საუკუნეში ასურეთი ხურიტებმა დაიპყრეს, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში [51] იგი დასუსტებული სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა;

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI-IX საუკუნეებში, ურარტუს მხრიდან პერიოდულმა საომარმა მოქმედებებმა, აგრეთვე სირიისა და მცირე აზიისაკენ

[50] **History of Assyrans. www.aina.org;**
[51] **Early History of Assyrans. www.angelfire.com;**

მიმავალი გზების სისტემატიურმა ბლოკირებამ ასურეთის კიდევ უფრო დასუსტდება გამოიწვია.

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში, ბაბილონელების აჯანყებამ და სკვითების თავდასხმამ ეგვიპტის დაკარგვა, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 605 წელს ბაბილონისა და მიდიის კოალიციურ შემოტევას ასურეთის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა-განადგურება მოჰყვა.

იყო პერიოდები, როცა ასურეთის წარუმატებლობას წარმატებები ცვლიდა:

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე XV საუკუნის ბოლოსა და XIV დასაწყისში ასურეთმა, ხურიტებისაგან თავი დაიხსნა;

-ამავე პერიოდში ასურეთმა ჩრდილოეთ შუამდინარეთის ტერიტორიების დაპყრობის მიზნით წარმოებული ომი წარმატებით დაასრულა;

-ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში ასურეთმა დაპყრობითი ომები მეზობელი ტომების - ნაირის, ურარტუს სამეფოების წინააღმდეგ წამოიწყო;

ასურეთის გაძლიერება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნის II-ე ნახევარში ტიგლათფილესერ III-ის დროს დაიწყო და პიკს ეგვიპტის, ურარტუს, სირიის, პალესტინის, ფინიკიის და სხვა სახელმწიფოების დაპყრობისას მიაღწია. შეიქმნა ასურეთის დიდი იმპერია.

დაპყრობითი ომების დროს, ასურეთის სამხედრო დანაყოფები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. [52] ყოველივე ამას დაპყრობილ სახელმწიფოებში დამრთგუნველი ეფექტი ქონდა.

---

[52] **Липин Л., Белов А., „Глиняные книги“, М, 1952, с. 160.;**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 745 წელს დაპყრობითი ომების კიდევ უფრო ეფექტურად საწარმოებლად ასურეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური ცვლილებები განხორციელდა.

უცხო ქვეყნებიდან მუდმივ სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული ასურეთი, ძლიერების პერიოდში აქტიურად ანხორციელებდა სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის უზრუნველმყოფ ღონისძიებებს, რაც სამეფოს განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

სათანადო მაგალითების საფუძველზე მიმოვიხილოთ ასურეთის სამეფოს სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის ხერხები და მეთოდები, მისი უზრუნველმყოფი კანონმდებლობა.

ტიგლათფილესერ I-ის (ძვ.წ. 1115-ძვ.წ.1077) მმართველობით,[53] სამხრეთ ამიერკავკასიაში, ნაირის, ურარტუს, შავი ზღვისპირა ტომებთან წარმატებული საომარი მოქმედებების შედეგად ასურეთი ***მდიდრდებოდა***, როგორც ***მატერიალური*** (პირუტყვი, ძვირფასი ლითონები და სხვა) ისე ***ფიზიკური*** (ტყვეები იაფი მუშახელი) ***თვალსაზრისით***.

<u>I. დაპყრობილი სამეფოს ძარცვა, შრომის უნარიანი მოსახლეობის დატყვევება და მკვიდრი ადგილებიდან განდევნა, კონტროლს დასაქვემდებარებელი ტერიტორიის დაუძლურების და დამოკიდებულად გახდომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რაც სადაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა;</u>

[53] „ასურეთის იმპერია“-რწმენის ტაძარი. **http://mytemple.ucoz.ru;**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1114 წელს ასურეთის სამეფო კარი ფლობდა სადაზვერვო მონაცემებს დასავლეთ აზიაში არსებული ორი უცხო ტომის შესახებ, რომლებიც ხეთებისადმი მორჩილების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ; ამ პერიოდში, ასურეთის მიერ საომარი მოქმედებების მსვლელობისას, დასავლეთ აზიის ორმა ტომმა, ბრძოლის ველზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა (4000 მებრძოლი და 120 ცხენოსანი საბრძოლო ეტლი) [54] განათავსა, რითაც მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა იყო შესაძლებელი. სათანადო მოლაპარაკებების შემდგომ, ასურეთზე ***დანებება და მათი ასურეთის ხალხის სტატუსით აღჭურვა განხორციელდა.***

<u>II. სახეზეა აქტიური სადაზვერვო ქმედებები, რომლის განხორციელება მოწინააღმდეგის უკვე არსებული აგენტურული აპარატის, სამშვიდობო-დიპლომატიური მოლაპარაკებისას გადაბირების პროცესის, აგრეთვე პროპაგანდისტული (დათრგუნვისა და შიშის ინსპირირების) საქმიანობის მუდმივობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.</u>

ტიგლათფილესერ I მეფობის დროს, ასურეთის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი, უცხო ქვეყნებთან აქტიური და უსაფრთხო სავაჭრო ურთიერთობების ორგანიზება იყო. ყოველივე სავაჭრო გზების, საკუთარი და უცხოელი ვაჭრების დაცვის უზრუნველყოფას ნიშნავდა. გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სავაჭრო მარშრუტებზე განთავსებული იყო სამეთვალყურეო-სათვალთვალო პოსტები. გამოდის, რომ სახელმწიფოს კეთილშობილური მიზნებით შენიღბვის გზით ამ

[54] **„Тиглатпаласар–I“.http://ru.wikipedia.org;**

კუთხით სადაზვერვო კონტროლი უზრუნველყოფილი ჰქონდა.

III. ფაქტობრივად, ზემოაღნიშნული განფენით შესაძლებელი ხდებოდა უცხო ქვეყნებისა და ადგილობრივი ვაჭრების, აგრეთვე ტვირთების მოძრაობის ინტენსივობის შესახებ ინფორმაციების მოპოვება-დამუშავება, რაც სადაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1114-1076 წლებში არსებობდა დოკუმენტაციის მიმოქცევის უზრუნველმყოფი ე.წ. ***საკურიერო სამსახური***, რომლის ***თანამშრომლები მშვიდობიან პერიოდში საქმიანობის გარდა, სამეფო ჯარს მუდმივად დაყვებოდნენ. ამასთან ერთად, საკურიერო სამსახურის თანამშრომლები ვალდებული იყვნენ, ეთანამშრომლად ადგილობრივ საპოლიციო დანაყოფებთან***. სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, საკურიერო სამსახურის ეფექტურ საქმიანობას განაპირობებდა:

ა) ამ პერიოდისათვის საუკეთესო გზები;

ბ) გზებზე პოსტები ესტაფეტის (საკურიერო სამსახურის გადაადგილების მარშრუტის ზღვარი 22 კილომეტრს შეადგენდა, რომლის შემდგომაც მათი შეცვლა ხდებოდა, რაც ***კურიერის გადაღლის გამორიცხვის გარდა, დოკუმენტების სწრაფ მიმოქცევას უზრუნველყოფდა.***) მიხედვით და სათანადო მაჩვენებლებით [55] (კურიერების ორიენტირების შეუფერხებელი უზრუნველყოფა.-ავტ.) იყო მოწყობილი;

IV. საკურიერო სამსახური სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი იყო

[55] **„Разведка в Ассирии“. http://shpion.h1.ru;**

<u>სადაზვერვო ინფორმაციის მიმოქცევის და მოპოვების კუთხით;</u>

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 883-824 წლებში, ასურეთი საომარ მოქმედებებს ანხორციელებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კონტროლის უზრუნველსაყოფად, ქვემოჩამოთვლილი მიზეზების გამო:

- მდიდარი ბუნებრივი რესურსები (ძვირფასი, ნახევრად ძვირფასი ქვები[56] და სხვა);
- სასიცოცხლო და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახმელეთო სავაჭრო გზები;

<u>V. სახეზეა სადაზვერვო საქმიანობა მოწინააღმდეგე ან მეზობელი სახელმწიფოების სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზების და ბუნებრივი რესურსების დადგენის მიზნით.</u>

VIII საუკუნის II-ე ნახევარში დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებზე ***სისტემატიური ხასიათი მიიღო აჯანყებებმა.*** მსგავსი ვითარების განსამუხტავად, აგრეთვე ტერიტორიების კონტროლის მიზნით ტიგლათფილესერ III მკვიდრი მოსახლეობის ასახლებას და ასურეთის კონტროლირებად სხვა, მათთვის უცხო ტერიტორიაზე დასახლების მეთოდს ანხორციელებდა. ამ პროცესის დროს „დამორჩილებული მეომრების ნაწილი თვით ასურელთა ჯარშიც კი შეჰყავდათ.“[57]

<u>VI. სახეზეა:</u>

---

[56] **„ИСТОРИЯ ДРЕВНЕГО ВОСТОКА“ Раздел II. МЕСОПОТАМИЯ Глава 12. Великая Ассирийская военная держава в1тысячелетии до н. э. www.bibliotekar.ru;**

[57] **„ასურეთი“.http://ka.wikipedia.org;**

ა) მოსახლეობის სადაზვერვო კონტროლი, გუნება-განწყობილებების სისტემატიური შესწავლისა და ანალიტიკური საქმიანობის ჩათვლით;

ბ) მკვიდრი მოსახლეობის გადასახლების მეთოდის გამოყენება, რაც ჯანყის მოყვარული ტომებისათვის, ხანგრძლივ პერიოდით საკუთარი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საშუალების მოსპობასთან იქნებოდა დაკავშირებული;

ტიგლათფილესერ III (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 745-727 წლებში) ინიციატივით ჩამოყალიბდა და მოღვაწეობდა ***მეფის უსაფრთხოების სამსახური,*** რომელიც მრავალრიცხოვნობით და საუკეთესო საბრძოლო მომზადებით გამოირჩეოდა.[58] გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ამ დანაყოფის გამოყენება, ზოგჯერ ***რეგულარული საბრძოლო შენაერთების გარეშე ხდებოდა,*** დასაშვებია ვარაუდი, მათი ***სპეცღონისძიებებში*** გამოყენების შესახებ;

VII. სახეზეა მეფისა და სავარაუდოდ სამეფო კარის მაღალჩინოსნების პირადი დაცვის უზრუნველმყოფი დანაყოფის არსებობა და მისი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სპეცღონისძიებებში გამოყენების ფაქტი, რაც სადაზვერვო პროცესებში აქტიურ მონაწილეობაზე მიუთითებს;

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 745 წელს დაპყრობითი ომების კიდევ უფრო ეფექტურად საწარმოებლად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური ცვლილებები

[58] **„Древняя Ассирия:состав армии“.http://articles.excelion. ru;**

განხორციელდა.[59] **მრავალრიცხოვანი და ძლიერი სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება უმოკლეს პერიოდში გახდა შესაძლებელი.**“ რიცხობრივი და აღჭურვილობითი, აგრეთვე სწორი ტაქტიკით წარმოებული საომარი მოქმედებების მიუხედავად, კონკრეტულ სამხედრო ქვედანაყოფებს საომარი მოქმედებების საწარმოებლად ევალებოდათ: „გაემართათ მდინარეებზე გადასასვლელები და ხიდები, ეტლებისა და საბარგულებისათვის გაეყვანათ გზები, გაეკეთებინათ განაკაფები ტყეებში ჩაღორღათ ჭაობები, ძირი გამოეთხარათ ალყაშემორტყმული ქალაქის კედლებისათვის, აღემართათ მიწაყრილები, რათა მოიერიშე ჯარს საშუალება ჰქონოდა პირდაპირ შებრძოლებოდა ალყა შემორტყმული ქალაქის დამცველებს.“[60]

VIII. მობილური და სათანადოთ აღჭურვილი სამხედრო შენაერთების შექმნა საკუთარი და უცხო ქვეყნების საომარი პრაქტიკის შესწავლას ე.ი. სათანადო სადაზვერვო-ინფორმაციულ უზრუნველყოფას უკავშირდება. სახეზეა ე.წ. ინჟინრებით დაკომპლექტებული) ქვედანაყოფის საქმიანობა, რომელიც გარდა თავისი ფუნქციური ვალდებულებისა, (შესრულებისა), სამოქმედო ტერიტორიის დაზვერვითა და აუცილებლობის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის ობიექტებზე დივერსიული საქმიანობის განხორციელებასაც შეძლებდა.

ამ პერიოდში, ასურეთის საბრძოლო შენაერთებს ქონდათ მონაცემები 500 მეტრის

---

[59] **„Мировая история развития верховой езды“. http://www.myjulia.ru;**

[60] **ლ.ლიპინი, ა.ბელოვი. „თიხის წიგნები“, თბილისი. 1978. გვ.181;**

რადიუსზე ცეცხლგამჩენი ყუმბარის (ცეცხლმოკიდებული ფისით სავსე თიხის ჭურჭელი) ან ქვის ყუმბარის გამოყენების ეფექტურობისათვის, ალყაშემორტყმული ციხე ქალაქის გალავანის შემადგენლობის (აგებული ხის, ქვის და სხვა მასალისაგან) შესახებ.

IX. სახეზეა მოწინააღმდეგის დისლოკაციის ადგილის, განთავსების შენობა-ნაგებობის და შემადგენლობის ირგვლივ, სადაზვერვო-ინფორმაციული უზრუნველყოფა.

საყურადღებოა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნის შუა ხანებში სირიაზე კონტროლის დაკარგვის ფონზე, სამხედრო და პოლიტიკური წარმატებებით გამორჩეულ, ჩრდილოელი სახელმწიფოს ურარტუს და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიდიელთა ტომების დამარცხების ფაქტი.

მნიშვნელოვანია, ტიგლათფილესერ III მიერ, ბაბილონეთის სახელმწიფოებრივი არსებობის დაკარგვის სანაცვლოდ, ბაბილონეთში შემოჭრილ არამიელთა და ქალდეელთა ტომების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვა და მათი დამარცხება.

ტყვეების აღმოსავლეთში გადასახლების შემდგომ ასურეთი, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე-ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის და კონტროლის უფლების მოპოვებას აღწევს, რაც პალესტინისა და ეგვიპტისაკენ წინსვლის საფუძველი ხდება.

X. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სადაზვერვო ინფორმაციების ანალიზის საფუძველზე, კონტროლირებადი ტერიტორიის (შესაბამისად შემოსავლების,) დათმობის სანაცვლოდ ახალი ტერიტორიის (უფრო შემოსავლიანი, გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეული და სხვა) დაპყრობის

ორგანიზება. ყოველივე სამეფოს მმართველობის პროცესში მყარ სადაზვერვო-ანალიტიკურ საქმიანობაზე მიანიშნებს. ამასთან ერთად, სავარაუდოა ბაბილონისათვის დამოკიდებულების ვალდებულებითი უზრუნველყოფა-გარიგებით და სუვერენიტეტის სანაცვლოდ ბაბილონეთის ინტერესების დაცვა საომარი მოქმედებებით.

ასურეთში სარგონ II მეფობის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 721-705 წლებში)[61] საკურიერო სამსახური განსაკუთრებული მდგომარეობით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, მეფის კარზე არსებობდა კურიერულ სამსახურზე ზედამხედველობის დანაყოფი.

XI. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდნენ სადაზვერვო უზრუნველყოფის განმხორციელებელი სამეფო დანაყოფებიც, მათ შორის საკურიერო სამსახური, რაც საქმიანობის სანდოობის გადამოწმებას ემსახურებოდა.

დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ტყვეებად, ახალ დაუსახლებელ ადგილებში ჩამოსახლების მეთოდი, ტიგლათფილესერ III-ის მსგავსად, მისაღები აღმოჩნდა მეფე სარგონ II-თვის: „ტიგლათფილესერ III-მ ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ ასურეთში გადაასახლა 154 ათასი კაცი. ასურეთის მეორე მეფემ – სარგონ II – 90 ათასი. . . და ეს მხოლოდ ერთი ლაშქრობის შემდეგ“.[62] ***ტყვეთა*** დაგროვებისა და ასურეთში ***ჩამოსახლების ტრადიცია კონკრეტულ***

---

[61] **Sargon II, King of Assyria (721-705 BC). www.britshmuseum.org;**

[62] **ლ.ლიპინი, ა.ბელოვი. „თიხის წიგნები“, თბილისი. 1978. გვ.181;**

(სასახლეების, ტაძრების მშენებლობისათვის და სხვა საჭიროებებისათვის) მიზნებს ემსახურებოდა.

XII. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქმედება მტრული ძალის შემოსევის შემთხვევაში ბუფერული უსაფრთხო ზონის შექმნასაც ემსახურებოდა. გამოდის, რომ ტყვე-მოსახლეობა მუდმივ სადაზვერვო უზრუნველყოფას და იაფი მუშახელის სახით გამოყენებას ექვემდებარებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 669-633 წლების შეტყობინებების თანახმად, ასურეთის კონტროლს დაქვემდებარებულ სომხეთში აჯანყებებს სისტემატიური ხასიათი ჰქონდა,[63] აქ მოქმედებდნენ ასურეთისადმი მტრულად განწყობილი იმპერიების (ან სამეფოების) ჯაშუშები. მეფე ინფორმირებული იყო მტრულად განწყობილი კონკრეტული პირების შესახებ, რომლებთანაც შეხვედრა მიზანშეწონილად არ იყო მიჩნეული;

ინფორმაციების შეკრება ხორციელდებოდა:

- *ქარავნებით მოძრავ ვაჭრებზე დაკვირვების მეშვეობით;*
- *მოსახლეობის გუნება-განწყობილებების გარკვევით;*
- *ქუჩებში და ბაზრობებზე მოსმენების გზით;*

სამეფო კარის მსახურები მუდმივ შესწავლა-მეთვალყურეობას ექვემდებარებოდნენ. ამასთან ერთად, მათ გააჩნდათ ვალდებულება, თავისი მოღვაწეობის შესახებ, რეგულარულად მოეხსენებინათ სამეფო კარისათვის.

XIII. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხო ქვეყნების ვაჭრებზე, სამეფო კარის მსახურებზე, მოსახლეობის გუნება-განწყობილებებზე, ეფექტური

[63] **А.И.Каменев „Почему пал Ашшур?“ http://artofwar.ru;**

აგენტურული აპარატით სადაზვერვო კონტროლი ხორციელდებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 668 წელს ასურბანიფალის სამეფო ტახტზე ყოფნის დროს, მის ინფორმაციულ უზრუნველყოფას მეფის ნაცვლები, ზედამხედველები ახდენდნენ.

მეფე ფლობდა სადაზვერვო მონაცემებს:

► სამეფო კარზე მის გამეფებასთან დაკავშირებული, მოსალოდნელი ამბოხის და დაგეგმილი გადატრიალების შესახებ;

► ამბოხების ორგანიზატორებთან დათმობის აუცილებლობის შესახებ;

► მხოლოდ ძალადობრივი გზით სამეფოს შიგნით ხელისუფლების შენარჩუნების, დაპყრობილი ქვეყნების შემომტკიცების მიზანშეუწონლობის და დიპლომატიურ ურთიერთობებში - „გათიშე და იბატონე“-ს მეთოდის დანერგვის (დაპყრობილ ტერიტორიებზე ადგილობრივი თავადების მოსყიდვა თანამდებობრივი დაწინაურება და სხვა) აუცილებლობის შესახებ;

► მეფისადმი უარყოფითად განწყობილი (მათ შორის შეწყნარებული) ადგილობრივი და უცხო სახელმწიფოთა დიდგვაროვნების ქმედებების შესახებ;

XIV. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებულ სადაზვერვო კონტროლს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები, მოსახლეობის გუნება-განწყობილებები ექვემდებარებოდნენ.

აგენტურული უზრუნველყოფის მაკოორდინირებელ ფუნქციას, კონტროლირებად ტერიტორიებზე სამეფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასრულებდნენ.

<u>სადაზვერვო შელწევადობისათვის მოსყიდვები ხორციელდებოდა. ამასთან ერთად დაინტერესებული ქვეყნის მიერ, დაპყრობილ ქვეყანაში კონტროლის უზრუნველყოფის შემდგომ, თანამდებობრივი წახალისებების მეთოდი აქტიურად გამოიყენებოდა.</u>

ასურბანიფალის ხელმძღვანელობით წარმატებული საომარი მოქმედებები განხორციელდა ეგვიპტეში, ფინიკიაში, ლიდიაში.

სამხედრო თვალსაზრისით მიუწვდომელ, ფინიკიის კლდოვან კუნძულზე განთავსებული ქალაქის ასაღებად, ***ბლოკადის ორგანიზება სასმელი წყლის შეწყვეტით იქნა უზრუნველყოფილი,*** რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

მცირე აზიის სახელმწიფოს ლიდიის ***დაპყრობა***, ამ ქვეყანაში შეჭრილი კიმერიელების წინააღმდეგ, ***დასახმარებლად მიწვევის გამო განხორციელდა***.

ასურეთის მეფემ ***თავშესაფარი მისცა, შემდგომში დაპყრობას დაქვემდებარებული ქვეყნის*** (ელამის) ***მეფის***, თეუმანის ***ტახტის პრეტენდენტს*** 5 ძმისწულს, ***სამომავლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ სამოქმედოდ***.

<u>XV. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სადაზვერვო საქმიანობა მოწინააღმდეგის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შესწავლით, მათი შემდგომი ბლოკირების მიზნით მიმდინარეობდა. საომარ მოქმედებებში მყოფი ქვეყნის მოთხოვნით, სამხედრო დახმარების უზრუნველყოფა, ამ ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვით დასრულდა. ამასთან ერთად სახეზეა დასაპყრობი ქვეყნიდან გამოქცეული ტახტის მემკვიდრეების შეფარების პროცესი, შემდგომში აქტიური სადაზვერვო ქმედებების (ტახტის მემკვიდრეთა დასაყრდენი თავის ქვეყანაში) განსახორციელებლად.</u>

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასურეთში ოფიცრობის კანდიდატები პროფესიონალურ მომზადებას გადიოდნენ.[64] მათ უნდა შეძლებოდათ კარგი სირბილი, ცხენზე ჯდომა, მშვილდისრის სროლა და ასე შემდეგ.

XVI. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოფიცერთა სწავლების პროცესი სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდა, რაც ოფიცერთა სრულყოფილი შესწავლის პროცესის ხელშემწყობი გარემოება იყო;

სადაზვერვო საქმიანობის ეფექტურობა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად სამეფო ხელისუფლების სწორი გადაწყვეტილებების აღსრულებამ და სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფამ განაპირობა. ამ მხრივ საყურადღებოა:

სადაზვერვო ქმედებების უზრუნველმყოფი ერთ-ერთი ძირითად ობიექტის ვაჭრების მოღვაწეობის ე.წ. პრივილეგიის მიმნიჭებელი სავაჭრო კანონმდებლობა (წესდება);[65]

აჯანყებებისა და არეულობების კერების აღსაკვეთად დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გადასახლების უზრუნველმყოფი კანონმდებლობა;

უცხო სამეფოებიდან შემოსული (მათ შორის ვაჭრების) პირების მუდმივი სადაზვერვო კონტროლის უზრუნველმყოფი კანონმდებლობა;

სამეფო კარის მსახურთა მოქმედებების და მოსახლეობის გუნება-განწყობილებების შესწავლის უზრუნველმყოფი კანონმდებლობა;

---

[64] **А.И. Каменев. „Почему пал Ашшур?“(назидания ассирий ской истории). http://artofwar.ru;**

[65] **Осипова Е.Д. „ВОЗВЫШЕНИЕ И ПАДЕНИЕ АССИРИЙСКОЙ ИМПЕРИИ“, http://assyr.narod.ru;**

სამეფო მოხელეების ვალდებულების განმსაზღვრელი კანონმდებლობა საკუთარი ქმედებების შესახებ მუდმივი წერილობითი ინფორმაციების წარდგენის შესახებ და ა.შ;

სასამართლო პროცედურა მოკლე ხანგრძლივობით, ხოლო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის განაჩენი იდენტურობით და სიმკაცრით გამოირჩეოდა.

ძველი ასურეთის კანონმდებლობის ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვყოთ სამეფოს წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა:

- *აჯანყებები;*
- *ქურდობა;*
- *სპეკულიაცია;*
- *ძალადობა*[66] *და სხვა.*

გამორჩეულია დასჯის შემდეგი სახეობები:

•*სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა);*

•*წამება (კანის აძრობა, სარზე ჩამოცმა,*[67] *წყალში გადაგდება);*

•*სხეულის ნაწილების მოკვეთა* (დამნაშავეს „უნდა მოკვეთონ ცხვირი და ყური“)[68]და სხვა.

---

[66] **„Хрестоматия по истории Древнего Востока“, в 2 Т. / Под ред. М. А. Коростовцев М, Высшая школа, 1980, Т. 1, Среднеассирийские законы, с. 195-203;**

[67] **„Untersuchungen zur Todesstrafe in Assyrien am Beispiel des Pfählens“, GeorgAugust- Universität Göttingen Verfasserin:Annabelle Staiger,Betreuerin:Prof.Dr. Brigitte Groneberg, Abschluss des Magisterverfahrens:März 2007 ,84 Seiten,23 Abbildungen S.1-2;**

[68] **Струве В.В. „Хрестоматия по истории Древнего Мира.“, , М. 1950г. стр. 185;**

სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველყოფისას ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეცდომებსაც.

სადაზვერვო ქმედებების სისუსტეზე-დროული ინფორმაციის მიუღებლობაზე ან მიღებულის გაუთვალისწინებლობაზე მიუნიშნებს:

► ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1114 წელს ასურეთის მიერ განხორციელებული საომარი მსვლელობისას, კონტროლირებად ტერიტორიაზე აჯანყების ინსპირირება;

► დაპყრობითი ომების დროს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში [69] ასურეთის მეფეების მიერ, დაპყრობილ ტერიტორიაზე მოსახლეობის მასობრივად ძარცვა-განადგურებით ამ ტერიტორიიდან ფინასური შემოსავლებით უზრუნველყოფის პროცესის შეფერხება;

–მოსამართლეების კორუფციულ გარიგებებში სისტემატიური მონაწილეობისათვის, [70] სამეფო ხელისუფლებისადმი მოსახლეობის უარყოფითი განწყობების ორგანიზება;

–ბრძოლებისას ასურეთის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილის დაქირავებული უცხოელებით (ელამელები, ქალდეელები, არამელები, ბაბილონელები, ბერძნები) იძულებითი დაკომპლექტება მტრული ძალების სადაზვერვო შეღწევადობის ხელშემწყობ გარემოებას წარდმოადგენდა;

–ომების შედეგად მოპოვებული ნადავლის ხარჯზე ცხოვრებით, კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გაზარმაცება, მათ

---

[69] **Опарин А.А. „Развенчанные боги. В царстве кровавого бога Ашшура.“ http://nauka.bible.com;**

[70] **Осипова Е.Д. „ВОЗВЫШЕНИЕ И ПАДЕНИЕ АССИРИЙСКОЙ ИМПЕРИИ“. Http://assyr.narod.ru;**

შორის საომარ მოქმედებებში მონაწილეობისაგან თავის არიდება;

–სათანადო ძალებისა და საშუალებების უქონლობის გამო, მასშტაბებიდან გამომდინარე, მორჩილებას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე შინაგანი ბრძოლების გაძლიერება, კონტროლის სისუსტე და სხვა.

<u>ამგვარად, სადაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფით სახეზეა:</u>

† დაინტერესებული ქვეყნის მიერ, ობიექტ სახელმწიფოში პერიოდული საომარი მოქმედებების ინსპირირებით, სტრატეგიული და სასიცოცხლო დანიშნულების გზების სისტემატიური ბლოკირებით, ობიექტი სახელმწიფოს დასუსტების ორგანიზება;

† ახალშენების გაანადგურებით, სტრატეგიული მნიშვნელობის გზების ბლოკირება, მოწინააღმდეგისათვის სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემცირების ე.ი. დასუსტების ორგანიზება;

† დაპყრობითი ომების დროს, სამხედრო დანაყოფების განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებით, სამომავლოდ დასაპყრობი ქვეყნის ხელისუფლებისა და მოსახლეობის დამრთგუნველი ეფექტის უზრუნველყოფა;

† კონტროლს დასაქვემდებარებელი ტერიტორიის ძარცვით, შრომის უნარიანი მოსახლეობის დატყვევებით და მკვიდრი ადგილებიდან მათი განდევნით, დაუძლურების და დამოკიდებულების უზრუნველყოფის ორგანიზება;

† დაპყრობილი ტერიტორიიდან ჯანყის მოყვარული ტომების ასახლებით და არამკვიდრ

ტერიტორიაზე დასახლებით, მათთვის ხანგრძლივი პერიოდით საკუთარი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საშუალების მოსპობის უზრუნველყოფა;

† დასაპყრობ ქვეყანასთან მიმდინარე სამშვიდობო-დიპლომატიური მოლაპარაკებისას, გადაბირების პროცესის უზრუნველყოფის ორგანიზება;

† დასაპყრობ ქვეყანაში დათრგუნვისა და შიშის ინსპირირებისათვის, სათანადო პროპაგანდისტული პროცესის უზრუნველყოფა;

† საომარ მოქმედებებში მყოფი ქვეყნის მოთხოვნით, სამხედრო დახმარების უზრუნველყოფა, სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე;

† წარსული ისტორიული პროცესების (მათ შორის საომარი პრაქტიკის) კვლევების საფუძველზე, სამეფოსათვის სასარგებლო ქმედებების განსახორციელებლად, პროგნოზირების პროცესის ორგანიზება;

† საკურიერო სამსახურის მიერ, სადაზვერვო ინფორმაციების მიმოქცევის და შეკრების პროცესის უზრუნველყოფა;

† კონკრეტული პირების მეფესთან შეხვედრებზე უარის თქმის სარეკომენდაციო პროცესი;

† მეფისა და სამეფო კარის მაღალჩინოსნების პირადი დაცვის უზრუნველმყოფი დანაყოფის არსებობა და მისი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის სპეცღონისძიებებში (საბრძოლო) მონაწილეობის ორგანიზება;

† საინჟინრო ქვედანაყოფის მიერ, ფუნქციური ვალდებულების გარდა, საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, მოწინააღმდეგის სამოქმედო ტერიტორიის დაზვერვისა და

დივერსიულ ქმედებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

† საკურიერო სამსახურის თანამშრომლების კოორდინირებული საქმიანობა ადგილობრივ საპოლიციო დანაყოფებთან;

†კონტროლირებადი ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ, ახალი მომგებიანი ტერიტორიის დაპყრობის ორგანიზება;

† მტრული ძალის შემოსევის შემთხვევაში ტყვე-მოსახლეობის სახით ბუფერული უსაფრთხო ზონის შექმნის უზრუნველყოფა;

† სამეფო კარის მსახურების ვალდებულება, თავიანთი მოღვაწეობის შესახებ სამეფო კარისათვის მოხსენების მიწოდებაზე;

† სამეფო კარზე დაგეგმილი გადატრიალების და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, ამბოხების ორგანიზატორებთან დათმობზე წასვლა;

† დაპყრობას დაქვემდებარებული სახელმწიფოს წინააღმდეგ, შემდგომი სადაზვერვო ქმედებების უზრუნველსაყოფად, დასაპყრობი ქვეყნიდან გამოქცეული ტახტის მემკვიდრეების შეფარების პროცესის ორგანიზება;

† ტერიტორიული გაფართოების უზრუნველსაყოფად, სადაზვერვო შეღწევადობისათვის მოსყიდვების განხორციელება, ხოლო კონტროლის უზრუნველყოფის შემდგომ, თანამდებობრივი წახალისებების ორგანიზება;

† დამოკიდებულების ვალდებულებითი უზრუნველყოფა-გარიგებით და სუვერენიტეტის სანაცვლოდ დასაპყრობი ქვეყნის ინტერესების დაცვა საომარი მოქმედებებით.

- *დაპყრობას დაქვემდებარებული ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შესწავლა და მათი შემდგომი ბლოკირება;*
- *სრულყოფილი შესწავლის მიზნით, ოფიცერთა სწავლების პროცესის ინფორმაციული კონტროლი;*

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში აქტიურ შესწავლას ექვემდებარებოდა:</u>

- *ტერიტორიული გაფართოების თვალსაზრისით მოწინააღმდეგე და მეზობელი სახელმწიფოების ზრახვები და ქმედებები;*
- *დასაპყრობ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსები;*
- *დაპყრობას დაქვემდებარებული ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები;*
- *დასაპყრობი ტერიტორიის სავაჭრო ურთიერთობები და მათი უზრუნველმყოფი პირობები;*
- *დასაპყრობ ტერიტორიებზე არსებული მოსახლეობის გუნება განწყობილებები;*
- *სამეფო კარის მაღალჩინოსნები და სამეფო (მათ შორიის სადაზვერვო ქმედებების უზრუნველმყოფი საკურიერო) სამსახურები;*
- *მოწინააღმდეგის დისლოკაციის ადგილი და იქ განთავსებული შენობა-ნაგებობების აგებულება და მათზე გამოყენებული საშენი მასალები;*
- *დასაპყრობი ტერიტორიები, ხელსაყრელი შემოსავლიანობის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით;*
- *კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და ტყვეები;*

- *დიპლომატიური მოღვაწეობის განმხორციელებელი პირები;*
- *ადგილობრივი და ქარავნებით მოძრავი უცხო ქვეყნის ვაჭრები, აგრეთვე ტვირთების მოძრაობის ინტენსივობა;*
- *დასაპყრობ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი თავადები;*
- *მეფისადმი უარყოფითად განწყობილი მათ შორის შეწყნარებული პირები;*
- *მეფის უახლოესი გარემოცვა-უცხო ქვეყნების ტახტის მემკვიდრეები და სხვა;*

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში მოიპოვებოდა ინფორმაციები:</u>

- *დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის სტრატეგიული კავშირ-ურთიერთობების, სტრატეგიული და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების შესახებ;*
- *დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ახალშენების მდებარეობის, განსახლების მიზეზების და მოტივების შესახებ;*
- *დაზვერვას დაქვემდებარებულ კონტროლირებად ტერიტორიაზე აჯანყების მოწყობისაკენ მიდრეკილი პირების შესახებ;*
- *მზვერავი და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის დიპლომატიურ მოლაპარაკებებში მონაწილე პირების შესახებ;*
- *მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყანაში პროპაგანდისტული საქმიანობის ზეგავლენის მასშტაბების შესახებ;*
- *მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის საომარი პრაქტიკის შესახებ;*

- *მზვერავი ქვეყნის ბუფერულ ზონაში იძულებით განსახლებული ტყვე-მოსახლეობის კავშირების, გუნება-განწყობილების შესახებ;*
- *მზვერავი და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის სამეფო კარის მოხელეების ქმდებების შესახებ;*
- *მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყნაში ამბოხების მიმდინარეობისას მოსახლეობაში ზეგავლენის მასშტაბების შესახებ;*
- *მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნაში იძულებით ემიგრაციაში მყოფი პირების ქმედებების შესახებ;*
- *მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის სამეფო კარის გადასაბირებელი მოხელეების და თავადების სუსტი წერტილების შესახებ;*

მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის სამხედრო პირების ქმედებების შესახებ, მათ შორის სწავლების პროცესში;

მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ და სხვა;

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში აგენტურული აპარატის ჩანერგვის ადგილებს წარმოადგენდა მზვერავ და დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის:</u>

- ***სამეფო კარის მოხელეები, მათი ახლო გარემოცვა;***
- ***ახალშენების მოსახლეობა;***
- ***დიპლომატიური კორპუსის და მოლაპარაკებების წარმომადგენლები;***
- ***საკურიერო სამსახურის თანამშრომლები;***

- *ვაჭრები;*
- *სამხედრო პირები;*
- *ტყვე მოსახლეობა;*

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე XVIII-VII საუკუნეებში სადაზვერვო საქმიანობა ასურეთის მიერ აქტიურად იყო ორგანიზებული.

ტერიტორიული გაფართოების უზრუნველსაყოფად დაგეგმილ საომარ მოქმედებებს ყოველთვის წინ უსწრებდა აქტიური სადაზვერვო საქმიანობა, რომლის დროს განსაკუთრებული როლი, მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაბირებით, დივერსიულ და სხვა ქმედებებს ეკავა.

სახეზეა საინფორმაციო-ანალიტიკური სახის სადაზვერვო საქმიანობა, სარეკომენდაციო ქმედებები და დაგეგმილი მიზნების ეფექტურად განხორციელებისათვის სათანადო ღონისძიებების სწორი დაგეგმარება.

სადაზვერვო საქმიანობის განხილული მაგალითები აჩვენებენ, რომ მუშაობა კონკრეტული მიმართულებების მიხედვით საფრთხეების აღსაკვეთად ძირითადში წარმატებულად მიმდინარეობდა, რომლის ძირითადი მიზეზი ოპერატიულ-ინფორმაციულ და პროპაგანდისტულ საქმიანობასთან ერთად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კლასიფიცირებით, სასჯელის მკაცრი სახეებით და საკანონმდებლო უზრუნველყოფით უნდა აიხსნას.

წარმატებული საქმიანობის ფონზე ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეცდომებსაც, რომლებიც სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა დამანგრეველი ძალით მოქმედებდნენ სახელმწიფოზე.


ROMANI
IMPERII
IMAGO.
Diuina mens ciuitatem populi
Romani egregia temperatam regione collocauit, uti Orbis terrarum imperio poiretur,
Oceanus Germanicus
Oceanus Atlanticus
MAURITANIA TINGITANA
AFRICA MINOR
CYRENE
MARMARICA
SAR MATIAL
COLCHIS
Originis, Incrementi, et Culminis Imperij Romani, breuis enumeratio.

<u>რომის იმპერიის დაზვერვა</u>

მსოფლიო იტორიის ყველა ეტაპზე, განვითარების პროცესში მყოფი იმპერიები ტერიტორიული გაფართოებისა და ფინანსური უზრუნველყოფისაკენ მიმართული ქმედებებით არიან დაკავებული.

დაზიანებას, დაპყრობას დაქვემდებარებული იმპერიებისა და სამეფოებისადმი ურთიერთობები, სტრატეგიულ ინტერესებზე და განსახორციელებელი ქმედებებისათვის ხელსაყრელ პირობებზეა დამოკიდებული. სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, სწორედ ეს ორი პირობა განსაზღვრავდა მშვიდობიანი თანაარსებობის ხანგრძლიობას, რომლის დროსაც აუცილებელი იყო საინფორმაციო კონტროლის უზრუნველყოფა, როგორც კონტროლირებად ისე კონტროლს დასაქვემდებარებულ ობიექტებზე.

სწორედ დროული, ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაციული უზრუნველყოფა განსაზღვრავდა იმპერიების შენარჩუნებისა და გაძლიერებისაკენ მიმართული სწორი ღონისძიებების დაგეგმარებას და წარმატებულ განხორციელებას. ამ კუთხით საინტერესოა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის იმპერიის სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის ხერხები და მეთოდები, აგრეთვე სადაზვერვო კონტროლის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის მიმოხილვა.

იმპერიის სოციალ-პოლიტიკური განვითარება მუდმივად არასტაბილურ ფონზე მიმდინარეობდა, რადგან, რომი საზღვრების გაზრდაზე მუდმივად ზრუნავდა და სწორედ ამიტომ იგი სისტემატიურად

ჩართული იყო დაპყრობით ბრძოლებში. ამ კუთხით გამორჩეულია:

–ჩვენს წელთაღრიცხვამდე 341 წელს და 326 წელს სამნიტური ომები (რომაელთა და იტალიის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ერის-სამნიტთა მონაწილეობით), რომელიც 321 წელს რომაელთა გამარჯვებით დასრულდა;[71]

–ომი რომსა და გალებს შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 391 წელს;[72]

–სამი პუნიკური ომი კართაგენელების (პუნიკების) წინააღმდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264-146 წლებში, რომელიც საბოლოო ჯამში რომაელთა გამარჯვებით დასრულდა და სხვა.[73]

იმპერიის ჩამოყალიბება-შენარჩუნების პროცესი სათანადო კონტროლის (ინფორმაციული) უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია. განვიხილოთ კონტროლის უზრუნველყოფის მაგალითები. ამ მხრივ საყურადღებოა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 753-63 წლებში, ძველ რომში, *პონტიფიკოსების ინსტიტუტის* საქმიანობა, რომლის სათავეში იმპერატორები იდგნენ. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ამ სამსახურის კონტროლს ექვემდებარებოდა სამსახური, რომელიც ***სტრატეგიული დანიშნულების ხიდების აწყობასა და (მტრის თავდასხმის შემთხვევაში) დაშლას უზრუნველყოფდა***. ამასთან ერთად სამსახურის მოვალეობას, ***ხიდების განთავსების ადგილებზე მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური აღრიცხვა,***

---

[71] „სამნიტები“. www.top-swiat.eu/wikipedia/w/ka/;

[72] „გალებთან რომისთვის ომი“. www.topswiat.eu/wikipedia/w/ka/;

[73] „პუნიკური ომები“. www.topswiat.eu/wikipedia/w/ka/;

მტრის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმისა და იმპერიაში რელიგიური ცხოვრების წესზე და ზნე-ჩვეულებებზე ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენდა. ყოველივე კი, სადაზვერვო ქმედებების ნიშნების მომცველია.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 391 წელს[74] *<u>რომსა და გალებს შორის</u>* ბრძოლის დაწყებამდე სტრატეგიული პოზიციების შესწავლა-დაკავების კუთხით განხორციელებული არასწორი ინფორმაციული (სადაზვერვო) უზრუნველყოფის გამო, გალებმა რომაელთა სამხედრო შენაერთის ალყაში მოქცევა შეძლეს. ალყაში მოხვედრისთანავე რომაელთა სამხედრო შენაერთთან მოწინააღმდეგის ერთ-ერთი დიდგვაროვანი აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება საიმპერიო დაზვერვისათვის. დიდგვაროვანს სისტემატიური კავშირი ქონდა საკუთარ ტყვედყოფილ მონასთან, რომლის ***გადაბირება თავისუფლების შენარჩუნების და ფულადი თანხის გადახდის დაპირებით*** განხორციელდა.

გალებს მონის საქმიანობა გამოეპარათ, მათი თანამებრძოლი კი ალყაშემორტყმული შენაერთიდან რომის საიმპერიო დაზვერვას უზრუნველყოფთა წერილობითი ინფორმაციის (*წერილი თავსებოდა სასრული შუბის სახელურში და მისი გადასრულა ხდებოდა დანიშნულებისამებრ) ჩვენს შემთხვევაში:*

-ალყის უზრუნველმყოფ შენაერთიდან, ალყაშემორტყმულ სამხედრო შენაერთში;

-ალყის უზრუნველმყოფ შენაერთიდან, რომის საიმპერიო დაზვერვის პოზიციებისაკენ) მიწოდებით.

---

[74] **„გალებთან რომისთვის ომი“. www.top-swiat.eu/wikipedia/w/ka/;**

ინფორმაციულმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო. პირველ ეტაპზე ალყის მოხსნა, ხოლო შემდგომში გალების დამარცხება იქნა უზრუნველყოფილი. რეალურად სახეზეა სადაზვერვო–ინფორმაციული (გადაბირება, საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება-მიწოდება) უზრუნველყოფისაგან დამდგარი შედეგი.

პუნიკური ომების (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264-146 წლებში) მიმდინარეობისას, ბრძოლებში წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის და საშუალების, აგრეთვე კართაგენელთა მიერ ***ძირითადი უძლეველი საბრძოლო იარაღის, საბრძოლო მწყობრის-განფენის გარღვევის*** (ე.წ. ტარანის) ძირითადი ელემენტის – სპილოების ***განეიტრალების შესახებ მონაცემების შეკრება*** (დადგინდა, რომ სპილოების განეიტრალება მათთვის შიშის მომგვრელი საყვირებით იყო შესაძლებელი.), სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის ორგანიზებაზე მიუთითებს. მეთოდის გამოყენება კი, ***სადაზვერვო მონაცემების გადამოწმების პროცესში ექსპერიმენტის ჩატარება***ზეც უნდა მიანიშნებდეს.

სამხედრო თვალსაზრისით, კონტროლის საშუალებად სადაზვერვო-საინფორმაციო უზრუნველყოფას ადასტურებს რომის მიერ ორგანიზებული სადაზვერვო-საიდუმლო ოპერაცია ნუმიდიის **სამეფოში.**

მეორე პუნიკური ომის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 218-201 წლები) [75] რომაელებს აფრიკის დაპყრობა ქონდათ განზრახული, რომლის ხელშემშლელ მნიშვნელოვან ძალას ამ რეგიონში, კართაგენელების სტრატეგიული მეკავშირეები ნუმიდიელები წარმოადგენდნენ. მათი დამარცხებით

[75] **The Punic wars. www.historyworld.net**

არსებული სტრატეგიული კავშირის რღვევასთან ერთად რომაელებისათვის ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა.

აქტიური ქმედებების განხორციელებას აფერხებდა ის გარემოება, რომ ნუმიდიელთა შესახებ სადაზვერვო ინფორმაციული ვაკუმი არსებობდა.[76]

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 105 წელს, ***ეფექტური სადაზვერვო საქმიანობის უზრუნველსაყოფად,*** პირველ ეტაპზე ნუმიდიელებთან ***დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება*** აუცილებელი გახდა.

სადაზვერვო მიზნების შესანიღბავად ნუმიდიელებთან ***მოსალაპარაკებლად სამოქალაქო პირების გაგზავნა განხორციელდა, რომლებსაც მონების ფორმებში გამოწყობილი*** (*შენიღბვის საშუალება*) ***რომაელი ოფიცრები***ც ახდენდნენ. ამ ღონისძიების დროს, მოწინააღმდეგის ბანაკში აღმოჩნდა საბერძნეთის სამხედრო სკოლა გავლილი ოფიცერი, რომელმაც რომაელ მონებში მისი ყოფილი სამხედრო სკოლელი შეიცნო, რაც რომაელ ემისარს არ გამოპარვია. ემისარმა ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენა გაშიფრვის საშიშროების მყოფ მონას, რამაც მისი სამხედრო სკოლელის ეჭვები ნაცნობობის შესახებ გაფანტა, რადგან მისთვის ცნობილი იყო რომ, რომში არსებული წესებით ოფიცრის ფიზიკური შეურაცხყოფა აკრძალული იყო (გამოდის რომ საიმპერიო ***დაზვერვისათვის მოწინააღმდეგე სამეფოების წეს-ჩვეულებები მუდმივ სადაზვერვო შესწავლას ექვემდებარე***ბოდა.-ავტ.)

ნუმიდიელებს ***დელეგაციის ქმედებები მკაცრ კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი,*** რის გამოც

[76] ე.ჩერნიაკი„ხუთასწლიანი ფარული ომი“,თბილისი,1969. გვ.9;

ფერხდებოდა მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციების მიღება, რაც პირველ ეტაპზე რომაელთა მხრიდან ***მოლაპარაკებების მიზანმიმართული გაჭიანურების საფუძველი გახდა***. ამასთან ერთად, რომაელთა ***დელეგაციის წევრებმა მცირედი არეულობის*** (საკუთარი ცხენების დაფეთების ორგანიზება და დევნა, რათა მცირედი მაგრამ მნიშვნელოვანი მონაცემების შეკრება ყოფილიყო შესაძლებელი) ***ორგანიზება უზრუნველყვეს.***

სადაზვერვო ქმედებებით მოპოვებული იქნა მნიშვნელოვანი სადაზვერო მონაცემები:

- *ნუმიდიელ მეომართა საცხოვრებელი სახლების განლაგების შესახებ;*
- *საცხოვრებელი სახლების აგებულებისა და შემადგენლობის (ფიჩხი, ჩალა და სხვა) შესახებ;*
- *შეიარაღებულ მხედართა რაოდენობისა და მათი აღჭურვილობის შესახებ.*

განხორციელებული სადაზვერვო ქმედებების ეფექტურობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ***ხელჩართული ბრძოლის დაწყებამდე, მეომართა ქოხები პირველად სამიზნედ იქცა და განადგურდა, რამაც ქაოსი, არეულობა გამოწვია*** ნუმიდიელებში. სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად ამ ქმედებამ გარდამტეხი მნიშვნელობა იქონია რომაელთა გამარჯვებაზე.

საომარი მოქმედებების დაწყებამდე, აქტიურ სადაზვერვო-საინფორმაციო უზრუნველყოფაზე მეტყველებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 55 წელს <u>ბრიტანეთში,</u> ***სადაზვერვო შედწევადობის უზრუნველსაყოფად, დიპლომატიური მისიის (სადაზვერვო ჯგუფი) წარგზავნა***, რომლის მიზანს უხუცესთა გადაბირება და ***რომზე ნებაყოფილობითი მორჩილებისათვის სათანადო საზოგადოებრივი***

აზრის მობილიზაცია წარმოადგენდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ***სავაჭრო მისიის გააქტიურება*** ბრიტანეთთან, რაც რომაელი ***ვაჭრების სადაზვერვო ინფორმაციულ უზრუნველყოფის პროცესში აქტიურ ჩაბმა***ზე უნდა მიუნიშნებდეს, რადგან მათ ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრები ტომების შესახებ უნდა შეეკრიბათ ინფორმაციები:

- *ცხოვრების წესის, წეს-ჩვეულებების, რიცხოვნობის შესახებ;*
- *მოსახლეობასა და მებრძოლებში ბრძოლისადმი გუნება-განწყობილებების შესახებ;*
- *ბრძოლის მეთოდების შესახებ;*
- *კანონმდებლობის შესახებ და ა.შ.*

ფაქტობრივად მინიშნებული სადაზვერვო საქმიანობით ბრიტანეთის დასაპყრობად შესაბამისი ძალების და საშუალებების გამოყენების სწორი დაგეგმვა იქნებოდა შესაძლებელი. ***გადაბირებების პროცესით კი შესაძლებელი გახდებოდა დაპყრობისათვის სათანადო აზრის და განწყობის (შიში, პანიკა) მობილიზება დასაპყრობი ქვეყნის მოსახლეობაში***.

საბრძოლო მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილება კეისარმა, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, სწორედ სადაზვერვო უზრუნველყოფის შემდგომ მიიღო, რაც რომში სადაზვერვო საქმიანობის აქტიურ როლზე მიუნიშნებს.

სადაზვერვო-საინფორმაციო საქმიანობამ პიკს, რომის იმპერიის შემქმნელის იულიუს კეისარისა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 100-44 წლები)[77] და პირველი იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის

[77] **Gaius Julius Caesar (100-44BC). www.roman-empirie.net;**

(ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63-14 წლები) [78] მართველობისას მიაღწია. იმპერიის შიგნით მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში რომმა თანამედროვე პორტუგალიის, ესპანეთის, იტალიის, საბერძნეთის, მაკედონიის, თურქეთის, სირიის, ისრაელის, ტუნისის და ჩრდილოეთ ალჟირის, ხოლო ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს თანამედროვე საფრანგეთის (გალია), ბრიტანეთის, აგრეთვე ეგვიპტის ტერიტორიების კონტროლი უზრუნველყო, რაც ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და დასავლეთ ევროპის კონტროლს გულისხმობდა. ყოველივე კი, სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის გარეშე ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

სადაზვერვო-საინფორმაციო საქმიანობა მიმდინარეობდა იმპერიისათვის მოსალოდნელი საფრთხეების განსაზღვრის კუთხით, ქვემო ჩამოთვლილი მიმართულებების მიხედვით:

- *იმპერიის მოსახლეობაში არსებული გუნება-განწყობილებები;*
- *საიმპერიო მოხელეების ქმედებები, პოლიტიკური მოვლენებისადმი დამოკიდებულებები;*
- *საკუთარი და უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთებში არსებული ვითარება (გუნება-განწყობილება, შეიარაღება და სხვა.);*
- *დაპყრობილი და დასაპყრობი ერების ისტორიული წარსული და ზნე-ჩვეულებები;*
- *დაპყრობილ და დასაპყრობ ერებში პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და სხვა;*

[78] **Augustus. First Roman Emperor, 63 B.C.- 14 C.E. www.lucidcafe.com;**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 100-44 წლებში სისტემატიური დაძაბულობით გამოირჩეოდა ურთიერთობები სენატში, რაც ძლიერი პოლიტიკური ოპონენტების არსებობით და მოღვაწეობით იყო განპირობებული. ამავე დროს, იმპერიაში ბატონებისა და არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მონების აჯანყებებს და გამოსვლებს, სისტემატიური ხასიათი ქონდა.

ყველაზე გამორჩეულ, შეურიგებელ პოლიტიკურ ოპონენტად, სენატსა და მასებში ძალიან დიდი ზეგავლენის მქონე სენატორი ციცერონი[79] (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 106-43 წლები) რჩებოდა, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, იმპერატორის მკაცრ კონტროლს და ზეგავლენას დაქვემდებარებული ***პოლიტიკური ოპონენტების*** პოპულარების ***საწინააღმდეგო განწყობების ორგანიზება*** უზრუნველყო. აღნიშნული პერიოდისათვის:

► „არაფერი ისე პოპულარული არ იყო, როგორც პოპულარებისადმი სიძულვილი“;80

► „ახალგაზრდა ორატორმა მოახერხა დიქტატორის ტერორისტული რეჟიმის გაკიცხვის ისეთი პოზიციის გამონახვა, რომელიც...ფრიად ძნელად ხელშესახები იყო.“[81]

---

[79] **Wer war eigentlich dieser Cicero, nach dem sogar Zeitschriften benannt werden9. www.Bernard-koch.de;**

[80] **Н.А.МАШКИН, „ПРИНЦИНАТ АВГУСТА“, АКАДЕМИЯ НАУК СССР ИНСТИТУТ ИСТОРИИ Издательство Академии Наук СССР Москва. 1949 СТР.22;**

[81] **В. М. СМИРИН, „ЦИЦЕРОН В ГОДИ СУЛЛАПСКОЙ ДИКТАТУРЫ“, ВДИ, 1958, N4, СТ.90;**

ალ.წერეთელი. „მარკუს ტულიუს ციცერონი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ.44;

ციცერონის ქმედებათა სიძლიერე მის სამხედრო და სამეცნიერო გამოცდილებასაც უკავშირდებოდა. პლუტარქეს გადმოცემით: „ერთ ხანს ციცერონი სამხედრო მოღვაწეობასაც ეწეოდა სულას ხელმძღვანელობით მარსების ომში (ე.ი. მოკავშირეთა ომში), მაგრამ მერე, როცა დაინახა, რომ რესპუბლიკა თანდათანობით შინაომისაკენ მიისწრაფოდა და ამის წყალობით შეუზღუდავ მონარქიას უახლოვდებოდა, თავი მისცა მეცნიერულ ცხოვრებას“.[82]

ციცერონი საიმპერიო კარისადმი აშკარა პოლიტიკური დაპირისპირების გარდა არ ერიდებოდა აქტიური სახის სხვა საზიანო პროცესებში მონაწილეობასაც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 49 წელს ***საიმპერიო კარის მმართველობის ძალადობრივი დამხობის მიზნით***, პომპეუსმა თავის ***მომხრეებთან ერთად ბრძოლა გაამძაფრა***, რომელშიაც ციცერონმა მისი ***მხარე დაიჭირა და მოქმედებები დააფინანსა***.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 47 წელს, ***საიმპერიო კარის წინააღმდეგ*** პუბლიუს კორნელიუს დოლაბელას ***ორგანიზებული ამბოხი*** წარუმატებლად დასრულდა, რომლის დროსაც აქციის მხარდამჭერი კვლავ ციცერონი იყო. ამ მოვლენების ანალიზი აჩვენებს, რომ ***იმპერიის ერთიანობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად კონტროლის გაძლიერება*** ერთ-ერთ ძირითად

---

[82] **В.М. СМИРИН, „ЦИЦЕРОН В ГОДИ СУЛЛАПСКОЙ ДИКТАТУРЫ“,ВДИ, 1958, N4, СТ.90;**
ალ.წერეთელი. „მარკუს ტულიუს ციცერონი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ.44;

წინაპირობად რჩებოდა, რაც სადაზვერვო-საინფორმაციო საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობაზე მიუნიშნებდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საიმპერიო ***დაზვერვის საქმიანობა პოლიტიკური ოპოზიციის დათრგუნვის კუთხით***.

არაძალადობრივი დიალოგით პოლიტიკურ ოპონენტებთან პრობლემის მოუგვარებლობა, სენატორებზე ძალადობრივი ქმედებების (დევნა-საკანონმდებლო უზრუნველყოფით) დაწყების საფუძველი გახდა, რის შედეგადაც სენატორებმა სისტემატიურად დაიწყეს სენატში მონაწილეობისაგან თავის არიდება, რაც კეისარს მისი მომხრეების პოპულარების მეშვეობით სასურველი საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღებას უადვილებდა.

საიმპერიო კარზე დაიგეგმა პოლიტიკური ოპონენტის ციცერონის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 106-43 წლები) დევნა. ***საიმპერიო კარის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღსაკვეთად საკანონმდებლო უზრუნველყოფა გახდა აუცილებელი*** (რაც მის ირგვლივ აქტიური სადაზვერვო ქმედებების არაეფექტურობით უნდა იქნას ახსნილი).

პოპულარების მხარდაჭერით დამტკიცდა კანონი, რომელმაც ციცერონის ***განდევნ***ას საფუძველი დაუდო, იმავდროულად, მას ***წყლითა და ცეცხლით სარგებლობის უფლება აეკრძალა***.

ციცერონი გაიქცა, თუმც საიმპერიო კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მისი ცენტრთან ახლოს ყოფნა კვლავ საფრთხედ იქნა მიჩნეული. მიიღეს მეორე ***კანონი***, რომლის მიხედვითაც იგივე ***აკრძალვა მასზე რომიდან 500 მილის მანძილზე ხორციელდებოდა***. ეს კი იმის აღმნიშვნელია, რომ პოლიტიკური ოპოზიციის

ქმედებები, განდევნის შემდგომაც სადაზვერვო კონტროლს (შესწავლას) ექვემდებარებოდა. ამავე კანონით ციცერონზე ***თავშესაფარის მიცემაც აიკრძალა***. ამ გადაწყვეტილებებმა სენატში და ხალხში დიდი უსიამოვნება გამოიწვია. თუმც სიტუაციის დარეგულირება შეიარაღებული რაზმების სენატში მისვლისთანავე გახდა შესაძლებელი. დათრგუნვის პროცესის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ციცერონის ***ქონება დაექვემდებარა საიმპერიო კარის გადაწყვეტილებებს***, რაც პირდაპირ კავშირში იქნებოდა მისი უარყოფითი ქმედებების შესახებ სადაზვერვო მონაცემებთან. საიმპერიო კარმა ციცერონის ***აგარაკის დანგრევა, პალატინზე მდებარე სახლის დაწვა, ნასახლარის ერთი ნაწილის საჯარო გაყიდვა, ხოლო მეორე ნაწილზე თავისუფლების ტაძრის აგება უზრუნველყო***.

მიუხედავად იმისა, რომ საიმპერიო კარი ძალადობრივი ქმედებების ორგანიზებას სისტემატიურად მიმართავდა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 54 წელს რომში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება კვლავ გამწვავდა, რის გამოც (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 53 წელს) დაგეგმილი (კონსულების) არჩევნები ვერ შედგა.

დაძაბულობის ფონზე კეისარმა პოზიცია დათმო, რაც რომში ციცერონის დაბრუნების საფუძველი გახდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახეზეა ***სადაზვერვო-ინფორმაციული უზრუნველყოფის შედეგად მიღებული დათმობის გადაწყვეტილება,*** რაც პროგნოზირებული არასასურველი პროცესების შესაძლო განვითარების თავიდან ასაცილებლად იქნა მიღებული.

აქტიური სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესის განვრცობაზე მეტყველებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 29 წელს ოქტავიანე ავგუსტუსის მიერ ცენზორის ფუნქციის (რომის იმპერიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 442-280 წლებში მოქმედებდა ცენზორის ინსტიტუტი.) შეთავსება, რითაც ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული ვითარება მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა.[83]

ცენზორის სადაზვერვო კონტროლს, იმპერიის შიგნით და გარეთ ექვემდებარებოდა:

- *ცენზის მიხედვით იმპერიის მოსახლეობა, საიმპერიო კარის მსახურები, სენატორები;*
- *მოსახლეობის მორალური და სოციალური მდგომარეობა (არსებობდა ვალდებულება ფიცის შემდგომ ოჯახის წევრების ქონებრივ მონაცემებზე ინფორმაციის მიცემის შესახებ);*
- *საიმპერიო ფინანსების ადმინისტრირება, საზოგადოებრივი შენობების მშენებლობა და ა.შ;*

ცენზორების სადაზვერვო ფუნქციით აღჭურვას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საომარ პირობებში ცენზორები სამხედრო ბანაკებსა და პერიფერიებში იგზავნებოდნენ.

ოქტავიანე ავგუსტუსი არ ითვლებოდა გამორჩეულ მხედართმთავრად, მიუხედავად ამისა, მან იმპერიის საზღვრების გამყარება შეძლო, რომლის ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებად ეფექტურ სადაზვერვო კონტროლზე მუდმივი ზრუნვა უნდა იყოს მიჩნეული: „ოქტავიანემ შექმნა ქალაქებში სახანძრო რაზმები, რომლებიც ასევე პოლიციურ

[83] ლევან სანიკიძე, „რომის იმპერია“,თბილისი.1984.გვ.9-10;.

ფუნქციებსაც ასრულებდნენ, ასევე შექმნა გზების და წყლის გაყვანილობების ზედამხედველობის თანამდებობები.“ [84] ამ მოსაზრებას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი გარემოებებიც:

ა) გზების ზედამხედველობით, კონკრეტული პირების ან პირთა ჯგუფების (მათ შორის უცხო ქვეყნების ვაჭრები, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად, სადაზვერვო ინფორმაციების შეკრების ფუნქციასაც ასრულებდნენ) ქმედებების კონტროლი იქნებოდა შესაძლებელი;

ბ) ამ პერიოდისათვის სასმელი წყლით იმპერიის უზრუნველყოფა, სასიცოცხლო და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებად ითვლებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იპერიისადმი მტრულად განწყობილი შინაური და გარე ძალები დაინტერესებული იქნებოდნენ სისტემების მწყობრიდან გამოყვანით, წყლის მოწამვლით და სხვა;

გ) სახანძრო რაზმების შექმნა და პოლიციური ფუნქციის მქონე უწყებების მიერ, იმ პერიოდისათვის იმპერიის განვითარების წინააღმდეგ მიმართული ხელოვნური (მათ შორის წინასწარ დაგეგმილი) ხანძრების გამომწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციების მოკრება და ხანძრებთან ბრძოლა.

ეფექტური სადაზვერო საქმიანობის შედეგად საიმპერატორო კარი ფლობდა ინფორმაციებს კონტროლირებად ტერიტორიებზე:

დაკნინებული ზნე-ჩვეულებების თაობაზე;

---

[84] **ოქტავიანე ავგუსტუსის პრინციპატი http://ka.wikipedia.org;**

-რთული დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ;

სენატორების მხრიდან იმპერატორის საწინააღმდეგო აგიტაციისა და აჯანყებების ორგანიზებაში მონაწილეობაზე და სხვა;

ქვეყნის შიგნით და გარეთ, საიმპერიო მმართველობის შეუფერხებელი საქმიანობისათვის, იმპერატორისა და მაღალი რანგის საიმპერატორო მოხელეების *პირადი უსაფრთხოების მიზნით* **ფუნქციონირებდა** პრეტორიანელთა გვარდია, **რომელიც პოლიციურ ფუნქციასაც ასრულებდა: „განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ პრეტორიანელთა კოჰორტები... ისინი ღებულობდნენ მეტ ხელფასს და უფრო დიდ ხანს მსახურობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი ლეგიონერები. განსაკუთრებით კოჰორტები რომში ეწეოდნენ საპოლიციო სამსახურს.“ [85] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სამსახური იმპერატორის გარდა, დაცვას დაქვემდებარებული ობიექტების შესაძლო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შესახებ სადაზვერვო მონაცემების შეკრებასაც ახორციელებდა.**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27-14 წლებში, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ავგუსტუსს, ტრიუმვირატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ანტონიუსი ბრძოლით დაუპირისპირდა. ანტონიუსის **სტრატეგიული პარტნიორი ამ ბრძოლაში,** მისი საყვარელი ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა იყო, რომელმაც თავისი ფლოტით იგი შუა ბრძოლაში *მიატოვა* და ეს ქმედება ***ბრძოლის წაგების განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება*** გახდა. თუ გავითვალისწინებთ

[85] ლევან სანიკიძე, „რომის იმპერია “თბილისი. 1984 გვ.17;

ოქტავიანეს ეგვიპტეში შესვლისას კლეოპატრას პომპეზურ დახვედრას, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ანტონიუსი თავშესაფრის საძებნელად ეგვიპტეში გაიქცა და ეგვიპტის ***მთავარი ქურუმის ორგანიზებით*** ეგვიპტეში გადასვლისას ***იგი მოკლეს***, დასაშვებია ვარაუდი ***<u>მაღალი დონის სადაზვერვო აგენტურული შელწევადობის და ტერორისტული აქტის უზრუნველყოფაზე.</u>***

დროული სადაზვერვო ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის გამოყენებული იყო ე.წ. საკურიერო სამსახური და სიგნალური სისტემა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში იულიუს კეისარის ორგანიზებით ჩამოყალიბდა ე.წ. **სახელმწიფო ფოსტა.** [86] **განვითარება დაიწყო საკურიერო სამსახურმა.** კურიერების დღიურ გარბენად 75 კილომეტრი იყო დაწესებული და სასწრაფო გზავნილების შემთხვევაში გადაადგილება ცხენებით ხორციელდებოდა.

იმპერიისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების მხრიდან, საკურიერო სამსახურის ქმედებების სადაზვერვო კონტროლზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ სამსახურის **თანამშრომლები ხშირად ხდებოდნენ თავდასხმების ობიექტები, რაც სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას უკავშირდებოდა.**

გადაადგილების მარშრუტზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაცვითი შენობა-ნაგებობები და სამხედრო ბანაკების მშენებლობა

---

[86] **Виргинский В., Хотеенков В. „Очерки истории науки и техники с древнейших времен до середины XV века“, www.gumer.info;**

Кисин Б. М. „Страна Филателия“. — М.: Просвещение, 1969. — 240 с.;

განხორციელდა და საკურიერო სამსახურის ეფექტური სადაზვერვო მოქმედებებისათვის ამომქმედდა ***სადარაჯო სისტემები-ე.წ. პოსტები.***

თუ გავითვლისწინებთ იმ გარემოებას, რომ **საკურიერო სამსახურის მეშვეობით „იმპერიის მოსახლეობას შეეძლო მიეღო აქტუალური ინფორმაცია პოლიტიკური ცხოვრების, სასამართლო უთანხმოებების, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების, საომარი კომპანიების და სიკვდილის დასჯის“**[87]შესახებ, დასაშვებია ვარაუდი აღნიშნული სამსახურის სადაზვერვო ქმედებაზე, ***საიმპერიო კარისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრისა და მოსახლეობის დასათრგუნად პროპაგანდისტული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით***.

კურიერული სამსახურის ეფექტური საქმიანობა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, კარგი გზების მოწყობით იყო განპირობებული. „იმპერიის აყვავების ხანაში რომის გზების სიგრძე, სხვადასხვა ისტორიკოსების შეფასებით შეადგენდა 80-300 ათას კილომეტრს,“[88] რომელიც ერთმანეთთან 372 დასახლებულ პუნქტს აერთებდა. ყოველივე კი ინფორმაციის დროული გაცვლის ხელსაყრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იყო.

გამოდის, რომ **საკურიერო სამსახურის ეფექტური გამოყენება კარგი და მასშტაბური გზებით, მარშრუტზე თანამშრომლების უსაფრთხო და გადაღლის გამომრიცხავი გადაადგილების უზრუნველყოფით იქნა განპიროვნებული.** ამ სამსახურს **სადაზვერვო ინფორმაციის დროული მიმოქცევის გარდა საზოგადოებრივი აზრის**

[87] **„ Любопытные факты“, www.megapochta.ru;**

[88] **„Любопытные факты“, www.megapochta.ru;**

მობილიზების და საზოგადოების დამრთგუნავი ინფორმაციების გავრცელების უზრუნველყოფა ევალებოდა. ამასთან ერთად, გადაადგილების მარშრუტზე, სამსახურისათვის განკუთვნილი პოსტების, *დაინტერესების ობიექტების (სადაზვერვო ფუნქციის მატარებელი პირების, მაგალითად ვაჭრების) მოქმედებების და მოძრაობის კონტროლისათვის* **იქნებოდა შესაძლებელი, რაც სადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია.**

სადაზვერვო საქმიანობაში საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ხარისხის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე მეტყველებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში შექმნილი შეცვლის მეთოდზე დამყარებული ***„კეისარის შრიფტი“,*** რომელიც ტექსტის დამალვის ე.ი საიდუმლო მიმოწერის უზრუნველმყოფი მარტივი საშუალება იყო: „და მათ ვისაც სურდა ნაწილობრივ დაემალა ტექსტის შინაარსი, ცვლიდა ტექსტის ასოებს ისე რომ ტექსტი კარგავდა ჭეშმარიტ სახეს. და მათ ვისაც სურს ტექსტის გაშიფრვა, ვუთითებ რომ შეცვლა მოხდა ასო-ასო: ანბანის პირველ ასოს შეესაბამება მეოთხე, თუ გვაქვს A გვექნება D, და ა.შ.“[89] **ამასთან ერთად რთული დაშიფრვის მეთოდიც არსებობდა.**

საიმპერიო კარი მუდმივად ზრუნავდა ტერიტორიული გაფართოების პარალელურად

---

[89] **„სუეტონი, თორმეტი ცეზარის ცხოვრება“, წიგნი I, პარაგრაფი 56 (Ancient History Sourcebook: Suetonius (c.69-after 122 CE): De Vita Caesarum, Divus Iulius (The Lives of the Caesars, The Deified Julius), written c. 110 CE) (ცეზარის კოდი *ka.wikipedia.org/*).**

გაეძლიერებინა სადაზვერვო კონტროლი, რისი ნათელი დადასტურებაა ***უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის ხელსაყრელი ქმედებების–ლეგიონების შეკვეცა*** (რაც დასაქმებულთა შემცირებასთან ასოცირდება), ***იმპერიის ინტერესებში შემავალ ქმედებებად ქცევა.***

ავგუსტუსის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 27-14 წლები) მიერ, იმპერიაში რეორგანიზაციის ერთ-ერთ პროცესს, ლეგიონების რაოდენობრივი შეკვეცა და არსებული წეს-წყობილებისათვის ფეთქებად საშიშ რეგიონებში ლეგიონერების აბსოლიტური უმრავლესობის განსახლება მოყვა.

სამსახურიდან დათხოვნილი პირები, ძირითადში უკმაყოფილო იქნებოდნენ იმპერიის ხელისუფლებისადმი და მათი განთავსება იმპერიისადმი ისედაც არამყარ რეგიონებში, საფრთხეებს კიდევ უფრო ზრდიდა, ამიტომ, ვერსია **ძლიერ კონტროლს დაქვემდებარებულ რეგიონებში უკმაყოფილო, ყოფილი (სამხედრო თვალსაზრისით კარგად გაწრთვნილი) საიმპერიო მოხელეების გადასახლების შესახებ, უნდა გამოირიცხოს.** გამოდის რომ, ამ კონკრეტულ ტერიტორიებზე, მიზანმიმართული განსახლების პროცესი სადაზვერვო კონტროლის გაძლიერებისაკენ მიმართულ ღონისძიებას და გადასახლებულების ამ პროცესის ერთ-ერთ უზრუნველმყოფ ძალად გამოყენებას უნდა უკავშირდებოდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ საიმპერიო ხელისუფლებისათვის, ყოფილი ლეგიონერებით დასახლებულ ტერიტორიებზე გაადვილებული იყო აჯანყებების ჩახშობა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას **წინმსწრები, დროული, სრულყოფილი და ობიექტური სადაზვერვო მონაცემების მოკრება-მიწოდება** წარმოადგენს.

ეფექტური სადაზვერვო საქმიანობის ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად საიმპერიო კარის წინააღმდეგ მიმართული *დანაშაულის კლასიფიცირება* (სამშობლოს ღალატი, სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება, ბრძანების შეუსრულებლობა, მტრისადმი დახმარება, იარაღით ხელში ღამით შეკრება, ჭორების გავრცელება და ცრუმოწმეობა, შენობების განადგურება, თანამდებობისათვის შეუფერებელი საქმიანობა, ქრთამის აღება, დოკუმენტის ფალსიფიკაცია, ფიცის გატეხვა, კანონის შეუსრულებლობა, ჯარისკაცის მიერ მოვალეობის ცუდად შესრულება და სხვა)**, მისი აღკვეთის მიზნით** *საკანონმდებლო უზრუნველყოფა*

–დაკნინებული რომაული ზნე-ჩვეულებების ამაღლებისაკენ მიმართული კანონმდებლობა;

–დემოგრაფიული და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შედგენილი (სამი შვილის მამების წახალისება სახელმწიფო სამსახურში) პრივილეგირებული კანონმდებლობა;[90]

–თანამდებობრივი (მაგ. დაუოჯახებელი საიმპერიო მოხელის თანამდებობრივი) წინსვლის შემზღუდველი კანონმდებლობა;

–საიმპერიო კარის საწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილებისათვის, სათანადო ნებართვის გარეშე იმპერიის შიგნით სენატორების მიმოსვლის ამკრძალავი და სხვა კანონმდებლობა, რომლებიც სათანადო სადაზვერვო უზრუნველყოფით კონტროლს აკანონებდა.) **და** *სასჯელის სახეები* (ჩვენს წელთ აღრიცხვამდე სასჯელის სახეები თანდათანობით განიცდიდა ცვლილებებს, რომლებიც მიზნად იმპერიის

[90] ლევან სანიკიძე„რომის იმპერია“ თბილისი. 1984. გვ.12-13;

შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. ამ მხრივ **გამორჩეულია სახელმწიფო დანაშაულების აღსაკვეთად მომქმედი მკაცრი სასჯელები.**

სიკვდილით ისჯებოდნენ:

–სამშობლოს ღალატისათვის, სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, ბრძანების შეუსრულებლობისათვის, მტრისადმი დახმარებისათვის, იარაღით ხელში ღამის შეკრებებისათვის, ჭორების გავრცელებისა და ცრუმოწმეობისათვის,[91] შენობების განადგურებისათვის[92] და სხვა დანაშაულობებისათვის.

საიმპერატორო მმართველობის წინააღმდეგ მოქმედი პირები (მათ შორის, პოლიტიკური ოპონენტები) ექვემდებარებოდნენ:

–გადასახლებას (იმპერიის ცენტრიდან 500 კმ რადიუსით);

–წყლითა და ცეცხლით სარგებლობის უფლების აკრძალვას:

–ქონების, დაწვა-განადგურება-გაყიდვას („რამდენიმე ათასი დასჯილის ქონება აუქციონით იყიდებოდა ჩალის ფასად.“[93])

–სენატიდან გარიცხვას, თანამდებობრივ დაქვეითებას, მხედრისათვის ცხენის ჩამორთმევას,

---

[91] **Коптев А.В. „РИМСКОЕ ПРАВО В АРХАИЧЕСКУЮ ЭПОХУ“. http://ancientrome.ru;**

[92] **В.В. КУЧМА. „ГОСУДАРСТВО И ПРАВО ДРЕВНОГО МИРА И СРЕДНИХ ВЕКОВ“, ВОЛГОГРАД. 2001 СТР.198-210-211;**

[93] **ალ.წერეთელი. „მარკუს ტულიუს ციცერონი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ.29;**

ხოლო დიდი დანაშაულის ჩამდენის ნათესავებს ეკრძალებოდათ გვარის გამოყენება.

–კანონმდებლობით საიმპერატორო მართველობის წინააღმდეგ მოქმედი პირისათვის თავშესაფარის მიცემაც იკრძალებოდა.

რომის იმპერიაში ადგილი ჰქონდა პრეცედენტს, როდესაც არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობის შემდგომ, დამარცხებული რეჟიმის მომხრეების, ე.ი. **პოლიტიკური მოწინააღმდეგეების** კანონის ძალით **სიკვდილით დასჯა და ქონების კონფისკაციაც** განხორციელდა: „ძვ.წ. 82 წელს გამარჯვებული სულა რომში მივიდა. აქაც საშინელი ხოცვა-ჟლეტვა გაჩაღდა. ქალაქის ქუჩებში გამოაკრეს იმ ადამიანთა სიები, რომლებიც, სიკვდილით უნდა ყოფილიყვნენ დასჯილი ქონების კონფისკაციით.“[94]

განხილულთან ერთად, საინტერესოა რომის მიერ ორგანიზებული სადაზვერვო საქმიანობისას დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომების ზოგადი მიმოხილვა:

× *ჩვენს წელთაღრიცხვამდე 391 წელს, რომსა და გალებს შორის ბრძოლის დაწყებამდე სტრატეგიული პოზიციების შესწავლა-დაკავების კუთხით* ***<u>არასწორი სადაზვერვო შეფასებები</u>*** *განხორციელდა, რის გამოც, რომაელთა სამხედრო შენაერთი ალყაში მოექცა;*

× *ჩვენს წელთაღრიცხვამდე 105 წელს, ნუმიდიის სამეფოში საიდუმლო ოპერაციის დაგეგმვის საფუძველი, რომის* ***<u>სადაზვერვო შელწევადობის (მათ შორის აგენტურული) პრაქტიკულად არ არსებობა</u>*** *იყო. ასევე,* ***<u>სადაზვერვო ჯგუფში ჩანერგილი პირის, გაშიფრვის ალბათობა</u>***

[94] **იქვე;**

არსებობდა., რაც საიდუმლო ოპერაციის გაშიფრვის წინაპირობა იყო.

× ***პონტოელებსა და რომს შორის ხანგრძლივი ომის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 88-65 წლებში)*** [95] *მიმდინარეობისას ვერ იქნა განხორციელებული ქმედითი სადაზვერვო ღონისძიებები ომში დროული, გარდამტეხი, სასიკეთო ცვლილებების მისაღწევად.* ***პროცესის ძირითადი მიზეზი, ამ ომში პონტოს მეფის მოკავშირე სახელმწიფოთა (არმენია, ლიბანია და იბერია) შეძენის მიზნით განხორციელებული წარმატებული საქმიანობა გახდა, რომლის წინააღმდეგაც რომის დაზვერვამ არაეფექტურად ან საერთოდ ვერ იმოქმედა.***

× ***ჩვენს წელთაღრიცხვამდე 74 წელს*** *კომპრომისული ზავის პირობებში,* ***რომისადმი პონტოს სამეფოდან სომხეთში დევნილი მეფის მითრიდატესა და მისი სიძის სომხეთის მეფის ტიგრან II საომარ მზადებაზე, ბითინიის მეფის ნიკომედ III მიერ ნაანდერძევი ბითინიის სამეფოს წინააღმდეგ*** *საომარი მოქმედებების ორგანიზებისა და დაწყების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციების არ არსებობა ან მიღებულის მიზანმიმართული გამოუყენებლობა;*[96]

× ***ჩვენს წელთაღრიცხვამდე 60 წელს სპარტაკის მეთაურობით*** *მონათა აჯანყების ორგანიზების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციების არ არსებობა ან მიღებულის მიზანმიმართული*

---

[95] „საქართველოს ისტორია“ (შედგენილი აკად. შ.ჯანაშიასა და აკად. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით) თბილისი. 1990. გვ.22;

[96] ალ.წერეთელი, „ძველი რომი I“, გვ.179;

გამოუყენებლობა. ***(აჯანყები ჩახშობა სამი წლის შემდეგ წარმატებით განხორციელდა, მაგრამ „იტალია მძლავრად შეარყია“[97]*** **და დაასუსტა;**

× ***იმპერატორის პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე 53 წელს, რომში*** *სოციალურ-პოლიტიკური ვითარების უკიდურესობამდე გამწვავების, არჩევნების ჩაშლის წინაპირობების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციების არ არსებობა ან მიღებულის მიზანმიმართული გამოუყენებლობა;*

× ***საიმპერიო კარზე შეთქმულების არსებობისა და კეისარის ლიკვიდაციის*** *(ჩვენს წელთაღრიცხვამდე 44 წელს)* ***დაგეგმვის შესახებ სადაზვერვო მონაცემების არ არსებობა ან არსებული მონაცემების მიზანმიმართული გამოუყენებლობა,*** *რასაც სენატში კეისარის ლიკვიდაცია მოყვა;*

× *ჩვენს წელთაღრიცხვამდე 31 წელს[98]* ***ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით,*** *ტრიუმვირატის (ხელმძღვანელები ანტონიუსი და ლეპიდუსი) ავგუსტუსთან* ***საბრძოლო დაპირისპირების ორგანიზების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციების არ არსებობა ან მიღებულის მიზანმიმართული გამოუყენებლობა;***

× *სისტემატიური და ხანგრძლივი ომების მიმდინარეობა და კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიების განსაკუთრებული სიდიდე იმპერიის*

---

[97] ალ.წერეთელი. „მარკუს ტულიუს ციცერონი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1959. გვ.29;

[98] ლევან სანიკიძე „რომის იმპერია“, თბილისი. 1984. გვ.3;

დამხობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა,[99] *რაც* ***<u>ძირითადი საშიშროებების შესახებ, საიმპერიო კარის დამაჯერებელი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის პროცესის ჩაშლის, დასუსტების ან საიმპერატორო კარის მიერ სადაზვერვო-ანალიტიკური საქმიანობით მიღებული პროგნოზების იგნორირებით იყო განპირობებული</u>*** *და სხვა.*

<u>ამრიგად, სახეზეა:</u>

- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში სადაზვერვო საქმიანობაში სამეფოს პირველი პირის კონტროლით უშუალო მონაწილეობა და სტრატეგიული ობიექტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სადაზვერვო-სანფორმაციო საქმიანობის უზრუნველყოფა;*
- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე V (III და I) საუკუნეში რომის პირველი პირის ცენზორის რანგში სადაზვერვო საქმიანობაში მონაწილეობა;*
- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში სამხედრო თვალსაზრისით, კონტროლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად სადაზვერვო-საინფორმაციო უზრუნველყოფა.*
- *საომარი მოქმედების დროს, დიდგვაროვანის მოწინააღმდეგის მხარეს გადასვლის ორგანიზება და საომარ მოქმედებებამდე ან მოქმედებების დროს პესპერქტიული და (მათ შორის ფინანსურად) მოტივირებული გადაბირების პროცესი.*
- *ალყის პირობებში საიდუმლო, წერილობითი ინფორმაციის, შენიღბული სახით, მიწოდება;*

---

[99] **„Der Spiegel Special. Geschichte. 2009.01. Das Ende des Römischen Reiches“, http: //tvtorrent.ru;**

- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში სამხედრო სადაზვერვო-ინფორმაციულ საქმიანობაში ინფორმაციის ექსპერიმენტალური გზით გადამოწმების და მოწინააღმდეგე სამეფოების წეს-ჩვეულებებზე სადაზვერვო შესწავლაზე დაქვემდებარების პროცესი;*
- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში, საომარი მოქმედებების დაწყებამდე, სადაზვერვო უზრუნველყოფისათვის, დიპლომატიური მოლაპარაკებების ორგანიზებისას, მისიაში დაზვერვის ოფიცრის ჩანერგვა.*
- *სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების უზრუნველსაყოფად დიპლომატიური მოლაპარაკებების პროცესის გაჭიანურება;*
- *ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში დაპყრობას დაქვემდებარებული ობიექტი ქვეყნის ავტორიტეტული ფენის (უხუცესები) გადაბირების, დამპყრობელისადმი ნებაყოფილობითი მორჩილებისათვის მოსახლეობაში შიშისა და პანიკის ან დადებითი განწყობების დასათესად საზოგადოებრივი აზრის მობილიზების პროცესის ორგანიზება.*
- *საიმპერიო კარის მმართველობის ძალადობრივ დამხობაში ფინანსური უზრუნველყოფით მონაწილეობა;*
- *იმპერიაში მცხოვრები ხალხების პოლიტიკური პროცესებისადმი დამოკიდებულებების სადაზვერვო შესწავლა, დროული ინფორმაციული უზრუნველყოფა და დროული რეაგირება.*
- *არასასურველი პროცესების შესაძლო განვითარების თავიდან ასაცილებლად, საიმპერიო კარის სადაზვერვო-ინფორმაციული უზრუნველყოფით პროგნოზირებული შედეგების გათვალისწინება;*

- *აქტიური საპოლიციო უფლებების არმქონე საიმპერიო სამსახურების სადაზვერვო მისიით გამოყენება;*
- *საიმპერიო მოხელეების პირადი უსაფრთხოების დაცვის სამსახურის მიერ, იმპერატორის გარდა დაცვას დაქვემდებარებული ობიექტების შესაძლო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შესახებ სადაზვერვო მონაცემების შეკრება;*
- *უცხო სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეებში და სასულიერო პირებში აგენტურული შელწევადობა, უცხო ქვეყანაში გაქცეულ პოლიტიკურ ოპონენტზე მკვლელობის (ტერორისტული აქტის) ორგანიზება;*
- *საკურიერო სამსახურის მეშვეობით აქტიური სადაზვერვო უზრუნველყოფა და პროპაგანდისტული საქმიანობით სასურველი საზოგადოებრივი (მათ შორის დამთრგუნავი) აზრის მობილიზება;*
- ***სადაზვერვო საქმიანობაში საიდუმლო მიმოწერისას, კონსპირაციის უზრუნველმყოფი, შეცვლის მეთოდზე დამყარებული სპეციალური შრიფტის გამოყენება;***
- *იმპერიის შენარჩუნების კუთხით, ფეოქებადსაშიშ ტერიტორიებზე, სამსახურიდან დათხოვნილი პირების ორგანიზებული გადასახლების პროცესის, შენიღბული სადაზვერვო მიზნებისათვის გამოყენება;*

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში აქტიური შესწავლის ობიექტები იყვნენ:</u>

- *მოსახლეობა, კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელ ტერიტორიებზე და მათი კავშირები;*
- *საკუთარი და უცხო ქვეყნების, ყველა დონის საიმპერიო (ან სამეფო) მოხელეები და მათი კავშირები;*
- *საკუთარი და უცხო ქვეყნების სამხედრო შენაერთები, სამხედრო პირები და მათი კავშირები;*
- *უცხო ქვეყნებში მაღალი ავტორიტეტის მქონე სამოქალაქო პირები და მათი კავშირები.*
- *საკანონმდებლო ორგანოს თანამშრომლები (მათ შორის პოლიტიკური ოპონენტები) და მათი კავშირები;*
- *საიმპერიო (მათ შორის საზედამხედველო ფუნქციით აღჭურვილი) დაწესებულებები და მათი კავშირები;*
- *საკუთარი და უცხო ქვეყნების სავაჭრო მისიები და მათი კავშირები;*
- *საკუთარი და უცხო ქვეყნების დიპლომატიური მისიები და მათი კავშირები;*
- *სტრატეგიული და სასიცოცხლო დანიშნულების შენობა-ნაგებობები;*
- *სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით კონტროლს დასაქვემდებარებელი ტერიტორიები განფენის მიხედვით;*

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში მოიპოვებოდა ინფორმაციები შემდეგი მიმართულებებით:</u>

- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელ ტერიტორიებზე მოსახლეობაში არსებული გუნება-განწყობილებები;*
- *კონტროლს დაქვემდებარებელ ტერიტორიებზე მოსახლეობის სოციალური (მათ შორის ქონებრივი) მდგომარეობა;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელ ტერიტორიებზე საიმპერიო (სამეფო) მოხელეების პოლიტიკური მოვლენებისადმი დამოკიდებულებები;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელი ქვეყნების სამხედრო შენაერთებში არსებული გუნება-განწყობილებები, მებრძოლთა რაოდენობა და აღჭურვილობა;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელი მოსახლეობის ისტორიული წარსული და ზნე-ჩვეულებები;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელი ერების პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებელი ერების დემოგრაფიული მდგომარეობა;*
- *კონტროლს დასაქვემდებარებელ ტერიტორიაზე სასიცოცხლო და სტრატეგიული ობიექტების განფენა, აგებულება;*
- *იმპერატორის საწინააღმდეგო აგიტაციისა და აჯანყებების ორგანიზებაში მონაწილეობა;*
- *საიმპერიო ფინანსების ადმინისტრირება და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობა და ა.შ.*

<u>სადაზვერვო უზრუნველყოფის პროცესში აგენტურულ აპარატს შეადგენდნენ:</u>

- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები (მონები) და საიმპერიო (სამეფო) კარის მოხელეები;*
- *არაპოლიციური ფუნქციებით აღჭურვილი საიმპერიო ორგანიზაციების თანამშრომლები;*
- *კონტროლირებად და კონტროლს დასაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამხედრო შენაერთების ოფიცრები, ჯარისკაცები და სხვა.*

შეიძლება დავასკვნათ, რომ რომში სადაზვერვო საქმიანობა ჩვენ წელთაღრიცხვამდე VIII-I საუკუნეებში სამეფო (საიმპერატორო) ხელისუფლების შენარჩუნების და კონტროლს დასაქვემდებარებული ტერიტორიების მუდმივი გაფართოების ფონზე, აგენტურული აპარატის შექმნით, სადაზვერვო ობიექტების აქტიური შესწავლით, კონსპირაციის პრინციპების დაცვით აქტიურად მიმდინარეობდა. განხილული მაგალითები ცხადყოფენ, რომ დროული, ობიექტური და სრულყოფილი სადაზვერვო-ინფორმაციული უზრუნველყოფა, დახვეწილ სადაზვერვო ხერხებისა და მეთოდების გამოყენებასთან ერთად, განსაზღვრავდა იმპერიის როგორც შენარჩუნების, ისე გაძლიერებისაკენ მიმართული სწორი ღონისძიებების დაგეგმარებას და წარმატებულ განხორციელებას. ამ პროცესში განსაზღვრული იყო, სადაზვერვო ინფორმაციული უზრუნველყოფა ხაზობრივი პრინციპის-მიმართულებების მიხედვით, რომლის ეფექტური განხორციელება, იმპერიის

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კლასიფიცირებამ, სასჯელის სახეებმა და საკანონმდებლო უზრუნველყოფამ განსაპირობეს.

რომის მმართველები, დაზიანებას და დაპყრობას დაქვემდებარებულ იმპერიებთან და სამეფოებთან დამოკიდებულებებს, სადაზვერვო ინფორმაციებზე დაყრდნობით ძირითადად წარმატებულად განსაზღვრავდნენ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ობიექტური სადაზვერვო მონაცემების იგნორირება, ხელისუფლების და კონტროლის შენარჩუნების თვალსაზრისით, დამანგრეველ ზემოქმედებას იწვევდა.


ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲗᲐ
ᲥᲕᲔᲠ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲛᲘ

<u>დაზვერვა ძველ ეგვიპტეში</u>

მსოფლიო ისტორიის ყველა ეტაპზე, დაინტერესებულ სახელმწიფოთა მხრიდან, ობიექტი ქვეყნის დასუსტება-დაპყრობის ღონისძიებების დროული გამოვლენისა და აღკვეთის უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სადაზვერვო საქმიანობით განპირობებულ ინფორმაციული კონტროლის პირობების შექმნას.

სახელმწიფოს შიგნით ქვეყნის დასუსტების უზრუნველსაყოფად, დანაშაულებრივი ქმედებების დრული აღკვეთის წინაპირობაც სადაზვერვო საქმიანობაში (ე.ი. ინფორმაციული კონტროლის პირობების შექმნაში) მდგომარეობს. სწორედ წარმატებული სადაზვერვო კონტროლი განაპირობებს სახელმწიფოს წარმატებული განვითარების პროცესების უზრუნველყოფას. ამ კუთხით საინტერესოა განვიხილოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტის სადაზვერვო-საინფორმაციო კონტროლის ხერხები და მეთოდები, აგრეთვე სადაზვერვო კონტროლის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის მიმოხილვა.

ყველა იმპერიიის და სამეფოს მსგავსად, ეგვიპტის განვითარებაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძირითადად არასტაბილურ გარემოში მიმდინარეობდა. თუმცა არსებობდა შედარებით სტაბილური პერიოდები, რომლის დროსაც ეგვიპტე იმ ზღვრამდე ძლიერდებოდა, რომ მისი მმართველები ტერიტორიულ გაფართოებაზეც კი ფიქრობდნენ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2050-1700 წლები ეგვიპტური კულტურის აღორძინების, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1580-1070 წლები იმპერიის გაფართოებისა და გაძლიერების პერიოდია, როდესაც მისი საზღვრები ხმელთაშუა ზღვის მთელ

ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ნილოსის სამხრეთ დინებამდე გავრცელდა.[100]

ეგვიპტის სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით, წარმატებას თან ახლდა ხანგრძლივი წარუმატებლობები. ეგვიპტე დაპყრობილი იყო:

* *ასურეთის მიერ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 664-656 წლებში;*
* *სპარსთა მიერ:*
  I. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 525-404 წლებში;
  II. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 343–332 წლებში;
* *მაკედონიის მიერ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 332–305 წლებში;*
* *პტოლემეების მიერ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 305-322 წლებში;*

დაპყრობების ხელისშემწყობ გარემოებებს, სხვა მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, *მონებსა და თავისუფალთა შორის კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები განაპირობებდნენ*.

სწორედ ამ პროცესების სისტემურობამ ეგვიპტის *სიღატაკე და სისუსტე* გამოიწვია, რაც *უცხო იმპერიათა გაბატონების ერთ-ერთი ძირითადი ხელსაყრელი პირობა* გახდა. როცა დაპყრობისათვის ხელსაყრელ პირობებზე ვსაუბრობთ გასათვალისწინებელია *უმძიმესი გარემო კლიმატური პირობებიც*, რომლებმაც *სამეფოს განვითარების პროცესზე დამანგრეველად იმოქმედეს*: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2200-2150 წლებს შორის

[100] ომარ ქაჯაია, „ეგვიპტე ბრძოლის გზაზე“, თბილისი. 1977. გვ.12-13;

მომხდარმა მკაცრმა უწყლობამ, ქვეყანა 140-წლიანი **შიმშილისა და არეულობის პერიოდში შეიყვანა“.**[101]

საინფორმაციო კონტროლის მიზნით სადაზვერვო სამიანობამ ეგვიპტეში პიკს რამზეს II მმართველობის პერიოდში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1279-1213 წლებში მიაღწია, რომელსაც მნიშვნელოვანი წინაპირობები გააჩნდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3200-2400 წლებში, ტერიტორიული გაფართოების ამბიციის მქონე ეგვიპტის ***სადაზვერვო სამსახური, საომარი მოქმედებების დაწყებამდე*** მოწინააღმდეგის ტერიტორიის შესახებ ინფორმაციების მოკრებას შემდეგი მიმართულებებით ანხორციელებდნენ:

► მოწინააღმდეგის ***ციხე-სიმაგრის ფართობის, სიმაღლის, აგებულების დადგენას***. („ეგვიპტელები ციხე-სიმაგრეების შტურმის დროს საშტურმო კიბეებს იყენებდნენ, ხოლო ციხე-სიმაგრეებში შედწევისათვის კედლებს ძალაყინით ტეხდნენ.);[102]

► მოწინააღმდეგის ***ციხე-სიმაგრეში განთავსებულ მებრძოლთა რაოდენობის, აღჭურვილობის ნაირსახეობის გარკვევა და*** სხვა;

ეგვიპტის ***ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხო ტომის მეომრებით იყო დაკომპლექტებული***, ამიტომაც დასაშვებია ვარაუდი მათ ქმედებებზე ***სადაზვერო ინფორმაციების შეკრების შესახებ***;

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVI-XV საუკუნეში აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ადასტურებს სამხედრო მეთაურების მიერ, ომის წინ საკუთარი

---

[101] **„The Fall of the Egyptian Old Kingdom“ By Professor Fekri HassanLast updated 2009-11-05** ცცცყიისყსწყლ.ჰრშოეწკნუ

[102] **„ДРЕВНИЙ МИР. НА ЗАРЕ ВОЕННОЙ ИСТОРИИ. АРМИЯ ДРЕВНЕГО ЕГИПТА http://voenn.claw.ru;**

ჯარის ნაწილებისათვის, განთავსების თვალსაზრისით ხელსაყრელი ადგილების და უეცარი დარტყმის უზრუნველმყოფი, მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების შესახებ ინფორმაციის ფლობა,[103] აგრეთვე (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1455-1419 წლებში ამენხოტეპ III ხელთ არსებული) სადაზვერვო ხასიათის შეტყობინებები, რომლის მიხედვითაც:

► „მისი აღმატებულება ინფორმირებულია მასზედ, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთმა ***მცხოვრებლებმა. . . მოაწყვეს შეთქმულება, რათა*** იქ განთავსებულ ***სახელმწიფო ჯარში შეიტანონ განხეთქილება***“[104]

► „მის აღმატებულებასთან მივიდნენ და ***შეატყობინეს***, რომ მისი ***ქვეყნის მტერმა*** კუმმა ***განიზრახა აჯანყება***“ და ა.შ;

საქმიანობის პროცესში ეგვიპტის დაზვერვა განსაკუთრებულ ყურადღებას ***მოსახლეობის გუნება-განწყობილების შესწავლ***ას უთმობდა (რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ***სამეფოში უარყოფითი გუნება-განწყობილების გამეფება აჯანყების, გადატრიალების ხელსაყრელ წინაპირობად ითვლებოდა***).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნეში აქტიურ სადაზვერვო ქმედებებზე, თიხის ცხრილში გაკეთებული შეტყობინება მეტყველებს. იგი იერუსალიმშია აღმოჩენილი და ეგვიპტის

---

[103] **„Тутмос III. Осада и взятие Мегиддо. Сражения в Древнем Египте“. www.licey.net;**

[104] **„Египет. Рождение шпионажа“, http://spywars.ru;**

ფარაონისადმი გასაგზავნად იყო განკუთვნილი (ზომით 2 X 2,8 X 1 სმ.).[105]

სადაზვერვო საქმიანობის განვითარების თვალსაზრისით, ეგვიპტის ისტორიაში გამორჩეულ ფიგურად ფარაონი რამზეს II (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1279-1213 წლები) ითვლება. მისი მეფობის პერიოდში აქტიური სადაზვერვო და საკანონმდებლო (არმიის რეორგანიზაციის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის, საზოგადოების წოდებრივ-კლასობრივი ურთიერთობების მოწესრიგების და სხვა) საქმიანობა ხორციელდებოდა.[106]

მეფობის პირველ პერიოდში ეგვიპტის კონტროლს დაქვემდებარებულ ნუბიაში ***ორგანიზებული აჯანყების შესახებ, ფარაონის ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლის მეშვეობით არსებობდა წინმსწრები ინფორმაცია,*** რაც აჯანყებულთა შედარებით ადვილად დამარცხების მიზეზი გახდა.

I. აღნიშნული ინფორმაციების მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეფო კარი დაპყრობილ ტერიტორიებზე არსებული განწყობების შესახებ სისტემატიურ სადაზვერვო საინფორმაციო კონტროლს ანხორციელებდა, რაც თავისთავად აგენტურული აპარატის არსებობაზე მეტყველებს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1279 წელს ქალაქ კადეშის ციხე-სიმაგრის მახლობლად, ბრძოლის დაწყებამდე, ეგვიპტელებმა ხეთების ჯარის

---

[105] **И.Панин„В Иерусалиме обнаружена клинописная табличка XIV века до н.э.“ruhttp://infox.ru;;**

[106] **„Рамсес II“, http://ru.wikipedia.org;**

რაოდენობის შესახებ მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება შეძლეს.

II. გამოდის, რომ საომარი მოქმედებების პირობებში საერთო და კონკრეტულ დისლოკაციის ადგილში მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვებოდა.

საომარი მოქმედებების დროს, ხეთების მოკავშირის ამურუს მეფის ბენთეშინას გადაბირება და ეგვიპტის მხარეს გადასვლა;[107]

III. ომის პირობებში, მოწინააღმდეგის დასასუსტებლად და ბრძოლაში გარდამტეხი უპირატესობის მოპოვების მიზნით სტრატეგიულ მეკავშირე-პარტნიორ ქვეყანაში მაღალი დონის გადაბირებითი უზრუნველყოფა ხორციელდებოდა.

საომარი მოქმედებების ზონაში ეგვიპტელებმა ხეთების ორი ჯაშუში დაიჭირეს. [108]

IV. საომარი მოქმედებების ზონაში მოწინააღმდეგის სადაზვერვო აქციის აღკვეთა, ჯაშუშების გამოვლენით.

იქმნებოდა ნაწარმოებები, ქვეყნის შიგნით და გარეთ მკვიდრდებოდა სასურველი საზოგადოებრივი აზრი რამზეს II სიდიადის ირგვლივ. („სიმართლის მოყვარულ ღონიერ ხარს“, „ომში შეუდრეკელს, რომელსაც ადიდებდნენ ყველა ქვეყანაში“, „მან, რომელმაც მოსპო ეთიოპია“ და სხვა). ამ მეთოდის გამოყენების ეფექტურობაზე მეტყველებს, კადეშთან ბრძოლის დროს, გარკვეული უპირატესობის პირობებში ხეთების მეფის შიში საომარი მოქმედებების განახლებაზე);

სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილზე ტაძარში გაკეთებული:

---

[107] კ.კერამი„ხეთების საიდუმლოება“,თბილისი. 1966. გვ.148;

[108] იქვე, გვ.153;

◙ წარწერები – სია, ეგვიპტის მმართველების მიერ დაპყრობილი სირიისა და ნუმიდიის 200 დასახლებისა და ტომების შესახებ;

◙ ნახატები ბრძოლების ბატალური სცენების შესახებ და სხვა.[109]

V. სახეზეა სადაზვერო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება პროპაგანდისტული საქმიანობა, რაც ქვეყნის შიგნით და გარეთ მოქმედი მტრული ძალების დასათრგუნვად და საკუთარი მოსახლეობის, მებრძოლების სულისკვეთების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიება იყო.

ფარაონს აცნობეს, რომ ნუბიის სამეფოში ოქროს მნიშვნელოვანი მარაგები არსებობდა. „არის ბევრი ოქრო იკიტის (ნუბიის) სახელმწიფოში, მაგრამ გზები ძალიან უწყლოა“. ამასთან ერთად, ეგვიპტეში ოქროს მარაგების შესახებ შედგენილი რუქაც არსებობდა.[110]

ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე **1361-1352 წლებში** ოქრო ფუფუნების საგანს წარმოადგენდა: „ფარაონ ტუტანჰამონის განსასვენებელში დრომ და ბედმა შეინახეს დიდი რაოდენობით ხელოვნების ნიმუშები - ოქროს ნივთები, რომელთა შორის ბევრი ნუბიის ოქროსგან იყო დამზადებული. “[111]

ნუმიდიაში ფარაონის წარმომადგენლის შეტყობინების მიხედვით: ოქროს მოპოვების პროცესის უზრუნველსაყოფად, ტერიტორიის

---

[109] **„Мирная деятельность Рамзеса II“. http://historic.ru;**

[110] **. М. М. Максимов, „ Очерк о золоте“, http://lib. rus;**

[111] **Б.Б.Пиотровский, “Вади Аллаки,-путь к золотым рудни кам Нубии“. М., Наука, http://lib.rus;**

დაზვერვის დროს, „მოხდა საოცრება - მოიძებნა ჭა ველის შუაში. . .სავსე წყლით პირამდე. . . “[112]

VI. სადაზვერო კონტროლს, უცხო სახელმწიფოთა ოქროს მარაგი და მისი მოპოვების უზრუნველსაყოფად ერთ–ერთი აუცილებელი ელემენტი - წყლის მარაგი დაექვემდებარა.

სახელმწიფო მოხელის კონტროლქვეშ ქურდების კასტა სავალდებულო წესით განსაკუთრებულად აღირიცხებოდა და არსებობდა ქურდების უფროსი (რომელიც ნაქურდალს იბარებდა და აღრიცხავდა ქმედების დღის, საათის და ადგილის მიხედვით). [113]

VII. იმ ფაქტორის გავითვალისწინებთ, რომ ქურდები უცხო ვაჭრების გაქურდვაზეც იყვნენ ორიენტირებულნი დასაშვებია შემდეგი ვარაუდი: ქურდები სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდნენ. ქურდები ჩართული იყვნენ უცხოელი ვაჭრების (სადაზვერვო ინფორმაციის შემკრებები) ქმედებების კონტროლში.

ყველა ეგვიპტელი ვალდებული იყო სისტემატიურად მოეხსენებინა სახელმწიფო მოხელესათვის შემოსავლების შესახებ.

VIII. სამეფო მოხელეებისა და მოსახლეობის სხვა ფენების შემოსავლების სადაზვერვო კონტროლი.

სირიასთან საბრძოლო მოქმედებების პირობებში, ფინიკიელთა ნავსადგურების დაპყრობით, სირიისათვის სურსათით უზრუნველყოფის გზები ბლოკირებული იქნა.

---

[112] **Михаил Маркович Максимов „Очерк о золоте“ http://lib.rus;**

[113] **გიორგი ნადარეიშვილი. „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“. თბილისი 2006. გვ.29;**

IX. საომარი მოქმედებებისათვის ხელშემწყობი პირობების (დასუსტება, პანიკისა და შიშის დათესვა) შესაქმნელად მოწინააღმდეგის სურსათ-სანოვაგით უზრუნველმყოფი გზების, საშუალებების დაზვერვითი უზრუნველყოფა, მოწინააღმდეგისათვის სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზების ბლოკირება.

სირიასთან ***საომარი მოქმედებების დროს, ალყაშემორტყმულ*** საპორტო ***ქალაქ*** იაფუში ***პურის ფქვილის ტომრებით,*** 200 საუკეთესოდ აღჭურვილი მებრძოლის შეყვანის ორგანიზება, რითაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის განთავისუფლება გახდა შესაძლებელი.

X. სირიასთან საომარი მოქმედებების დროს, შეიარაღებული მეომრების შენიღბულად გადასხმა მტრის ზურგში.

სამეფო კარის სადაზვერვო მოხელეებმა ზედმიწევნით იცოდნენ სამოქმედო (კონტროლს დაქვემდებარებულ ან დასაქვემდებარებელ) ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ტრადიციები, რაც სადაზვერვო კონტროლის ადვილი ფორმებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

XI. სადაზვერვო ქმედებებს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ეფექტური საქმიანობისთვის, მოსახლეობის ტრადიციები მუდმივ შესწავლას ექვემდებარებოდა.

რამზეს II მმართველობის პერიოდში ***სადაზვერვო ქმედებებისათვის აქტიურად გამოიყენებოდა საკურიერო სამსახური.***

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1985-1785 წლებში, ეგვიპტის მმართველები თვლიდნენ, რომ ეფექტური ტერიტორიული კონტროლი, ინფორმაციული (სადაზვერვო) კონტროლის და შესაბამისად წერილობითი ინფორმაციების დროული

მიმოქცევის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ამიტომ აუცილებელი გახდა სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება. საკურიერო სამსახურის ფუძემდებლებად სწორედ ეგვიპტელები ითვლებიან.

* ***დოკუმენტაციის მიმოქცევა*** კურიერების მეშვეობით ესტაფეტის პრინციპით ფეხითა და ცხენების გამოყენებით, აგრეთვე მტრედების მეშვეობით ხორციელდებოდა.[114]

* დოკუმენტაციის მიმოქცევისას, ***კონსპირაციის პირობების*** (სახელმწიფო და კერძო აქტების თავმოყრა და დაცვა, აგრეთვე რეგისტრაციის პროცესი) ***უზრუნველყოფა,*** სახელმწიფო აპარატის უფროსის, ვეზირის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.

* ***ვეზირის კონტროლქვეშ სამეფო ბეჭდვითი და სასამართლო*** (პროცესები ვეზირისა და სასულიერო პირების მონაწილეობით, ზეპირი და წერილობითი ჩვენებების საფუძველზე ხდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა კი ფარაონის უშუალო ზედამხედველობით (მონაწილეობით) ხორციელდებოდა.) ***<u>ორგანოების საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა</u>*** – სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდისტული საქმიანობის და მასობრივად უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების აღსაკვეთად ან სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად იყო გამოყენებული.

ეგვიპტის ზედამხედველობას და კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში სადაზვერვო უზრუნველყოფისათვის გამოიყენებოდა:

---

[114] **„История почты: как появились почтовые услуги“, http://postlite.ru;**

•***კომენდანტი*** – სადაზვერვო ინფორმაციის შემკრები და ცენტრში გადამგზავნი სამეფო (საიმპერიო) მოხელე;

•იმპერიის შიგნით და გარეთ მოგზაური ***რელიგიური მოღვაწეები*** – საიმპერიო იდეოლოგიური კურსის რეკლამის და სადაზვერვო ინფორმაციების მოკრების ორგანიზატორები;

•იმპერიის შიგნით მოგზაური ე.წ. ***ფულის ამკრებები*** – სადაზვერვო ინფორმაციების შემკრები სამეფო მოხელეები;

•იმპერიის შიგნით და გარეთ მოგზაური ***მეცნიერები*** – სადაზვერვო ინფორმაციების შემკრები პირები (აგენტურული აპარატის ერთ-ერთი ფრთა-ავტ);

•იმპერიის შიგნით და გარეთ მოგზაურობაში მყოფი ***ვაჭრები*** სადაზვერვო ინფორმაციების შემკრები პირები (აგენტურული აპარატის ერთ-ერთი ფრთა-ავტ) და სხვა;

სადაზვერვო საქმიანობისას დაშვებული იყო **სერიოზული შეცდომები**:

† ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1285 წელს, ხეთებთან ომის დროს ***არასწორი სადაზვერო უზრუნველყოფა,*** რის გამოც მეფე ალყაში მოექცა: „რამზესი იმედოვნებდა, რომ მოწინააღმდეგე შორს ჩრდილოეთით მდებარეობდა. “ [115]

† ***არასრული ან არადროული სადაზვერვო უზრუნველყოფა,*** რომლის გამოც ომმა ხეთებთან 13

[115] **Владимир Андриенко и Дмитри Некрылов"Все фараоны Египта", http://oldegypt. info;**

წელი გასტანა და დიდი დანახარჯები მოითხოვა. ეს ფაქტი სამეფოს განვითარების პროცესის მნიშვნელოვნი შეფერხების მიზეზი გახდა;

† საომარი მოქმედებების დროს, ეგვიპტეში მეფის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, ***სადაზვერვო საქმიანობის სისუსტე***, რის გამოც რამზეს II ბრძოლის ველზე „მარტოდმარტო დარჩა თავის მცველებთან.“[116]

† ზოგიერთ შემთხვევაში, აჯანყებების შესახებ არადროული სადაზვერვო უზრუნველყოფა, რაც მისი ჩახშობისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯვის საფუძველი იყო და სხვა.

ეფექტური სადაზვერვო საქმიანობა ***<u>სამეფო ხელისუფლების (არსებული წეს-წყობილების) საწინააღმდეგო ქმედებების კვალიფიცირებამ</u>.*** **არსებობდა მძიმე დანაშაულების შემდეგი სახეობები:**

ა) სისხლის აღება;

ბ) ფულადი გამოსყიდვები;

გ) რწმენის საწინააღმდეგო საქმიანობა (ჯადოქრობა, სიწმინდეების შეურაცხყოფა და სხვა);[117]

დ) ყალბი ფულის დამზადება;

ე) სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა;

ვ) დოკუმენტების გაყალბება;

ზ) ზომაში და წონაში მოტყუება და სხვა.),

<u>ქმედებების აღკვეთის მიზნით საკანონმდებლო უზრუნველყოფამ და მათმა ეფექტურმა გამოყენებამ</u>, მათ შორის <u>განმეორებითი</u>

---

[116] კ.კერამი„ხეთების საიდუმლოება“,თბილისი.1966.გვ.156;

[117] „ГОСУДАРСТВО И ПРАВО ДРЕВНЕГО ВОСТОКА“. http://www.interlaw. dax.ru;

დანაშაულისათვის განსაკუთრებული დასჯის ზომების უზრუნველყოფამ; (კანონდამრღვევთათვის არსებობდა დასჯის შემდეგი სახეობები:

–სიკვდილით დასჯა;

–სხეულის დაზიანება (ენის მოკვეთა (ე და ზ შემთხვევაში), ხელის (ან ხელების) მოჭრა (შესაბამისად ვ და დ შემთხვევაში), დასაჭურისება და სხვა.)

იაფი მუშახელით უზრუნველყოფის თვალსაზრისით სასჯელთა აღსრულების დაწესებულების სამეფოს სასარგებლოდ ფუნქციონირებამ (ასე მაგალითად:

► დამნაშავეები ოქროს საბადოებზე სამუშაოდ იგზავნებოდნენ.[118]

► დამნაშავის (ხელფასის გარეშე) შრომა, სამეფო ხელისუფლების ხაზინის შევსების საფუძველი იყო;

სამეფოს განვითარების პროცესზე დამანგრევლად მოქმედ მონათა მხრიდან სისტემატიური აჯანყებების აღკვეთის მიზნით ***ორგანიზებული იყო სამეფოთა შორის კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა, რაც სადაზვერვო კოორდინაციასაც გულისხმობდა.*** (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1296 წელს ეგვიპტისა და ხეთების მეფეთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ორივე სამეფოს ტერიტორიაზე მონათა აჯანყების შემთხვევაში, მეფები ვალდებული არიან ერთობლივად იმოქმედონ აჯანყების ჩასახშობად.[119]

---

[118] **Каширина Т.В., „История государства и права зарубежных стран“,Часть1,http://ecollege.ru/xbooks;**

[119] **„Международное уголовное право“, Энциклопедия юриста http://dic.academic.ru;**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში, ეგვიპტის სამეფოს გააჩნდა ეფექტურად მოქმედი სახელმწიფო აპარატი, სადაზვერვო სამსახური, ბრწყინვალედ აღჭურვილი და გაწრთვნილი ჯარი. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უცხო-დაპყრობილი ქვეყნების ***გადაბირებულ-დაქირავებულ*** ჯარისკაცებს ეჭირათ. ისინი აქტიურ სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდნენ. ეს მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, უცხო სამეფოებიდან მომდინარე ***მტრული აქციების დროულ გამოვლენასა და აღკვეთას, ე.ი. არსებული ხელისუფლებისა და წეს-წყობილების შენარჩუნებას*** ***განაპირობებდა.***

რამზეს II მემკვიდრემ რამზეს III ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნეში კიდევ უფრო გაამყარა საჯარისო ნაწილები და ისინი, დადებული სასჯელის-სხეულის დაზიანების სანაცვლოდ, გადაბირებული ნუმიდიელი და ლიბიელი ჯარისკაცებით შეავსო. ყოველივე სადაზვერვო საქმიანობის (გადაბირების მიზნით დამნაშავეთა შერჩევის, შესწავლის, დამუშავების და გადაბირების პროცესის) განხორციელების აღმნიშვნელია.[120] ამავე პერიოდში ეგვიპტის სამეფოს მიერ განხორციელებულ წარმატებულ ***სადაზვერვო-ანალიტიკურ საქმიანობაზე*** ეს მაგალითები მეტყველებს:

× ***„სავალო მონობა პირველ ყოვლისა ზიანს აყენებდა სახელმწიფოს, - ამცირებდა იმ პირთა წრეს, რომელთა გაწვევაც შეიძლებოდა არმიაში.“***

× ***„ეგვიპტის გლეხობას არ სურდა იმ სახელმწიფოს ინტერესებისათვის ბრძოლა და იმ***

---

[120] **Соколов Б.В. „ВОЙНА ЕГИПТА С «НАРОДАМИ МОРЯ“, (конец XIII—XIIвек до н.э.). www.bibliotekar.ru;**

სახელმწიფოს დაცვა, რომელიც არ იცავდა მონობის ულლისგან.

× მევახშეობა იწვევდა წარმოების არქაული ფორმების კონსერვაციას, საზოგადოების განვითარების შეფერხებას და ა.შ.“ მიღებული ინფორმაციების ანალიზის შედეგად ახალი საკანონმდებლო უზრუნველყოფით, სათანადო ორგანიზაციული პროცესების სწორი დაგეგმარება და განხორციელება მიმდინარეობდა.[121]

სადაზვერვო საქმიანობის გაგრძელებას ადასტურებს, ეგვიპტის სამეფოს კონტროლქვეშ და ორგანიზებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-ე საუკუნეში სირიასა და ლიბანს შორის სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში სათანადო კონტროლის უზრუნველყოფა. სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე ფინიკიელებმა (მეზღვაურებმა), სამხედრო მზვერავების (მოსახლეობა და მეზღვაურები აგენტურული აპარატი) ფუნქციის შეთავსებასთან ერთად იმპერიის შიგნით გარკვეული სახის დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლეს. ამ პერიოდში, სადაზვერვო ქმედებები, როგორც მეკავშირე, ასევე მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მიმართ ხორციელდებოდა, რომლის დროსაც მნიშვნელოვან დასაყრდენად, მეკავშირე ქვეყნებიდან, მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ირგვლივ შეგროვილი ინფორმაციები წარმატებულად გამოიყენებოდა.

<u>ამგვარად, სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდა:</u>

---

[121] **გიორგი ნადარეიშვილი. „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისი 2006;**

* *საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე მოწინააღმდეგის ციხე-სიმაგრის ფართობი, სიმაღლე, აგებულება, მებრძოლთა რაოდენობა, აღჭურვილობა;*
* *საჯარისო ნაწილებში ჩარიცხული უცხო ტომის მეომრები;*
* *საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, განთავსების თვალსაზრისით ხელსაყრელი ადგილები და მოწინააღმდეგის სუსტი წერტილები;*
* *მოსახლეობის გუნება-განწყობილებები, აჯანყებების ორგანიზება;*
* *დაპყრობილ ან დაპყრობას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე არსებული განწყობები და იქ მცხოვრები ხალხების ტრადიციები;*
* *ომის პირობებში, მოწინააღმდეგის სტრატეგიულ მეკავშირე-პარტნიორი ქვეყანა და მაღალი დონის სამეფო მოხელეები, მათ შორის მეფე;*
* *საომარი მოქმედებების ზონაში მოწინააღმდეგის ჯაშუშების სადაზვერვო აქციები;*
* *უცხო სახელმწიფოთა ოქროს მარაგი და მისი მოპოვების უზრუნველსაყოფად ერთ–ერთი აუცილებელი ელემენტი - წყლის მარაგი;*
* *ქურდები;*
* *სამეფო მოხელეებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლები;*
* *მოწინააღმდეგისათვის სასიცოცხლო და სტრატეგიული მნიშვნელობის გზები.*
* *საკურიერო სამსახური და დოკუმენტაციის მიმოქცევა;*
* *სამეფო ბეჭვდითი და სასამართლო ორგანოების საქმიანობა;*

** მეკავშირე სახელმწიფოები და მათი სადაზვერვო ორგანოები;*

<u>სადაზვერვო აქციების სახეობები და მათი მიზნები:</u>

* მოკავშირე ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან კოორდინაცია, მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ირგვლივ შეგროვილი სადაზვერვო ინფორმაციების გამოყენების უზრუნველსაყოფად;

* სამხედრო შენაერთებში ჩარიცხვამდე, დამნაშავე უცხო ტომის ჯარისკაცების შერჩევის, შესწავლის, დამუშავების პროცესი, მათი გადაბირების (ჩადენილი დანაშაულისათვის დადებული სასჯელის გაბათილების სანაცვლოდ) უზრუნველსაყოფად;

* დასუსტების მიზნით, მოწინააღმდეგის სურსათ-სანოვაგით უზრუნველმყოფი გზებისა და საშუალებების ბლოკირება, მათში პანიკისა და შიშის დასათესად;

* მასობრივი თავშეყრის ადგილებში პროპაგანდისტული საქმიანობა მტრული ძალების დათრგუნვის, საკუთარი მოსახლეობის და მებრძოლების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის;

* ომის პირობებში, მოწინააღმდეგის სტრატეგიულ მოკავშირე-პარტნიორ ქვეყანაში გადაბირება, მეტოქის მოკავშირის დასაკარგად და დასასუსტებლად;

* მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების შესწავლა უეცარი დარტყმის მისაყენებლად.

* ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე შენიღბული (ფქვილის ტომრებში მოთავსებით) სახით მებრძოლთა დიდი ჯგუფის შეყვანის

ორგანიზება, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის გასათავისუფლებლად;

* კურიერების მიერ, ფეხითა და ცხენების გამოყენებით, აგრეთვე მტრედების მეშვეობით, წერილობითი შეტყობინებების მიმოქცევა, სადაზვერვო მონაცემების დროული მიწოდების და გამოყენების უზრუნველსაყოფად;

* თიხის ცხრილში გაკეთებული შეტყობინების მიმოქცევა, სადაზვერვო ინფორმაციების მიწოდების კონსპირაც*იის* უზრუნველსაყოფად;

* სამეფო ბეჭდვითი და სასამართლო ორგანოების დათრგუნვა, სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდისტული საქმიანობის და მასობრივად უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების აღკვეთის ან სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად.

<u>სადაზვერვო საქმიანობის განმხორციელებელი ობიექტები:</u>

* სამეფო კარის მოხელეები: კომენდანტი, რელიგიური მოღვაწეები; ფულის ამკრებები, მეცნიერები, ვაჭრები, სამხედრო პირები, აგენტურული აპარატი;

* უცხო ქვეყნების სამეფო კარზე გადაბირებული მოხელეები, სამხედრო პირები, ვაჭრები, სხვადასხვა ფენის მაცხოვრებლები;

<u>შეიძლება დავასკვნათ, რომ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა.</u>

საქმიანობის ძირითად მიზანს, არსებული წეს-წყობილების დასუსტება-რღვევის პროცესების ინსპირირებით, ქვეყნების დაპყრობის ფონზე, ტერიტორიული კონტროლის გაფართოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

საქმიანობაში განსაკუთრებული აქცენტი შენიღბულ ქმედებებზე იყო გამახვილებული, რომლის დროსაც აგენტურული ღონისძიებები (მათ შორის პერსპექტიული გადაბირება, ჩანერგვა და სხვა) წარმატებით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. წარმატების საფუძველს სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, სამეფო მოხელეთა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო პროცესებში აქტიური მონაწილეობა განსაზღვრავდა.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის წარმატება იდეოლოგიურმა, საკანონმდებლო და სადამსჯელო საქმიანობის ორგანიზებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ძველი საბერძნეთის სამეფოს დაზვერვა. . . . . .

ხეთების სამეფოს დაზვერვა. . . . . .

დაზვერვა ძველ სპარსეთში. . . . . .

ასურეთის დაზვერვა. . . . . .

რომის იმპერიის დაზვერვა. . . . . .

დაზვერვა ძველ ეგვიპტეში. . . . . .

გამოყენებული ლიტერატურა. . . . . .

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!
უსაფრთხოების როგორც პროფესიის
განვითარებისთვის!

სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები.

ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს

მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღიურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org